პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ლა მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 14 მაისი 1927 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 107 (1852)

დ ღ ი უ რ ი

- ბრიუსელის გამოფენაზე გაიგზავნა საბჭოთა პოლიგრაფიული ნაწარმოების ექსპონატები.
- პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა წითელ ფრონტოვიკების დემონსტრაცია.
- ინგლისის რეფორმისტებმა დაიწყეს პროფკავშირებიდან კომუნისტების დევნა.
- კონსერვატორები უკმაყოფილონი არიან ჩემბერლენით ჩინეთის საკითხში.
- საფრანგეთის მთავრობა სასტიკი ზომებით სდევნის კომპარტიის წევრებს.
- პოლონეთში დაიწყო 32 ბელორუსის გასამართლება.

მ ო რ ი გ ი ა მ ო ც ა ნ ა

როგორც ამას წინად ვწერდით, 1927—28 წლის სასოფლო მეურნეობის გადასახადის კამპანია უკვე დაწყებულია ჩვენში, ისე როგორც დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებშიაც. პარტიულ ორგანიზაციების და სათანადო საბჭოთა ორგანოების ერთი უმთავრესი მორიგი ამოცანათაგანია მისი წარმატებით ჩატარება.

სოფლად ჩვენი საგადასახადო მუშაობის ერთ-ერთ სუსტ მხარეს შეადგენდა ის გარემოება, რომ თავის სიმაღლეზე არ იყო დაყენებული განმარტებითი კამპანია; საბჭოთა ხელისუფლების საგლეხო საგადასახადო პოლიტიკის, სასოფლო მეურნეობის გადასახადის კანონის შინაარსის და მიზნების შესახებ არა ყველგან აქვთ სწორი, სრული და ნათელი წარმოდგენა, თვით ზოგიერთ ადგილობრივ პარტორგანიზაციებშიც კი. ეს უეჭველად ხელს უწყობდა ალაგ-ალაგ ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის დამახინჯებას სოფლად და შეცდომებს და გაუგებრობებს იწვევდა მის გატარების დროს. ამიტომ, ჩვენს პირველ ამოცანას შეადგენს ამ ნაკლის აცილება. პარტორგანიზაციებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ახალი კანონი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და დაინტერესებულ საბჭოთა დაწესებულებებთან ერთად, თავის ხელმძღვანელობის ქვეშ, მოახდინონ მისი პოპულიარიზაცია გლეხთა ფართო მასებში. ეს მით უფრო აუცილებელია დღეს, რადგან ახალი კანონი მთელ რიგ მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიცავს წინანდელთან შედარებით.

ამჟამად მიმდინარეობს გლეხურ მეურნეობათა საგადასახადო წყაროების აღრიცხვა. ამ მომენტს ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს მთელი კამპანიის ბედისათვის. დასაბეგრ ობიექტების სწორი აღნუსხვა, თვითეულ მეურნეობის ნამდვილი შეძლებულობის გამორკვევა და ამის მიხედვით საგადასახადო განაკვეთების შეწერა კანონთან სრული შეფარდებით, უზრუნველყოფს მთელი გადასახადის თავის დროზე და სრულად აკრეფას და ამდენად ფინანსიურად გაძლიერებს მუშურ სახელმწიფოს და პირველ ყოვლისა ადგილობრივ საბჭოებს, რომელთა განკარგულებაში რჩება სას.-სამ. გადასახადის დიდი წილი.

ამაზე უფრო საგულისხმოა საგადასახადო წყაროების სწორი აღნუსხვის სოციალური დანიშნულება. გადასახადი ჩვენს ხელში არა მარტო საშუალებაა სახელმწიფოს ფინანსიური განმტკიცებისათვის, არამედ ის ამავე დროს ბასრი იარაღია პროლეტარიატის კლასობრივი ეკონომიური პოლიტიკის გასატარებლად, — კაპიტალის ზრდის, ბურჟუაზიულ-კულაკურ ელემენტების გაძლიერების შესაზღუდავად, მეორე მხრივ ღარიბ გლეხობის წელში გასამართავად, რამდენადაც ჩვენი საგადასახადო კანონი მას სრულებით ანთავისუფლებს გადასახადისაგან, ან მეტად დიდ შეღავათებს აძლევს.

უნდა აღინიშნოს, რომ წარსულ წელში მრავალ შეცდომას ჰქონდა ადგილი დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვის დროს. ეს შეცდომები ერთის მხრივ გამოიხატა ალაგ-ალაგ შეუძლო გლეხობის ზედმეტად დაბეგვრაში, მეორე მხრივ აქა-იქ ღონიერ გლეხების ნაკლებ სიმძიმისაგან თავის დაძვრენაში. ამან დააბრკოლა გადასახადის აკრეფის საქმე და მშრომელ გლეხობის ნაწილში სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია, ამავე დროს შეასუსტა ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის, როგორც სიმდიდრის დაგროვების მომწესრიგებელის როლი.

ნაწილობრივ ეს მოვლენა აიხსნებოდა მაშინ მომქმედ კანონის ნაკლულევანებებით, რომლებიც დღეს გამოსწორებულია. მაგრამ, ამასთან აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით საარიცხვო კამპანიის სუსტად ჩატარებას. ამ საქმეში ადგილობრივი პარტორგანიზაციები და სოფლის მშრომელთა საზოგადოებრიობა არ ყოფილან სათანადოდ ჩაბმული, ხოლო ის ტეხნიკური აპარატი, რომელიც აღრიცხვას აწარმოებდა, სოფელთან არ იყო მჭიდროდ დაკავშირებული და მას საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის დედა აზრი არ ჰქონდა კარგად შეთვისებული.

ეხლა ეს ნაკლი არ უნდა განმეორდეს. პარტიამ ფხიზელი მეთვალყურეობა და სისტემატიური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს აღრიცხვის საქმეს. აქ კერძოდ უაღრესი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ საგადასახადო კომისიების შემადგენლობის შერჩევას და მათ მუშაობას. ამ კომისიებში მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის მშრომელ გლეხობის, კერძოდ მისი ღარიბი ნაწილის ისეთმა წარმომადგენლებმა, რომელნიც საჭირო სიმტკიცეს და მიუდგომლობას გამოიჩენენ ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის გატარებაში და საფუძვლიანად იქნებიან გაცნობილი თვითეულ გლეხის სამეურნეო მდგომარეობას. თავის თავად ცხადია, მათი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს მშრომელ გლეხობის თვალწინ და პარტორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობით. ამასთან, ადგილობრივ საბჭოს, რომელსაც დაკისრებული აქვს საგადასახადო კამპანიის განხორციელება, მართებს ამისათვის გამოყოს შესაფერი წევრები და საერთოდ საჭირო უნარი და ენერგია გამოიჩინოს დავალების პირნათლად შესრულებისათვის. ასეთი გზით უზრუნველყოფილი იქნება დასაბეგრ ობიექტების სწორი აღრიცხვა, კულაკები ვერ მოახერხებენ საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას და დაცული იქნება ღარიბ-საშუალო გლეხობის ინტერესები.

გარდა ამისა, ახალი კანონი განსაკუთრებით უწევს ანგარიშს სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესებს, ის მიზნად ისახავს ტეხნიკურ კულტურების და მეცხოველეობის აღორძინებისათვის ხელის შეწყობას და ამ მხრივ მნიშვნელოვან შეღავათებს ანიჭებს სოფლის მეურნეობას. ეხლანდელი საგადასახადო კამპანიის დროს ამ მომენტს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

როგორც ვხედავთ, მორიგი სასოფლო-სამეურნეო საგადასახადო კამპანია ჩვენს წინაშე მეტად საპასუხისმგებლო და ამასთან რთულ ამოცანებს აყენებს. მათ წარმატებით გადაჭრისათვის პარტორგანიზაციებს მოუხდებათ დიდი მუშაობის გაწევა, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მთელი თავისი ძალებით.

შტრეიკბრეხერების ხარტია და ინგლისის რეფორმისტები

პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართულმა ახალმა კანონმა, რომელსაც სამართლიანად უწოდეს „შტრეიკბრეხერთა დიდი ხარტიის“ სახელი, ინგლისის მუშათა მოძრაობა ხელახლა დააყენა მძიმე და დიდი განცდის წინაშე. ინგლისის თანამედროვე პოლიტიკის ხელმძღვანელები, ბატონი ბოლდუინები და ხიქსები აღარ ფარავენ თავის მისწრაფებას, რომ რათაც არ უნდა დაუჯდეთ გასტეხონ მუშათა მოძრაობა და ამით დაუსჯელად განახორციელონ შეტევა ინგლისის მუშების შრომის პირობების წინააღმდეგ და დაუბრკოლებლად განავრძონ სისხლიანი ავანტიურების პოლიტიკა. მუშათა მოძრაობა დგას ორი არჩევანის წინ: ან დამორჩილდეს ან და მიიღოს გამოწვევა და ყველა, მის განკარგულებაში არსებული ძალებით, გადავიდეს კონტრიერიშებზე ბოლდუინის წინააღმდეგ.

რეფორმისტი ლიდერები მძიმე მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი. ისინი წინააღმდეგი არ იქნებოდნენ, რომ ასე თუ ისე მორიგებულიყვნენ ბოლდუინის მთავრობასთან, მაგრამ მათ მშვენივრად ესმით და იციან, რომ ასეთი ტაქტიკა გამოიწვევს მათ მორალურ სიკვდილს. ძალიან დიდია აღშფოთება ახალ კანონის, ისე როგორც ზუბრების მთელი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომ რეფორმისტ ლიდერებს შეეძლოთ მორჩილად შეასრულონ ბოლდუინის ნება-სურვილი. მაგრამ, მეორეს მხრივ, ისინი, რასაკვირველია, ვერ იკისრებენ აღშფოთებულთა დარაზმვას გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ასეთი ბრძოლა ეწინააღმდეგება როგორც მათ შეხედულებებს, ისე მათ ინტერესებსაც. ამიტომ მათ აირჩიეს საშუალო გზა: მიტინგი, რეზოლიუციები და „გადამწყვეტი მოქმედება“ პარლამენტში; მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამ საშუალო გზით ისინი დაიცავდნენ წონასწორობას და მუშათა მასების აღშფოთებას მიმართავდნენ „კონსტიტუციონური“ გზით, ე. ი. გზით, რომელიც საშიში არ იქნებოდა არც მთავრობისათვის და არც მათთვის. მაგრამ ზუბრები შეუბრალებელნი არიან. იმ დროს, როდესაც ბოლდუინმა პირადათ წამოაყენა წინადადება იმის შესახებ, რომ სამთამადნო მუშათა საქმე გადასულიყო გენერალურ საბჭოს ხელში, მან იცოდა, რომ გენერალური საბჭო არ გაუცრუვებდა იმედებს და პირნათლად შეასრულებდა მის დირექტივებს. ეხლა, საყოველთაო გაფიცვის დამარცხებისა და სამთამადნო მუშების წამოჩოქების შემდეგ, საჭირო აღარ არის ბევრი ლაპარაკი გენერალურ საბჭოსთან, „რათა ხალხის ყურადღება მივაქციოთ კანონის სასტიკ ხასიათზე პროფკავშირების შესახებ, პროფკავშირების საპარლამენტო ფრაქციის წევრებმა თავი უნდა შეიკავონ მაგარი სასმელებისა და თამბაქოს ხმარებისაგან 6 თვის განმავლობაში ამ კანონის გატარების დღიდან, და ამით აჩვენონ მაგალითი მთელი ქვეყნის მუშებს, რომ მათაც მიბაძონ მათ მაგალითს“.

ბრძოლის ამ ერთ გმირულ საშუალებას, მუშათა პარტიის მეორე წევრი ტულლი უმატებს მეორე წინადადებას—მთელი მუშათა კლასის „თვითშეზღუდვის კვირის“ დანიშვნას იმ მიზნით, რომ დაგროვილ იქნას საშუალებები წარმატებითი ბრძოლისათვის შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ.

თუ გადავალთ პარლამენტზე, აქაც იგივე მწეობის და გამცემლობის სურათს დავინახავთ.

იერიშის მიტანა გენერალურ საბჭოსა და მის მეგობრების წინააღმდეგ დავალებული ჰქონდა ინდოეთის საქმეთა მინის. ლორდ ბირკენხედს. ლორდ ბირკენხედმა მისთვის ჩვეული ცინიზმით შემდეგი პასუხი გაუგზავნა გენერალურ საბჭოს:

„მოიწვიეთ თქვენი მიტინგები, გასძახეთ ყველა საყვირებში, სთქვით ყველაფერი, რაც სათქმელი გაქვთ. გაშალეთ თქვენი წითელი დროშები და, როდესაც ყველა ამას მორჩებით, პარლამენტი დაამტკიცებს კანონს“.

ბრწყინვალე ლორდმა ამით მოაგონა მუშათა მოძრაობის ბიბლიურად განწყობილ ლიდერებს; რომ არ ვარგა ზედმეტი გატაცება ლეგენდით იერიხონის ციხე-სიმაგრის შესახებ; იმ ციხე-სიმაგრის; რომელიც საყვირების ხმამ დაანგრია. „ისინი,—სთქვა ინდოეთის საქმეთა მინისტრმა,—ალბად ფიქრობენ; რომ კამპანია; რომელსაც აჩაღებენ, წააგავს ლაშქრობას იერიხონზე, და თუ ისინი მძლავრად ჩაბერავენ თავიანთ საყვირებში, თუ ისინი ბევრს ილაპარაკებენ, ამით დაეცემიან ჩვენი სიმაგრეები“.

ასე დაცინვით და აგდებულად დაახასიათა ლორდ ბირკენხედმა ის კამპანია, რომლითაც აღფრთოვანებული არიან ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარჯვენე და მემარცხენე რეფორმისტები.

სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ; რომ ინგლისის მუშათა მოძრაობის ლიდერებმა ხავსებით დაიმსახურეს სპეციფიური ბირკენხედული კილო. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ორ ახალ „ორიგინალურ“ წინადადებას, რომელიც წამოყენებულია მუშათა პარტიის წრიდან, ახალი კანონის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლის მიზნით. ერთი წინადადება, რომელსაც ჯორჯ ლინსბერიც აწერს ხელს, სიტყვა-სიტყვით შეიცავს შემდეგს.

მართალია, კანონ-პროექტის გარშემო გამართული კამათის დროს გამოჩნდენ მუშათა ისეთი წარმომადგენლები, რომელნიც ხმა-მაღლა და გარკვეულად ლაპარაკობდენ, რომ კანონის წინააღმდეგ აუცილებელია ბრძოლა საყოველთაო გაფიცვის საშუალებით, მაგრამ დებატებმა საერთოდ აშკარად გვიჩვენეს და დაგვიმტკიცეს, რომ მუშათა პარტიის ბელადებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა ამ კანონის მიღების გამო. ბატონმა კლაინსმა; რომელიც მუშათა პარტიის სახელით გამოვიდა და ოფიციალური სიტყვა წარმოსთქვა კანონის წინააღმდეგ, ამ შემთხვევით ისარგებლა იმისათვის; რომ უხეში იერიშები მიეტანა კომუნისტებზე და აგრეთვე დაეჯერებინა ბატონი კონსერვატორები იმაში, რომ იგი საყოველთაო გაფიცვას სცნობს ბრძოლის გამოუსადეგ და უგუნურ იარაღად.—სერ დუგლის ხოგგმა, რომელიც მთავრობის სახელით იცავდა კანონ-პროექტს, ამით მიიღო კიდევ ერთი საბაბი იმისათვის, რომ დამყარებოდა გენერალურ საბჭოს და მუშათა პარტიის პასუხისმგებელი ბელადების აზრს იმის შესახებ, რომ საყოველთაო გაფიცვა არის „ტრაგიკული შეცდომა და საფრთხე კონსტიტუციისათვის“.

კლაინსი, რასაკვირველია, მუშათა მოძრაობის უკიდურეს მემარჯვენეთა ფრთას ეკუთვნის. მაგრამ თუ ჩვენ მივმართავთ მემარცხენე ბლოკის შეხედულების გამომხატველთ, ჩვენ იმავე სურათს წავაწყდებით. ექვს მაისის „ნიუ ლიდერი“ აქებს მუშათა პარტიას მისი „აღფრთოვანებული ბრძოლისათვის“ პარლამენტში კანონის წინააღმდეგ. ლენსბერი მოუწოდებს, რომ ყველა ძალებითა და ზომებით შეუწყონ ხელი ამ „ბრძოლას“. იგი თავის თავს აცხადებს ნამდვილი მთლიანი ფრონტის მომხრედ. „მე მსურს,—სწერს იგი,—ვიმუშაო კლაინსთან და პოლიტთან. მე მათ ორივეს ვცნობ თანმიმდევარ, ლოიალურ და კარგ ამხანაგებად. ისინი სხვადასხვა აზრისანი არიან როგორც მეთოდების საკითხების; ისე პრინციპების საკითხების შესახებ. მეთოდების საკითხის გარდა;--ეს საკითხი მთავარია,—მე ჩემის შეხედულებებით ახლო ვდგევარ პოლიტთან, განსაკუთრებით კლასიური ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის საკითხში. რა აშორებს ერთმანეთს ამ ორ მებრძოლს, ან რა მაშორებს მე მათგან. მხოლოდ ერთი, რომ პოლიტი მოითხოვს რამდენადაც მას ეს სწამს; აქვს უფლება მოითხოვოს;—რომ მისი პოლიტიკა იქნას მიღებული. მაგრამ რატომ არიან მოღალატენი ისინი, რომელნიც შეიძლება არ დაეთანხმონ მას“.

ამ განცხადებათა წინააღმდეგ კამათი მაინც და მაინც არ გვიხდება. ისინი თვითონვე ნათელს ყოფენ თავის აზრს. ლენსბერი აშკარად მხარს უჭერს კლაინსს პოლიტის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ძველი ვეგეტარიანელი, ის მზად არის მოუწოდოს თავის კოლეგებს —არი სთქვან თამბაქოს მოწევაზე და მაგარ სასმელების ხმარებაზე. ყოველივე დანარჩენში ის ემხრობა კლაინსს და კლაინსის გზით მიდის. ბირკენხედი კი ორივეს ეუბნება: „ვერ შეგვაშინებთ“-ო.

მაგრამ ინგლისის მუშათა მოძრაობა მიდის თავის გზით, კლაინსისა და ლენსბერისაგან დამოუკიდებლად. 29 აპრილს შესდგა პროფკავშირთა აღმასკომების კონფერენცია მუშათა პარტიის ბელადების თანდასწრებით. თავმჯდომარეობდა „მემარცხენე“ გიკრი. მთელს ბიუროკრატიასთან ერთად მან ხელი შეუშალა გოსინს დაეცვა წინადადება, რომ აუცილებელია ბრძოლა კანონის წინააღმდეგ საყოველთაო გაფიცვის გზით. მან არც კი განიხილა მემარცხენე ელემენტების წინადადება, რომელიც მოითხოვდა პროტესტის გამოთქმას იმ ჯალათური ომის წინააღმდეგ, რასაც ინგლისის მთავრობა აწარმოებს ჩინეთში. გოსინი თავმჯდომარეობდა უმცირესობის კონფერენციას, რომელსაც 245 ორგანიზაციის სახელით ესწრებოდა 246 დელეგატი. ამ კონფერენციამ ერთხმად და ერთსულოვნად მიიღო რეზოლიუცია სისხლის მღვრელ ინტერვენციის წინააღმდეგ ჩინეთში და მოითხოვა მზადება საყოველთაო გაფიცვისათვის ბოლდუინის რეაქციონური პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად; ჯერ კიდევ ორი დღის წინათ ასეთივე რეზოლიუციები გამოტანილ იქნა გრანდიოზულ დემონსტრაციაზე გაიდპარკში და მთელ რიგ სხვა მასიურ კრებ. უმცირესობის მიერ მოწყობილმა კონფერენციებმა, რომლებიც ჩატარებულ იქნენ ინტერვენციისა და ახალი კანონის წინააღმდეგ აქტიური და გადამჭრელი ბრძოლის ნიშნის ქვეშ, უფრო წარმატებითი ხასიათი მიიღეს მთელ რიგ სხვა ინდუსტრიალურ ცენტრებში, ვინემ ლონდონში; უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე გლაზგოში მონაწილეობას იღებდენ უმნიშვნელოვანესი მუშათა ორგანიზაციები. როგორც სჩანს ეს მანიფესტაციები და ეს მუშათა კონფერენციები არ იზიარებენ ლენსბერის აზრს იმის შესახებ: რომ არ შეიძლება პოლიტისა და კლაინსის ერთ უღელში შებმა.

გართულებულმა ბრძოლამ მუშათა მოძრაობის შიგნით ჰპოვა თავისი გამოხატულება პარლამენტში ახალი კანონ-პროექტის გარშემო გამართულ კამათის დროს.

ბოლდუინმა და ხორნმა გააკეთეს ყოველივე, რაც კი მათზე იყო დამოკიდებული, რომ ელაპარაკნათ იმ ენაზე; რომელიც მისაღები და გასაგები იქნებოდა მუშათა მოძრაობის რეფორმისტულ ბელადებისათვის. ბოლდუინმა მოაგონა მათ, რომ საყოველთაო გაფიცვის დროს კომუნისტებმა და უმცირესობამ ხელმძღვანელი როლი ითამაშეს მასსიურ მოძრაობაში. მან მიაქცია მათი ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მთელ რიგ კავშირში, მათ შორის უაღრესად დიდ კავშირებშიაც, უმცირესობის გავლენა სულ უფრო და უფრო იზრდება. მუშათა პარტიის წევრებმა ამ განცხადებას უპასუხეს „მღელვარე პროტესტით“, მაგრამ ისინი მღელვარე პროტესტს გამოსთქვამდენ მხოლოდ იმიტომ; რომ მათ იცოდენ, რომ ბოლდუინი ლაპარაკობდა სიმართლეს და ისინი გრძნობდენ; რომ ამ სიტყვით ის მათ ამხილდა თავიდან ბოლომდე.

ანტი-ფაშისტურ დემონსტრაციების წარმატება ბერლინში შედეგად მოჰყვა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის სწორად და მიზანშეწონილად გამოყენებას ქვევიდან. არსებითად სულ სხვა გარემოებაში და სულ სხვა პირობებში ჩვენ იმავე სურათს ვხედავთ ინგლისშიაც. მასსების მობილიზაცია ხდება კომუნისტური მოძრაობის ლოზუნგებს ქვეშ, წინააღმდეგ რეფორმისტულ ბელადების ნება-სურვილისა. ამ მოძრაობას ბ—ნნი ბირკენხედები და ბოლდუინები უაღრესად სერიოზულ ყურადღებას აქცევენ. ისინი ცდილობენ გაიყონ ეს მოძრაობა. მაგრამ ახალი კანონის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიის პირველი ეტაპი, ისევე; როგორც ინგლისის მუშათა მოძ. მთელი კამპანია ინტერვენციის წინააღმდეგ ჩინეთში; მოწმობს; რომ ამ ბრძოლაში კომუნისტური პარტია არა თუ უყურადღებოდ არის მიტოვებული, არამედ; პირიქით; ის სულ უფრო და უფრო მეტ დახმარებას პოულობს ფართე პროლეტარულ მასებს შორის ბირკენხედი დასცინის რეფორმისტებს, მაგრამ ის იძულებულია უაღრესად სერიოზულად მოეპყრას მასსიურ მოძრაობას, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ.

მოსკოვი, 13 მაისი.

მუშაობა გამოცოცხლდა

თბილისის საბჭოს სექციების მუშაობის პირველი შედეგები

ყველაზე უფრო დამახასიათებელი თბილისის საბჭოს მუშაობისათვის არის სექციების მუშაობა, ვინაიდან უმთავრესად აქ იყრის თავს ძირითადი მასიური მუშაობა. როგორც ცნობილია, სექციების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ფართო მუშათა მასების აქტივობა სისწორით იქნას გამოყენებული მათი ჩაბმით თბილისის საბჭოს საზოგადოებრივ-სამეურნეო პრაქტიკულ მუშაობაში; ამავე დროს სექციები უნდა ისახავდენ ორ ძირითად მიზანს—პირველი: მუშათა მასიური კონტროლის დაწესება თბილისის საბჭოს წარმოებათა და დაწესებულებათა მუშაობაზე, მეორე: პრაქტიკული სექციური მუშაობის გზით უნდა იქნას მომზადებული სახელმწიფო მუშაობაში დაწინაურებულთა კადრი მუშათა და მუშა-ქალთაგან. ამიტომ თბილისის საბჭოს პლენუმი იყოფა მთელ რიგ სექციებად: კომუნალური, სახალხო განათლების, საფინანსო, ჯანმრთელობის და, ბოლოს, კოოპერატიულ სავაჭრო სექციად; ეს უკანასკნელი სექცია ჯერ-ჯერობით მოწყობის სტადიაში იმყოფება.

წინანდელი მოწვევის საბჭოების გამოცდილება მოწმობს, რომ მუშაობა სექციებში სუსტი იყო; სტატისტიკურმა ცნობებმა გამოარკვია, რომ სექციების სხდომებზე საბჭოს წევრების დასწრების პროცენტი მეტად მცირე იყო. ასე, მაგალითად, სოფლად მუშაობის სექციაში ჩვენ გვაქვს სხდომებზე დასწრების 23 პროც., სამხედრო სექციაში—30 პროც. და ყველაზე მეტი პროცენტი—39 პროც. გვაქვს კომუნალურ სექციაში. სხდომებზე დასწრების საშუალო პროცენტი საერთოდ ყველა სექციებში უდრის მხოლოდ 32 პროც. მაშასადამე, საბჭოს წევრთა 68 პროც. სრულიად არ იყო ჩაბმული სექციების მუშაობაში, ე. ი. საბჭოს ძირითად მუშაობაში.

საქმის ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, არანორმალურად იქნა ცნობილი, და სათანადო ორგანოებმა მიიღეს ზომები სექციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ერთ-ერთი ასეთი ზომათაგანია ყველა საზოგადოებრივად—მნიშვნელოვანი საკითხების აუცილებლად დამუშავება ჯერ სექციებში და შემდეგ განხილვა საბჭოს პლენუმზე და თბილისის აღმასკომში, თუ ამას მოითხოვს საკითხის ხასიათი.

უნდა აღინიშნოს, რომ სექციების უფლებათა ასეთი გაფართოება, მათთვის ერთგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება საბჭოს მუშაობის მსვლელობისათვის გაამართლა ცხოვრებამ. შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში სექციებს ჰქონდა 4-5 სხდომა, რომელზედაც საშუალოდ გაირჩა ხუთ-ხუთი საკითხი ყოველ სექციაში, ხოლო ჯანმრთელობის სექციაში გაირჩა 12 საკითხი.

წინასწარი სტატისტიკური ცნობებიც სექციების შემადგენლობისა და საბჭოს წევრების სექციების სხდომებზე დასწრების შესახებ აგრეთვე მოწმობენ, რომ მუშაობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა.

უპირველეს ყოვლისა, სექციებში ჩაწერის შესახებ. ზემოდ აღნიშნულ ოთხ სექციაში უკვე ჩაეწერა და მუშაობს საბჭოთა მთელი შემადგენლობის 78 პროცენტი, მაგრამ ჩვენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვაქვს კოოპერატიულ-სავაჭრო სექცია, რომელიც ეხლა ეწყობა და რომელშიაც ჩაწერა ეხლა სწარმოებს. ამ სექციაში ჩაწერილი საბჭოს წევრები პროცენტების გამოანგარიშების დროს არ იყო მხედველობაში მიღებული და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სექცია რაოდენობით არ ჩამორჩება კომუნალურ სექციას და, მაშასადამე, სექციებში ჩვენ გვეყოლება საბჭოს წევრთა მთელი 100 პროცენტი.

ეხლა სექციების სხდომებზე დასწრების შესახებ. საბჭოს წარსული მოწვევის ციფრებთან შედარებით ჩვენ გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი მომატება, რომელიც მოწმობს იმას, რომ ამ მოწვევის საბჭოს წევრნი სექციებში ეწევიან არა მარტო ფორმალური მხარის დაცვისათვის, არამედ ნამდვილი მუშაობისათვის. ასე, მაგალითად, კომუნალურ სექციაში სხდომებზე დასწრების პროცენტი საშუალოდ აღწევს 75 პროც., წინედ კი იყო მხოლოდ 39 პროც., ე. ი. მომატება არის თითქმის 100 პროც.; საფინანსო სექციაში აღწევს 77 პროც-დე. წინედ კი იყო მხოლოდ 33 პროც. სექციების სხდომებზე დასწრების პროცენტი წინედ საშუალოდ უდრიდა 32 პროც., ეხლა კი 74 პროც., ე. ი. მომატება არის 131 პროც-თ. ეს ციფრები ნათლად ამტკიცებენ სექციების მუშაობის გამოცოცხლებას და განმარტებას არ საჭიროებენ.

რამდენიმე სიტყვა მუშაობის ხასიათის შესახებ. ჩვენ გვახსოვს, რომ ხშირად ქონდა ადგილი ასეთ შემთხვევებს, როცა სექცია მოისმენდა მოხსენებას, დაადგენდა „მიღებულ იქნას ცნობად“ და ამით კმაყოფილდებოდა. ეხლა ეს ასე არ არის. სექციაზე დასმული ყოველი საკითხი დეტალურად მუშავდება. არის შემთხვევები, როცა სექცია უარს ამბობს უცებ გადასწყვიტოს საკითხი (ტრამვაის ტარიფის დაკლება), იგი საკითხს უფრო ფართოდ უდგება, შეისწავლის მას ფართო კომისიაში და მხოლოდ შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სექციები მომავალშიაც გამოიჩენენ საქმისადმი ასეთ ფხიზელ დამოკიდებულებას, რაიც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს საბჭოს მუშაობას.

მაშასადამე, ჩვენ შეიძლება ვსთქვათ, რომ გვაქვს სექციების მუშაობის გამოცოცხლება, რასაც კიდეც მოველოდით საბჭოს ეხლანდელი შემადგენლობისაგან.

ლ. სუხიშვილი.

ტ ყ ი ს დ ღ ე

ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის, ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიკისათვის, თან მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმისათვის ტყეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ტყე ასაზრდოებს არა ერთსა და ორ ათი-ათას სულს, საჭირო მასალით უზრუნველჰყოფს ჩვენს სოფლის მეურნეობას და მრეწველობას, მნიშვნელოვანს საექსპორტო ფონდ გვაძლევს.

ტყე იცავს ჩვენს ქვეყანას სხვა და სხვა სტიქიური უბედურებისაგან (წალეკვა, მეწყერი და სხვა), ტყის არსებობა - არ არსებობაზეა დამოკიდებული ჰავის ავკარგიანობა, ჩვენში საკურორტო საქმის მომავალი.

სატყეო მეურნეობის ბუნებრივ პირობების, მისი განვითარების ბუნებრივ შესაძლებლობათა მხრით საქართველო იშვიათად ბედნიერი ქვეყანაა. საქართველოს ტყეები ძველადგან ცნობილია. ჩვენში ხარობს სხვა და სხვა უძვირფასესი ჯიშის ხე, ჩვენი ტყეები მრავალფეროვანია, ჩვენი ქვეყნის შედარებით მცირე ტერიტორიაზე, ჩვენ ტყეებში მეტი ჯიში მოიპოვება, ვიდრე სხვაგან გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე. ჩვენში შენახულია ისეთი ჯიშები, რასაც სხვაგან ვეღარ შეხვდებით, რაც ნამდვილ ბუნების ძეგლს წარმოადგენს. ასეთი ჯიშების დაცვას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის, მსოფლიო მეცნიერების თვალსაზრისით.

მაგრამ ის, რაც უხვად მოგვცა ბუნებამ, უმოწყალოდ ნადგურდება და ზოგან მთლად განადგურებულია ადამიანის ხელით. ტყეები გაიჩეხა-განადგურდა. ბევრ რაიონში ის სულ აღარ არის. საერთოდ კი, მცირეოდენი გამონაკლისით, ტყე ყველგან შესამჩნევად შეთხელებულია.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, თუ საქმე ასე გაგრძელდა, ჩვენს ქვეყანას დიდი საფრთხე მოელის.

ტყის განადგურებას თან სდევს მთებზე ნიადაგის ჩამორეცხვა, ნიაღვრების გახშირება, საკულტურო მიწების წალეკვა, კლიმატიური პირობების გაუარესება, მდინარეთა რეჟიმის შეშლა და სხვა ასეთივე საბედისწერო შედეგები.

ტყის განადგურებით არა მარტო სოფლის მეურნეობა ვარდება კატასტროფიულ პირობებში, არამედ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიც იღუპება.

ტყის არსებობა ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილი ყოფნა-არ ყოფნის საკითხია.

ამიტომაც არის, რომ ამ საკითხს საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა მან უკვე განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებათა ტყის მოვლა-პატრონობის გასაძლიერებლად, სატყეო მეურნეობის რაციონალიზაციისათვის.

ამ მიზანს ემსახურება, სხვათა შორის, „ტყის დღე“, რომელიც შარშან პირველად მოაწყო მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიწა-ტყის კავშირთან და კომკავშირთან ერთად და რომლის მოწყობა ამიერიდან ყოველწლიურად არის გადაწყვეტილი.

წელს „ტყის დღე“-ს ჩატარება განზრახული იყო აპრილის 15-დან მაისის 1-დე. მაგრამ ფაქტიურად, ბუნებრივ პირობების მიხედვით, იგი ტარდება მაისის 1-დან და დამთავრდება, დაახლოებით, ივნისის 1-მდე.

„ტყის დღე“-ს დანიშნულებაა—ტყის დაცვის, მისი მოვლა-პატრონობის საქმის ფართო პროპაგანდით ამ საქმეში ჩაბმა მთელი მშრომელთა კლასისა, ვის საკუთრებასაც შეადგენს რესპუბლიკის ტყეები, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მთლიან სახელმწიფო ფონდად აღიარებული.

ტყის დაცვის საქმეში მშრომელთა ფართო მასების, განსაკუთრებით მშრომელი გლეხობის, ჩაბმა საუკეთესო საშუალებაა ამ საქმის წარმატებით ჩასატარებლად.

იმედი გვაქვს, რომ ეს დღე უფრო გეგმიანად, უფრო ფართოდ ჩატარდება და უფრო მეტს შედეგს მოგვცემს.

საჭიროა სატყეო საქმის ყველა მუშაკმა ღირსეულად შეასრულოს თავისი მოვალეობა, არ დაზოგოს შრომა და მეცადინეობა „ტყის დღე“-ს მომწყობ ორგანიზაციებისთვის ხელის შესაწყობად, საქმეში მშრომელი მოსახლეობის ჩასაბმელად, სახალხო ქონების დასაცავად, მთელი ჩვენი მომავალის უდიდესი ქვაკუთხედის, მისი არსებობის ერთ-ერთი მთავარი ფუძის—ტყის შესანარჩუნებლად.

გეგეჭკორი.

ინგლისის მთავრობის ინტრიგები გერმანიაში

გერმანიის პრესა აფრთხილებს მთავრობას არ წამოეგოს ინგლისის ანკესზე

ამხ. ოსინსკიმ და სოკოლნიკოვმა ჟენევაში მიიღეს უცხოეთის პრესის წარმომადგენელნი

ინგლისის ინტრიგები

ბერლინი, 12 მაისი. ამ დღეებში ბერლინში ჩამოვიდენ ინგლისის ყოფილი ელჩი გერმანიაში **დაბერნონი,** რომელიც შტრეზემანთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ამ მოლაპარაკების შესახებ პრესა აღნიშნავს, რომ ის მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „დეიტჩე ცეიტუნგ“-ში ამ მოლაპარაკების გამო დაბეჭდილია წერილი სათაურით „ფრთხილად“, რომელშიაც ავტორი აცხადებს: „**მწარე გამოცდილება, რომელიც გერმანიის პოლიტიკამ შეიძინა დაბერნონის რჩევა-დარიგებისა და წინადადებებისათვის ანგარიშის გაწევის წყალობით იმის თავდებია, რომ გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრო აღარ წამოეგება ახალ ანკესზე. გერმანიამ მხარი უნდა დაუჭიროს იმას, ვინც მას გაანთავისუფლებს ვერსალის ხელშეკრულების ბორკილებისაგან. არ უნდა გაგვიტაცოს დაბერნონის დაპირებებმა, თორემ დავკარგავთ იმ გასაღებს, რომელსაც შეუძლია გზა გაგვიხსნას თავისუფლებისაკენ**“. (ადს).

ჟენევის კონფერენცია

ამხ. ხინჩუკის გამოსვლა

ჟენევა, 12 მაისი. საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე საგარეო ვაჭრობის ქვე-კომისიაში, რომელიც მოითხოვს საგარეო ვაჭრობისათვის დაწესებულ შეზღუდვების გაუქმებას და კაპიტალების შეტანის და გამოტანის თავისუფლებას, და აგრეთვე იმ უპირატესობების გაუქმებას, რომლითაც სარგებლობენ წარმოებები. რომლებშიაც სახელმწიფო კაპიტალი იღებს მონაწილეობას. საბჭოთა დელეგაციის წევრმა **ხინჩუკმა** გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: „რეზოლიუცია არ ითვალისწინებს ორი სისტემის არსებობას. ამიტომ მე ხმას მივსცემ რეზოლიუციის წინააღმდეგ, ვიტოვებ რა უფლებას გავაკეთო განცხადება კონფერენციის პლენუმზე. რეზოლიუცია ხელს არ უწყობს 2 სისტემის თანამშრომლობას. არამედ პირიქით აბრკოლებს მას.

სხდომის თავმჯდომარე— ამერიკის მეთვალყურე ერთა ლიგაში ბოიდენი გამოვიდა საპასუხო სიტყვით, რომელშიაც განაცხადა:

„საბჭოთა დელეგაციამ უნდა იცოდეს, რომ კონფერენციას მთლიანად არ სწამს სოციალისტური სისტემის ნაყოფიერება საბჭოთა კავშირში, მაგრამ მიუხედავად ამისა. მას აინტერესებს ეს ცდა. **კონფერენციას არ უნდა, ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირს და ის მიესალმება მის მონაწილეობას კონფერენციაზე.** მაგრამ რეზოლიუცია უნდა შეესაბამებოდეს დანარჩენ ქვეყნების თვალსაზრისს. რეზოლიუცია არ ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის ინტერესებს და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საბჭოთა კავშირი ანგარიშს უწევს სხვა სახელმწიფოების ინტერესებსაც“. (ადს).

ჟურნალისტები საბჭოთა დელეგატებთან

ჟენევა, 12 მაისი. საბჭოთა დელეგაციის მიერ უცხოეთის პრესის ჟურნალისტების მიღებას დაესწრო 80 კაცი. ჟურნალისტების კითხვებზე პასუხი გასცა ამხ. **ოსინსკიმ, სოკოლნიკოვმა,** და **ვარგამ.** (ადს).

ამხ. ვარგას სიტყვა

ჟენევა, 12 მაისი. კოოპერატიული ქვე-კომისიის სხდომაზე **ვარგამ** გააკეთა მოხსენება სასოფლო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში. ვარგამ განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია არ უერთდება საერთო რეზოლიუციას, ვინაიდან საბჭოთა კოოპერაცია არის კლასიური და მისი ამოცანაა—სოციალიზმის მშენებლობა. დასასრულ ამხ. ვარგამ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა მომავალშიაც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირის კოოპერაციის განვითარებას. (ადს).

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ამსტერდამი, 12 მაისი. ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციის ბიულეტენში მოთავსებულია ცნობა, რომ ინგლისის რკინის-გზელთა კავშირმა გადასწყვიტა ფედერაციის უახლოვეს კონგრესზე სტოკჰოლმში შეიტანოს წინადადება, **რათა კონგრესმა მიიღოს ფედერაციის შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის მუშათა პროფესიონალური კავშირი.**

მ ც ი რ ე ა ნ ტ ა ნ ტ ა

ვენა, 12 მაისი. ბელგრადიდან და ბუქარესტიდან მიღებულ ცნობის თანახმად, მცირე ანტანტის მომავალ კონფერენციის პროგრამაში შედის შემდეგი საკითხები: შუა ევროპის მდგომარეობა, უნგრეთზე სამხედრო კონტროლის გაუქმება. გაბსბურგების რესტავრაცია, დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან, ურთიერთობა პოლონეთთან და სხ.

უნგრეთის პრესა აღნიშნავს, რომ მცირე ანტანტა წარმოადგენს მომაკვდავ პოლიტიკურ გაერთიანებას, ვინაიდან ერთად-ერთი მიზანი, რომლისთვისაც ის დაარსდა,—**უნგრეთის იზოლიაცია—ილიუზიათ გადაიქცა.** დანარჩენ საკითხებში კი და, პირველყოვლისა, საკითხში საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ, მცირე ანტანტის ქვეყნებს შორის დიდი უთანხმოებაა. პრესა აღნიშნავს, აგრეთვე, რომ ბენეში მცირე ანტანტაში უკვე აღარ თამაშობს ხელმძღვანელ როლს. ეს როლი ამჟამად ეკუთვნის სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრს მარინკოვიჩს. (ადს).

შიშს დიდი თვალები აქვს

ლონდონი, 12 მაისი. თემთა პალატაში ტეტლმა (მუშათა პარტია) ფოსტა-ტელეგ. მინისტრის ამხანაგს მისცა შეკითხვა: რა უფლებით აუკრძალა ფოსტა-ტელეგ. უწყებამ „ნავთის პროდუქტების რუსულ საზოგადოებას“ განცხადების მოთავსება სატელეფონო ცნობარში, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ 1927 წლის მაისში სცნო, რომ ინგლისის სასამართლოებს არ შეუძლიათ ეჭვს ქვეშ დააყენონ საბჭოთ მთავრობის საკუთრების უფლება, თუ კი ეს გამომდინარეობს იმ კანონებიდან, რომელთაც ძალა აქვთ მის ტერიტორიაზე. ფოსტა-ტელეგ. მინისტრის ამხანაგმა უპასუხა, რომ ჩვეულებრივ აკრძალულია ისეთი განცხადებანი, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ პოლიტიკური უთანხმოება და რომ მისი აზრით, ის განცხადებანი, რომელთაც ეხება შეკითხვა, ასეთი კატეგორიის განცხადებების რიცხვს ეკუთვნის. (ადს).

იმპერიალისტები ჩინეთში

შემთხვევა ხანკოუში.

ხანკოუ, 12 მაისი. **12 მაისს ხანკოუში ინგლისის კონცესიის გემთსაყუდეში ინგლისელმა მეზღვაურმა დასჭრა ჩინელი მუშა,** რომელიც ცდილობდა უნებართვოთ გაეტანა ნივთები გემთსადგურიდან. ასეთ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ხანკოუს პროფესიონალურ კავშირებმა გემთსაყუდელში დანიშნეს საკუთარი მცველები. გომინდანის აგიტატორები მოსახლეობას აძლევენ ახსნა-განმარტებას მომხდარი შემთხვევის შესახებ და მოუწოდებენ წესრიგის დაცვისაკენ. (ადს).

შუბლმაგარნი უკმაყოფილონი არიან.

პეკინი, 12 მაისი. გაზეთი „**ფარისტერნ ტაიმს**“ აკრიტიკებს **ჩემბერლენის სიტყვას ჩინეთში წარმოებულ პოლიტიკის შესახებ. გაზეთის აზრით,** ჩემბერლენი დათმობაზე მიდის მუშათა პარტიის წინაშე, როცა ამბობს, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლება ნანკინის ინციდენტის შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ ცდილობს კონსერვატორების გული მოიხმოს, იძლევა რა ცნობას კომუნისტების გამორიცხვის შესახებ გომინდანიდან. (ადს).



იაპონიის კრეისერი „სანდეი“ შანხაიში

კანტონი განაგრძობს ბრძოლას

ლონდონი, 12 მაისი. „ასოშეიტედ პრეს“ ცნობით, **კანტონში, მიუხედავად რეპრესიებისა, გრძელდება რევოლიუციონური პროპაგანდა.** კანტონის დიქტატორმა ლი-ტაი-სინმა ნება დართო ბურჟუაზიულ წრეებს შეადგინონ შეიარაღებული რაზმები. (ადს).

ჩან-ძო-ლინმა „აკრძალა“

ნიუ-იორკი, 12 მაისი. „ჩიკაგო ტრიბუნი“-ს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინმა მუქარის დეპეშა გაუგზავნა შანხაის სავაჭრო პალატას (ჩინურ) და წინადადებას აძლევს მას არ მისცეს სესხი ჩან-კაი-შის. (ადს).

ეშინიათ კომპარტიის დემონსტრაციის

ბერლინი, 12 მაისი. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა სოციალ-დემოკრატმა **გრჟეზინსკიმ** პრუსიის ლანდტაგში განაცხადა, რომ პოლიციის გაძლიერებული მუშაობა მასიურ დემონსტრაციების დასაცავად დიდ ხარჯებს იწვევს, რის გამო უნდა გამორკვეულ იქნეს საკითხი, შეიძლება თუ არა მომავალში ისეთი მასშტაბის დემონსტრაციების დაშვება ბერლინში, როგორიცაა „ფოლადის მუზარადის“ აღლუმი და სხვ. გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ სთვლის, რომ **გრჟეზინსკის განცხადება მოწმობს, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს აკრძალოს ყოფილ ჯარისკაცთა წითელი კავშირების დემონსტრაცია ბერლინში. გაზეთი მოუწოდებს მუშებს პროტესტი განაცხადონ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ.** (ადს).

კომუნისტების დევნა საფრანგეთში

პარიზი, 12 მაისი საფრანგეთის მთავრობის კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც რადიკალების ყველა დეპუტატებმა, 15 კაცის გამოკლებით, პარლამენტში ხმა მისცეს დორიოსა და სხვა კომუნისტებისათვის დეპუტატის ხელშეუხლებლობის წართმევას. მემარჯვენე პრესა მოითხოვს ყველა იმ კომუნისტ-დეპუტატების პასუხისგებაში მიცემას, რომელთაც ხელი მოაწერეს მოწოდებას ჩინეთის რევოლიუციონერებთან დაძმობილების შესახებ. ზოგიერთი გაზეთები მოითხოვენ, რომ მთავრობა არ დაკმაყოფილდეს მარტო ლეგალური ზომებით კომუნისტების წინააღმდეგ.

პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს ალჟირის გუბერნატორმა ვიოლეტმა „ბოლშევიკური საფრთხის შესახებ ახალშენებში“ განაცხადა:

„შინაგან საქმეთა მინისტრის საროს მიერ კომუნისტებისათვის ომის გამოცხადება ყველგან კმაყოფილებას იწვევს. მე ვიმოქმედებ ენერგიულად და დაუზოგავად“.

კომპარტიის ორგანო „ჰუმანიტეში“ გამოქვეყნებულია საფრანგეთის კომპარტიის ცეკას მოწოდება, რომელშიაც ცეკა მიმართავს მუშათა მასებს მხარი დაუჭირონ პარტიის მიერ დაწყებულ ბრძოლას კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ და წინადადებას აძლევს პარტიის წევრებს შეკრიბონ ფულადი შემოწირულებანი. მოწოდება ავალებს პარტიის თითეულ წევრს თვის ბოლომდე შემატოს პარტიას ერთი თანამგრძნობი მაინც. (ადს).

გაზეთების მიმოხილვა

საბჭოთა პრესა

კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადება

ნამდვილად კვალიფიციური მუშა-ხელის ნაკლებობა ეხლაც საგრძნობია ჩვენში (და მთელ საბჭოთა კავშირში), ხოლო მრეწველობის ფართედ გაშლასთან ერთად, ის, ცხადია, უფრო მწვავე შეიქნება, თუ ამ თავითვე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები კვალიფიციურ მუშების მოსამზადებლად. ამ მიზნით კიდეც არსებობენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, საბრიგადო და ერთ პიროვნულ მოწაფეობის ინსტიტუტს. სადაც მოზარდი თაობა იძენს სხვა და სხვა კვალიფიკაციას. ამასთან ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს იმ მუშების გადამზადებას, რომელნიც უკვე დასაქმებული არიან წარმოებაში.

„ჩვენში,—წერს ამის შესახებ ამხ. ს. ლოზოვ—„რაბოჩაია გაზეტა“-ში,—ათეული ათასობით არიან მუშები, თავისი პრაქტიკული საქმის დიდი მცოდნენი, რომელთაც ეძნელებათ რთული ნახაზების წაკითხვა, არ შეუძლიათ ტეხნიკური გამოანგარიშების წარმოება და ამის გამო რჩებიან შედარებით დაბალ თანრიგებში. როცა ვაყენებთ კვალიფიციურ მუშა ხელის მომზადების საკითხს, აქეთკენაც უნდა მივიხედოთ: აქ ჩვენ ვპოვებთ პრაქტიკულ ცოდნასაც, დახელოვნების სურვილსაც, თავისი მუშაობის ხერხების გაუმჯობესების ხალისსაც. მოზრდილ მუშების ამ კატეგორიისათვის რაც შეიძლება ფართედ უნდა შევქმნათ პროფტეხნიკური სკოლები და პროფტეხკურსები თვით ქარხანაში ან მათთან ახლოს.

ეს საჭიროა წარმოებისათვის: ის ასწევს თავის მუშების კვალიფიკაციას, გააუმჯობესებს მათ მუშაობის ხარისხს, გაზრდის მათ შრომის ნაყოფიერებას.

ეს საჭიროა მუშებისათვისაც. არ იქნებოდა სწორი დაგვეკანონებინა ისეთი მდგომარეობა, რომ თუ მუშამ ახალგაზრდობაში კვალიფიკაცია ვერ შეიძინა, მან მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმუშაოს დაბალ კატეგორიაზე. გარდა ამისა, პროფტეხსკოლებს და პროფტეხკურსებს დიდი მნიშვნელობა აქვთ იმ მუშებისათვის, რომელნიც, უმთავრესად, სოფლებიდან მოდიან. მას შემდეგ, რაც ასეთი მუშა ქალაქში მოეწყობა და რამოდენიმე ხანს არა კვალიფიციურ სამუშაოზე გაატარებს, ის მოინდომებს თავის კვალიფიკაციის აწევას. ამის საშუალება მას უნდა მივსცეთ“.

ამგვარად, ჩვენ წინაშე სდგას როგორც მოზარდი მუშების მომზადების, ისე წარმოებაში დაბანდებულ მუშების გადამზადების ამოცანა. მისი გადასაჭრელად უნდა იქნეს გამომუშავებული მთლიანი გეგმა, რომლის გატარებაში სამეცნიერო და განათლების ორგანოებთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფკავშირებმაც.

უცხოეთის პრესა

ბურჟუაზიასთან ერთად და მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას ამას წინად ყრილობა ჰქონდა. მეხუთეა ეს ყრილობა უკანასკნელი ორნახევარი წლის განმავლობაში და ყველა ისინი უტრიალებდენ რეფორმისტული სოციალიზმისათვის უდიდეს საჭირბოროტო საკითხს საპარლამენტო კომბინაციების შესახებ „მეზობელ“ ბურჟუაზიულ პარტიებთან, კერძოთ კი რადიკალ-სოციალისტებთან. ამას წელს მიუმატეს საკითხიც ბოლშევიკებთან დამოკიდებულების შესახებ. დღის წესრიგის ცენტრალური საკითხი იყო სწორედ ასეთი: „სოციალისტური პარტიის დამოკიდებულება ბურჟუაზიულ პარტიებთან და ბოლშევიზმთან“.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელსაც საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „ლიუმანიტე“ უწოდებს პარტიის მემარჯვენე ბელადის—რენოდელის გამარჯვებას. ყრილობაზე ბრძოლა იყო რეზოლიუციის ოთხი პროექტის შორის: მემარჯვენეების (რენოდელი), უკიდურესი მემარცხენეების (მორენი), მემარჯვენე ცენტრის (პოლიფორის, რომელიც პარტიის გენერალური მდივანია) და მემარცხენე ცენტრის (ბრაკეს და ჟირომსკის). ხმის უმეტესობით გავიდა მემარჯვენე ცენტრის (პოლიფორის) რეზოლიუცია, რომელსაც ხმა მისცეს რენოდელის მომხრეებმა, ე. ი. მემარჯვენეებმა.

ამ რეზოლიუციას „ლიუმანიტე“ ასე ახასიათებს:

„თუ არ მივიღებთ მხედველობაში თეორეტიულ „სიტყვიერებას“, რომელიც გალერიისათვის არის განზრახული,—ეს რეზოლიუცია შეიცავს მხოლოდ სამ პრაქტიკულ დებულებას: 1) კონტაქტი **რადიკალებთან შეიძლება** იქნეს დაშვებული; 2) არავითარი კონტაქტი კომუნისტებთან; 3) მუშების არავითარი გაერთიანება არ შეიძლება განხორციელდეს, სანამ ბოლშევიზმი არ მიატოვებს თავის პოლიტიკას.

არაფერი არ არის გასაკვირი ამის შემდეგ თუ ასეთი პრინციპების ნიადაგზე ერთმანეთს შეუთანხმდნენ ბრაკური, რენოდელი, ბლიუმი და პოლ ფორი“.

ასეთი არიან მენშევიკები საფრანგეთში (და სხვაგანაც). ერთი განგაში ასტეხეს მათ იქ რადიკალ-სოციალისტების წინააღმდეგ, რომლებთანაც ისინი 1924 წლიდან დაწყებული ერთათ მიდიოდნენ და მიიმდეროდენ. ასტეხეს იმიტომ, რომ რადიკალ-სოციალისტები პუანკარეს შემოეხვიენ კისერზე ე. ი. იმ კაცს, რომლის დასამარცხებლად 1924 წელს ისინი შეეულენ მენშევიკებს. მიუხედავად ამისა ეს უკანასკნელები კვლავ მიუჩოჩდენ რადიკალებს და გადასწყვიტეს მათთან დაძმობილება, თუმცა ეს აზრი გამოხატეს ფრიად ფრთხილად და თვალთმაქცურად. მაგიერად არავითარი კავშირი, არავითარი კონტაქტი ერთიანი ფრონტის მიზნით კომუნისტებთან. ასეთი კატეგორიული გადაწყვეტილება საჭირო შეიქნა მენშევიკებისათვის, რათა ნიადაგი მომზადონ საარჩევნო შეთანხმებისათვის რადიკალ-სოციალისტებთან, მომავალი საპარლამენტო არჩევნების დროს 1928 წელს.

მართალი იყო გაზეთი „ტან“, როდესაც წერდა ამ დღეებში, რომ ყრილობაზე მიღებული რეზოლიუცია საარჩევნო პლაკატს მოგვაგონებს.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისის მთავრობის ახალი პროვოკაციული გამოსვლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

თავდასხმა „არკოსის“ შენობაზე ლონდონში

ლონდონი, 12 მაისი. დღეს, ნაშუადღევს პოლიცია თავს დაესხა არკოსის შენობას—„სოვეტ-ჰაუს“-ს (საბჭოთა სახლს). საბჭოთა დეპეშათა სააგენტომ პოლიციას სთხოვა ეცნობებია ჩხრეკის მიზეზები, მაგრამ მან ინფორმაციის მიცემაზე უარი განაცხადა. საბჭოთა სააგენტოს ცდა, რომ როგორმე ტელეფონით გამოლაპარაკებოდა სავაჭრო წარმომადგენლობას, უშედეგოთ დამთავრდა.

ლონდონი, 12 მაისი. 200 კაცისაგან შემდგარ პოლიციელთა რაზმს უკავია „სოვეტ-ჰაუს“-ი (საბჭოთა სახლი), ფორმაში გამოწყობილი პოლიციელები იცავენ შენობის შესავალს, ხოლო ჩხრეკას ახდენენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მაძებრები. ჯერ-ჯერობით პოლიცია გამოცხადდა მხოლოდ „არკოს“-ის შენობაში—მურგეტის ქუჩაზე, დანარჩენ საბჭოთა დაწესებულებებში პოლიცია ჯერ არ გამოჩენილა. ამ მოულოდნელმა თავდასხმამ დიდი გაკვირვება გამოიწვია პოლიტიკურ წრეებში. საბჭოთა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში გამოთქმულ იქნა სამი თვალსაზრისი: 1) ჩხრეკა წარმოადგენს ახალ დათმობას „შუბლმაგართა“ მიმართ, და ალბათ, არ გამოიწვევს სერიოზულ შედეგებს; 2) შეიძლება, ჩხრეკა მიზნათ ისახავს შექმნას შესაძლებლობა ახალი ყალბი დოკუმენტების შესადგენად; 3) შესაძლებელია, ჩხრეკის მოხდენის მიზანია ახალი პროვოკაციის მოწყობა საბჭოთა მთავრობის მიმართ.

საბჭოთა კავშირის რწმუნებულმა ლონდონში როზენგოლცმა და სრულუფლებიან წარმომადგენლობის პირველმა მდივანმა ინახულეს საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩემბერლენთან შესახვედრათ და მისთვის პროტესტის გადასაცემად.

„არკოს“-ში მსახურმა ქალებმა, რომელთაც დაკითხეს „არკოსი“-ს შენობიდან გამოსვლის შემდეგ, განაცხადეს, რომ პოლიცია მოქმედებდა უხეშად,—სცემდა მოსამსახურეებს და სხვ. ჩხრეკის დროს სატელეფონო კავშირი „არკოს“-თან, სავაჭრო წარმომადგენლობასა და სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან ერთ და იმავე დროს შეწყდა. ჩხრეკის შემდეგ ტელეფონებმა ნორმალურად იწყეს მუშაობა (ადს).

ლონდონი, 12 მაისი. საიდუმლო პოლიციის სპეციალური განყოფილების უფროსი ჩაილდვი „სოვეტ-ჰაუს“-ში (საბჭოთა სახლში) გამოცხადდა საღამოს რვის ნახევარზე. ცხრის ნახევარზე პოლიციელების მეტმა ნაწილმა დასტოვა შენობა, დარჩა მხოლოდ დამცველი რაზმი. ყველა მოსამსახურეები განთავისუფლებული არიან.

დოკუმენტების განხილვა განახლდება ხვალ დილით. ჯერ-ჯერობით შენობიდან არავითარი ქაღალდი არ არის გატანილი (ადს).

ჰენდერსონის შეკითხვა

ლონდონი, 13 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ჰენდერსონი შეეკითხება ხვალ თავისი სახელით თემთა პალატაში შინაგან საქმეთა მინისტრს, მართალია თუ არა, რომ პოლიციამ მოახდინა თავდასხმა არკოსის შენობაზე, თუ საბჭოთა სავაჭრო დელეგაციაზე, თუ ორივე ორგანიზაციების შენობებზე მინისტრის განკარგულებით; თუ ასეთი თავდასხმა მოხდა, შეუძლია თუ არა მინისტრს ასსნა-განმარტების მიცემა, თუ რა მიზეზით მოხდა ასეთი გამოსვლა და გააცნოს თემთა პალატას დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ“ (ადს).

დაწვრილებითი ცნობები ჩხრეკის შესახებ

ლონდონი, 13 მაისი. არკოსში ჩხრეკა დაიწყო ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე და აქამდი გრძელდება. ღამით შენობაში და შენობის ირგვლივ დარაჯობდა პოლიცია. თანამშრომლები დაკავეს, ძალით გამოიყვანეს დერეფანში, სადაც ისინი პირადათ იქნენ გაჩხრეკილი, მხოლოდ გვიან, საღამოს სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილის ამხ. ბოევის ენერგიული პროტესტის შემდეგ თანამშრომლებს ნება მისცეს დაეტოვებინათ შენობა. პოლიციამ ჩხრეკა დაიწყო ორდერის წარუდგენლად; მხოლოდ ერთი საათის ჩხრეკის შემდეგ წარუდგინეს არკოსის დირექტორის სოროკინს ორდერი. ყველა სეიფები, შკაფები და მაგიდები გახსნილ იქნა პოლიციის მიერ არკოსის წარმომადგენელთა დაუსწრებლად. თანამშრომელი ხუდიაკოვი, რომელმაც უარი განაცხადა პოლიციისთვის სეიფის გასაღების მიცემაზე, რომელშიც პირადი ქაღალდები, შიფრი და სავაჭრო წარმომადგენლობის შიფრიანი დეპეშები ინახებოდა, პოლიციამ სცემა.

ჩხრეკის ორდერი სავაჭრო წარმომადგენლობაში

ლონდონი, 13 მაისი. ამჟამად უკვე დამტკიცებულია, რომ ჩხრეკის ორდერი წარმოადგენს ნებართვას, როგორც არკოსის, ისე სავაჭრო წარმომადგენლობის შენობების დათვალიერებისას. „სოვეტ - ჰაუს“-ში ჩხრეკის დროს დაპატიმრებულთა შორის არის სავაჭრო წარმომადგენლობის ერთ-ერთი მდივანი გლადუნი, „დეილი ჰერალდის“ რეპორტიორი და რამოდენიმე სხვა პირი, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ არც არკოსთან, არც სავაჭრო წარმომადგენლობასთან.

საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულის პროტესტი

ლონდონი, 13 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა დღეს დილით ინახულა გარეშე საქმეთა სამინისტრო, ისაუბრა ჩემბერლენთან ნახევარი საათის განმავლობაში და ფორმალური პროტესტი განაცხადა თავდასხმის წინააღმდეგ“.

კიდევ ერთი შესწორება

ლონდონი, 12 მაისი. 12 მაისს თემთა პალატის სხდომაზე გენერალურ პროკურორმა განაცხადა, რომ **მთავრობას განზრახული აქვს კანონ-პროექტში პროფკავშირების შესახებ შეიტანოს შესწორება**, რომელიც გულისხმობს, რომ იმ პირებზე, რომლებიც მხოლოდ მონაწილეობას იღებენ გაფიცვაში, მაგრამ, რომელთაც არ მიუღიათ აქტიური მონაწილეობა საყოველთაო გაფიცვის ორგანიზაციაში და მომზადებაში, არ ვრცელდება კანონპროექტში გათვალისწინებული სასჯელი. (ადს).

ბალკანეთის ანტანტა

ანგორა, 12 მაისი. „ხაკიმიეტ მილიე“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ბულგარეთის ელჩმა პავლოვმა აღნიშნა ოსმალეთ-ბულგარეთის ურთიერთობის მეგობრული ხასიათი და განაცხადა, რომ მიზანშეწონილი იქნება ბალკანეთის ანტანტის შექმნა. ანტანტის სათავეში უნდა იდგეს ოსმალეთი, ვინაიდან ის არის ბალკანეთის ერთად ერთი სახელმწიფო, რომელიც ნორმალურ ურთიერთობაშია ბალკანეთის დანარჩენ სახელმწიფოებთან. (ადს).

17 საათში 8 სიტყვა

ლონდონი, 13 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 13 მაისს დილის 3 ნახევარ საათზე, შეწყდა თემთა პალატაში პროფკავშირების კანონპროექტის განხილვა და გადაიდვა 16 მაისის დილისთვის.

თუ რამდენათ ჩქარა იხილავენ კანონპროექტს იქიდან სჩანს, რომ თემთა პალატის კომისიამ 17 საათის განმავლობაში განიხილეს მხოლოდ 8 სიტყვა, ე. ი. დავიდენ პირველი სტატიის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ბოლომდი. კომისიამ განიხილა მხოლოდ 3 ფურცელი შესწორება 47 ფურცლიდან.

„მორნინგ პოსტი“

მოუწოდებს „მამაცობისაკენ“

ლონდონი, 13 მაისი. „მორნინგ პოსტი“ თავის მოწინავეში ამტკიცებდა, რომ საბჭოთა პოლიტიკა აყენებს რა უდიდეს ზიანს ინგლისის ინტერესებს ჩინეთში, ხელახლა იმზირება ინდოეთისკენ, და რომ ინგლისის ავტორიტეტი დაეცა ინდოეთში რამდენიმე წინდაუხედავი დათმობის შედეგად“.

ხაზს უსვამს რა, სტატიის ბოლოში ინგლისის მიმართ საბჭოების საზარალო მოქმედებას ავღანისტანში, გაზეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ ინგლისი მამაცურად შეხვდეს მოსკოვის მოქმედებას“.

უნგრელ ს.-დემოკრატების

შეთანხმება ბეტლენთან

ვენა, 13 მაისი. უკანასკნელი ცნობებით მტკიცდება, რომ დაშლა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა, რომელიც დაარსა და ხელმძღვანელობდა ვაგი, არის შედეგი სოციალ-დემოკრატების შეთანხმებისა პრემიერ-მინისტრ ბეტლენთან. სოციალ-დემოკრატები ჩქარობდენ თავიდან მოეშორებიათ ლეგალური სოციალისტური მუშათა პარტია, რადგან ეშინოდათ, რომ იგი გაიმარჯვებდა საავადმყოფო კასების ფარულ არჩევნებში.

ზინოვიევის ახალი გამოსვლის წინააღმდეგ

მოსკოვი, 13 მაისი. ამხ. ზინოვიევის გამოსვლამ გაზ. „პრავდა“-ს საიუბილეო კრებაზე მოსკოვის პარტორგანიზაციების წევრებს შორის ღრმა აღშფოთება გამოიწვია. ქალაქის ყველა რაიონებში შედგა უჯრედების კრებები, რომელთაც გამოიტანეს რეზოლიუციები, სადაც მოითხოვენ გადამჭრელი ზომების მიღებას ამხ. ზინოვიევის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი გამოსვლით დაარღვია პარტდისციპლინის ელემენტარული საფუძვლები. ზინოვიევის გამოსვლის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლიუციებს გზავნიან აგრეთვე ლენინგრადიდან, ვიატკიდან; უფიდან; ნოვოსიბირსკიდან და სხვა ქალაქებიდან. (ადს).

ახალი სალაუგო

ბერლინი, 12 მაისი. ინგლისის და იაპონიის მთავრობებმა ერთი ლიგის სამდივნოს აცნობეს, რომ მათ გადაწყვიტეს შეერთებულ შტატების მიპატიჟებით თანახმად მონაწილეობა მიიღონ სამთა კონფერენციაზე საზღვაო განიარაღების შესახებ. კონფერენცია გაიხსნება ივნისში, ჟენევაში. (ადს).

ბელორუსების გასამართლება

გროდნო, 12 მაისი. დაიწყო 32 ბელორუსის პროცესი; ბელორუსებს ბრალს დებენ კომუნისტურ მუშაობაში. (ადს).

საბჭოთა ექსპონატები ბრიუსელის გამოფენაზე

მოსკოვი, 13 მაისი. საბჭოთა კავშირის მბეჭდავთა კავშირის ცეკამ ლიტოგრაფიული ნამუშევარის საერთაშორისო გამოფენაზე ბრიუსელში გაგზავნა საბჭოთა პოლიგრაფიული წარმოების ექსპონატები. გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტი მბეჭდავთა კავშირის ცეკას სახელზე გაგზავნილ წერილში მადლობას უცხადებს გაგზავნილი ექსპონატებისათვის და გამოსთქვამს აღფრთოვანებას საბჭოთა კავშირის პოლიგრაფიული მრეწველობის ნაწარმოების, განსაკუთრებით მხატვრული პლაკატების ღირსებით. გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტი გამოსთქვამს რწმენას, რომ ეს ექსპონატები მეტად დიდ ყურადღებას მიიპყრობენ გამოფენაზე. (ადს).

პარტიის ამოცანები სას. სამ. გადასახადის კამპანიაში

ამ.-კავ. ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

ამიერ-კავკასიის მთავრობა უკვე შეუდგა 1927-28 წლის მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარებას.

ამ ამოცანის წარმატებითი განხორციელება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ამიერ-კავკასიის პარტ. ორგანიზაციებს.

პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ საკითხს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში წარმოებულ მუშაობის ხელმძღვანელობის და ამ მუშაობის ნორმალურად წარმართვის შესახებ, და ყოველმხრივ უნდა გაითვალისწინონ და გამოიყენონ წარსულ წლების კამპანიების გამოცდილება.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების პრაქტიკამ წარსულ წლებში განსაკუთრებით 1926-27 წელს, როცა ვეყრდნობოდით გადახალისებულ კანონს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, გამოამჟღავნა მთელი რიგი დეფექტებისა თვით კამპანიის გატარებაში, განსაკუთრებით აღრიცხვის საკითხებში. ცალკე საგლეხო მეურნეობათა შემოსავლის წყაროების (დაბეგვრის ობიექტების) სწორი აღრიცხვა განსაზღვრავს კამპანიის არა მარტო ფინანსიურ შედეგებს, არამედ უმთავრესად მისგან არის დამოკიდებული აგრეთვე საკითხი საგადასახადო ტვირთის სწორი განაწილების შესახებ გლეხობის ცალკე ფენებს შორის, და, მაშასადამე, ჩვენი პოლიტიკის სისწორე საგლეხო მეურნეობის მოწესრიგების და დაგროვილ დოვლათის განაწილების საკითხში.

წარსული წლის კამპანიის უმთავრესი დეფექტი იყო საზოგადოებრივ ორგანიზაციების—პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირის, გლეხთა საურთიერთო კომიტეტების და სხვა ორგანიზაციების—არასაკმაო მონაწილეობა კამპანიის ჩატარებაში. იმ გარემოებამ, რომ წარსულში მუშაობა დაკისრებული ჰქონდათ ძირითადათ ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული სოფელთან და, რომელთაც არ ქონდათ საკმაოდ შეგნებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობა მთელს ჩვენ პოლიტიკაში, გამოიწვია შემოსავლის, წყაროთა აღრიცხვის შესამჩნევად გადამახინჯება. აღრიცხვის ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებამ სახელმწიფოსაგან მოითხოვა მნიშვნელოვან ძალების და საშვალებების დახარჯვა, შეაჩერა კამპანიის მსვლელობა და ნაწილობრივი უკმაყოფილება გამოიწვია ზოგიერთ რაიონებში, სადაც საჭირო შეიქნა ხელახალი აღრიცხვის გატარება.

ითვალისწინებს რა ყველა ამას, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა ცენტრალურ და სამაზრო პარტორგანიზაციებს მომავალ კამპანიისათვის მიიღონ ყოველივე ზომები წარსულ წელს შემჩნეულ დეფექტების თავიდან ასაცილებლად. კამპანიის სისწორით გატარების ერთ-ერთი გარანტიაა გლეხთა ფართე მასების გაცნობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონთან, მისი გატარების ტექნიკასთან, რის გამო პარტორგანოებმა უნდა დაიწყონ ფართე კამპანია დეკრეტის განსამარტავად, განსაკუთრებით ყოველ მხრივი ახსნა-განმარტება უნდა მისცენ ღარიბ გლეხობის ფენებს იმ უპირატესობათა შესახებ, რომლებიც მათთვის გამომდინარეობს ახალი დებულებიდან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

ადგილობრივი პარტორგანიზაციები ვალდებულნი არიან წინასწარ, ყოველ მხრივ დაამუშაონ თავიანთ კრებებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხები, განსაკუთრებით აღრიცხვის საკითხები, ამ საქმეში კომკავშირის ორგანიზაციების ჩაბმით, და დასვან შემდეგ ეს საკითხები განსახილველად ღარიბ გლეხთა ჯგუფების კრებებზე და ღარიბ გლეხთა საერთო კრებებზე თვითეულ სოფელში. ამ კრებებზე უნდა გააშუქონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობა და აგრეთვე გამოჰყონ გლეხთა კანდიდატები აღრიცხვის გამტარებელ აპარატში, რისთვისაც წამოყენებულ უნდა იქნენ შეგნებული და მოწინავე ღარიბი გლეხები.

პარტორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა საბჭოების მიერ გამოყოფილ კომისიებში მუშაობდნენ სოფლის შეგნებული და მოწინავე ელემენტები და აგრეთვე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სოფლის ღარიბი მოსახლეობის მონაწილეობა კომისიებში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების მთელი მუშაობის საბჭოებისათვის გადაცემის გამო, უკანასკნელნი ვალდებულნი არიან უდიდესი ყურადღება მიაქციონ ამ მუშაობას და ჩააბან მასში სასოფლო-საბჭოების აქტიური და მოწინავე წევრები, უმთავრესად, საფინანსო საგადასახადო სექციები იქ, სადაც ასეთები მუშაობენ, ხოლო პარტიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ისინი საჭირო ხელმძღვანელობით, დახმარებით.

საჭიროა სოფლის ყველა საზოგადოებრივი ძალები გამოყენებულ იქნას ბრძოლაში სოფლის კულაკურ, შეძლებულ ელემენტების მიერ შემოსავლის დაფარვის წინააღმდეგ.

განსაკუთრებით უნდა იქნეს გაშუქებული საკითხი იმ შეღავათების შესახებ, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის დროს ეძლევა ბამბის და კანაფის ნათესებს, იმ მეურნეობათა წასახალისებლად, რომელნიც იძლევიან ძვირფას კულტურებს. გარდა ამისა, სავსებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კანონის მიერ წითელ-არმიელთა ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათები.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ ყოველივე ზომები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩასატარებლათ, როგორც რესპუბლიკანურ, ისე ადგილობრივ პრესაში. გარდა ამისა, საჭიროა გამოიცეს სპეციალური პოპულიარული ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება გლეხობის ფართე ფენებისათვის.

ცენტრალურ და ადგილობრივ პარტ ორგანიზაციებმა სისტემატიურად თვალყური უნდა ადევნონ კამპანიის ჩატარებას ადგილებზე და პრაქტიკაში უნდა შემოიღონ მაზრის პასუხისმგებელ მუშაკთა მიმაგრება ცალკე რაიონებთან კამპანიის სახელმძღვანელოდ. ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციები პერიოდულად უნდა ღებულობდენ მიმაგრებულ ამხანაგების და ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის წერილობითი მოხსენებებს მუშაობის მსვლელობის შესახებ.

კამპანიის მთელი პერიოდის განმავლობაში ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტს განუწყვეტლივ უნდა ეგზავნებოდეს ინფორმაცია მუშაობის მსვლელობის შესახებ მთლიანად და მისი ცალკე განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტების შესახებ.

საკ. კ. პ. (ბ) ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი

მ. ორახელაშვილი.

რა ხდება უცხოეთში

ფაშისტური ტერორი ბულგარეთში

ინგლისის მუშათა პარტიის ორგანომ „დეილი ჰერალდმა“ ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოათავსა საუბარი დეპუტატ უოლხედთან, რომელმაც მუშათა პარტიის მეორე დეპუტატ გრენფელთან ერთად ინახულა ბულგარეთი. დეპუტატების მიზანი იყო ბულგარეთის მუშათა მდგომარეობის გაცნობა ადგილობრივ.

აი რას ამბობს უოლხედი:

„ტერორმა ბულგარეთში რამდენიმეთ შესცვალა თავისი ფორმები, მაგრამ მისი სიმკაცრე არ შენელებულა. ახლა ტერორის პოლიტიკას ანხორციელებს არა უშუალოდ მთავრობა, არამედ ფაშისტური ბანდები, რომლებიც განსაკუთრებით პროვინციაში ძვინვარებენ“.

„ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა,—განაგრძობს უოლხედი,—რომ ეს ნაძირალები სარგებლობენ გავლენიანი პირების და თვით მთავრობის მფარველობით“.

„ფაშისტური ბანდები ორ ნაწილათ იყოფა: ნაწილი შესდგება ოფიცრებიდან, მეორე—წვრილი ბურჟუაზიისაგან. როგორც ერთი, ისი მეორენი სრულ უპასუხისმგებლობას გრძნობენ, განსაკუთრებით სადაც ადმინისტრაცია თანაუგრძნობს ფაშისტებს“.

„რამდენადაც ჩვენ ვიცით, ექიმ ბაშევისა და მისი ოჯახის დაღუპვა (ბაშევი და მისი ოჯახობა ცოცხლად დაიწვენ ყოველი მხრიდან ცეცხლწამკიდებელ სახლში)—ამ არამზადების საქმეა“.

შეიხო რა შემდეგ ინგლისის კონსერვატიული მთავრობის დამოკიდებულებას ბულგარეთისადმი, უოლხედმა განაცხადა:

„ბულგარეთის ფაშისტები აშკარად აცხადებენ, რომ ინგლისის მხრივ მათ არავითარი საფრთხე არ მოელით; რადგან ინგლისმა დაამტკიცა, რომ იგი ყველა რეაქციონური მთავრობაის მეგობარია“.

ბულგარეთის პრემიერ ლიაპჩევთან საუბარის დროს დეპუტატებმა წამოაყენეს პოლიტ-პატიმრების ამნისტიის საკითხი. ლიაპჩევმა ამაზე განაცხადა, რომ ეს „საშიში“ იქნებოდა; რადგან „განთავისუფლებულ პოლიტ-პატიმრებს თავს დაესხმოდენ ფაშისტური ჯგუფები“.

ასეთია ფარისევლობა ბულგარელი ჯალათის, რომელიც მუშებს „იცავს“ იმით; რომ ათეული წლებით ყრის მათ ბნელ ჯურღმულებში.

ამერიკის კაპიტალი კანადაში

„ფინანშიელ პოსტ“-ის (გამოდის ქ. ტორონტოში, კანადა) ცნობით, ამჟამად კანადაში ბატონობს შეერთებული შტატების კაპიტალი, რომელმაც მეორე რიგში მოაქცია ინგლისის კაპიტალი, ამას ადასტურებენ ქვემოთმოყვანილი ციფრები, რომლებიც ახასიათებენ ინგლისისა და შეერთებული შტატების კაპიტალების განაწილებას კანადის წარმოებებში:

	შეერთებული შტატების კაპიტალები	ინგლისის კაპიტალები
1913 წ.	417.143.220 დოლ.	1.860.000.000 დ.
1923 წ:	2.478.500.000 „	1.995.000.000 „
1926 წ.	3.016.000.000 „	2.071.000.000 „

1926 წლის იანვარში უცხოეთის კაპიტალი სახ. მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ასე ნაწილდებოდა (მილიონ დოლარებში):

	შეერთებულ შტატების კაპიტალი	ინგლისის კაპიტალი	სხვა ქვეყნების კაპიტალი
სახელმწიფო სესხები	879	437	5
რკინის გზები	435	951	35
სატყეო მრეწველობა	425	70	25
ნახშირის მრეწველობა	300	110	25
თევზის მრეწველობა	7	3	1
საზოგადო სარგებლობის წარმოებები	200	125	20
დანარჩენი სამრეწველო წარმოებები	625	160	10
მიწა	100	125	20
ბანკები და დაზღვევის საქმე	45	90	12
	3.016	2.071	153

ამერიკელი კომპანიების მოგება

შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს ცნობებით, ამერიკელმა კომპანიებმა ძირითადი კაპიტალი 258.580.000 დოლარს უდრის, მოიგეს 4.335.912.000 დოლარი, 6 პროცენტით მეტი; ვიდრე 1925 წ.

ამოდენა თანხა, რომელიც მოხვდა შედარებით მცირე-რიცხოვანი ჯგუფის ჯიბეში, უდრის 3.250.000 მუშის წლიურ ხელფასს.

ამერიკელი კომპანიების მოგება 1926 წ. 27 პროცენტით არის გაზრდილი 1926 წელთან შედარებით და 144 პროც. 1913 წელთან შედარებით.

მუშათა მოძრაობა

ბრძოლა საფრანგეთის ნახშირის მრეწველობაში.

ინგლისის მემაღაროეთა დამარცხებამ და ნახშირის ამოღების განახლებამ ინგლისში, შრომის გაძლიერებული ექსპლოატაციის პირობებში, მეტად საშიში კონკურენცია შექმნა საფრანგეთის და ბელგიის ნახშირის მრეწველობისათვის. ამ კონკურენციის შედეგი არის ის, რომ საფრანგეთ-ბელგიის ნახშირის მრეწველობაში თავი იჩინა გასაღების მწვავე კრიზისმა, რომელმაც აიძულა მაღაროს პატრონები დაესვათ ნახშირის ღირებულების დაკლების საკითხი. ნახშირის ღირებულების დაკლება კი მწარმოებლებს შესაძლებლად მიაჩნიათ მხოლოდ ხელფასის შემცირების გზით.

მიიღეს რა მთავრობის და „საზოგადოებრივი აზრის“ (ე. ი. კაპიტალისტების გაზეთების აზრის) დასტური, მაღაროების პატრონებმა წინადადება მისცეს მუშებს ხელფასის შემცირების შესახებ 3 ნახ. ფრანკით (28 კაპ.) დღეში.

მწარმოებლების შემოტევა შრომის ხელფასზე დაიწყო სწორეთ იმ დროს, როცა სიძვირემ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია და მემაღაროეთა მასების საშინელი აღშფოთება გამოიწვია. მემაღაროეთა რევოლიუციონურმა პროფკავშირმა და კომპარტიამ მიიღეს ზომები, რომ მემაღაროეთა მასების აღშფოთებას მიეღო მტკიცე და შეკავშირებული წინააღმდეგობის ფორმები. მაგრამ აქ ასპარეზზე გამოვიდენ რეფორმისტული ლიდერები. მემაღაროეთა რეფორმისტულმა ფედერაციამ, „შრომის საყოველთაო ფედერაციის“ (რეფორმისტული პროფკავშირების გაერთიანება) დახმარებით, საქვანახშირო რაიონებში დაიწყო ენერგიული კამპანია ბრძოლაზე ხელის აღებისა და სრული კაპიტულიაციის სასარგებლოდ.

თავის ამ მორიგ მოღალატეობას რეფორმისტები იმით ასაბუთებდენ, რომ შეუძლებელია ბრძოლა ნახშირის გასაღების კრიზისის პირობებში, მით უფრო, რომ მაღაროების პატრონებს დახმარებას უწევს პუანკარეს მთავრობაო. მუშებს აშინებდენ ლოკაუტის საფრთხით და ინგლისელ მემაღაროეთა გაფიცვის მაგალითით.

რეფორმისტების მოღალატური კამპანია დასრულდა იმით, რომ **მემაღაროეთა რეფორმისტული ფედერაციის წარმომადგენლებმა პარიზში ხელი მოაწერეს შეთანხმებას მაღაროების პატრონებთან. ამ შეთანხმებით კანონდება დაკლებული შრომის ხელფასი (15 აპრილიდან) ჩრდილოეთის, პადე-კალეს და ლუარის საქვანახშირო რაიონებში. უფრო ადრე ასეთივე შეთანხმება იქნა დადებული საარისა და მოზელის რაიონებში.** ამ რაიონების მემაღაროეთა რეფორმისტული პროფკავშირის წარმომადგენელთა კონფერენციამ, რომელიც ლილში შესდგა, დაადასტურა პარიზის კაპიტულიაცია.

ბურჟუაზიული პრესა, რომელიც მიღწეულ შეთანხმებას ახასიათებს როგორც „კომუნიზმის დამარცხებას“, ზეიმობს. მაგრამ ეს ზეიმი ძალიან ნაადრევია. მემაღაროეთა მასსისათვის არაფერი უკითხავთ და **რეფორმისტული ლიდერები დაინტერესებულ მუშათა დიდი უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდენ.** მემაღაროეთა უნიტარული (რევოლიუციონური) ფედერაცია შეუსუსტებელი ენერგიით განაგრძობს საპროტესტო კამპანიას ერთიანი ფრონტის ლოზუნგით. ეს კამპანია მხურვალე გამოძახილს პოულობს მემაღაროეთა მასებში.

უნიტარული ფედერაცია ამჟღავნებს მოღალატურ ტაქტიკას რეფორმისტულ ბელადებისას, რომლებმაც თავის დროზე უარი უთხრეს დახმარებაზე ინგლისელ მემაღაროებს, რასაც მაშინაც იმით ასაბუთებდენ, რომ „ბრძოლა შეუძლებელიაო“. ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელ მემაღაროების დამარცხების შედეგებს მწვავედ განიცდიან სხვა ქვეყნების მემაღაროები, რეფორმისტები კვლავინდებურად მოუწოდებენ მუშათა კლასს შეამცირონ თავისი ხელფასი მწარმოებლების სასარგებლოდ. მეორე მხრივ, მემაღაროეთა რევოლიუციონური პროფკავშირი და კომპარტია აქარწყლებენ რეფორმისტების „პორაჟენცულ“ „საბუთებს“ და აღნიშნავენ, რომ **ახლანდელ ფინანსიურ პირობებში საფრანგეთის ბურჟუაზია ვერ გაუძლებს მემაღაროეთა ხანგრძლივ გაფიცვას, ვინაიდან უცხოეთიდან ნახშირის შემოზიდვის გაძლიერება ახალ კატასტროფას უმზადებს საფრანგეთის ვალიუტას.** ა. მ.

აღმოსავლეთში

მუშათა კანონმდებლობა ოსმალეთში

კანონპროექტი მუშათა საკითხზე, რომელიც სამი წლის განმავლობაში მუშავდებოდა, მინისტრთა საბჭომ დასამტკიცებლად წარუდგინა ოსმალეთის დიდი ნაციონალურ კრებას. ოსმალეთის პრესა გაცხოველებით იხილავს ამ კანონპროექტს.

გაზეთმა „იკდამ“-მა მიზნათ დაისახა მუშების აზრის გაგება ამ კანონპროექტის შესახებ, რისთვისაც სპეციალური ანკეტა გამოუშვა მუშებისათვის გაზეთი აცხადებს: **იმ მიზნით, რომ შევქმნათ გონივრული და მუშათა კლასის დამაკმაყოფილებელი კანონები, საჭიროა გავიგოთ თვით ჩვენი აღორძინების გზაზე მდგარი მრეწველობის მუშების აზრი.**

გაზეთის მოწოდებამ, რომ შეივსოთ ანკეტები, მხურვალე გამოძახილი ჰპოვა მუშათა მასებში.

გაზეთი „იკდამ“ ყოველდღე თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავს ანკეტებს და მუშების წერილებს ამ საკითხზე. **მუშების წერილების უმრავლესობა საჭიროთ თვლის, რომ შრომის კანონმდებლობას საფუძვლად დაედვას საბჭოთა კავშირში მიღებული პრინციპები.**

ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრი ძლიერ არის დაინტერესებული კამპანიით, რომელსაც გაზეთი ატარებს.

პარტია და დაწინაურების საკითხი

ცირკულიარულად

ამიერ-კავკასიის ნაციონალურ კომპარტიების ყველა ცენტრალურ კომიტეტებს; ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს, ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის და ამ.-კავკ. ცაკის კომფრაქციებს

საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილების გამო, რომელიც შეეხება პროფესიონალურ ორგანიზაციების მონაწილეობის გაძლიერებას სახელმწიფო აპარატში მუშების დაწინაურების საქმეში და მათთვის ამ დარგის მთელი ოპერატიული მუშაობის დაკისრების, და აგრეთვე ცეკას ზოგიერთ ახალ მითითებების გამო, რომლებიც დაკავშირებული არიან დაწინაურების საკითხთან, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ყველა წინათ გაგზავნილ ინსტრუქციების შესაცვლელად და შესავსებად წინადადებას იძლევა მუშათა და გლეხთა დაწინაურების საკითხში სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს შემდეგი:

1) დაწინაურებისათვის წარმოებულ მუშაობაში მთავარი როლი უნდა დაეკისროს პროფორგანიზაციებს, როგორც კანდიდატების შერჩევის მხრივ, ისე სამუშაოზე ფაქტიურად დაყენების და დაწინაურებულთა შესწავლის მხრითაც, ამას თანავე ერთად დაწინაურების ინიციატივას ინარჩუნებენ საბჭოები, კოოპერატიული ორგანიზაციები და დაწესებულებების (წარმოებების) ხელმძღვანელები, რომლებიც დაწინაურების ყველა საკითხებს უკავშირებენ სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

დაწინაურებისათვის წარმოებულ მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა და ამ მუშაობისათვის თვალყურის დევნება ეკუთვნის პარტიულ ორგანიზაციებს; პარტიულ ორგანიზაციების გამგეობაში რჩება აგრეთვე პარტაქტივის დაწინაურებასთან დაკავშირებული საკითხები და აგრეთვე იმ დაწინაურებულთა პერსონალური აღრიცხვა და შესწავლა, რომელთაც ხაპასუხისმგებლო ადგილები უკავიათ.

2) დაწინაურების დარგში მუშაობის საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად, პარტიულ ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გლეხობის დაწინაურების გაძლიერებას. დაწინაურებულ უნდა იქნენ მოჯამაგირეების, ღარიბ გლეხების და საშუალო გლეხთა საუკეთესო ნაწილის უფრო ენერგიული ელემენტები, რომელთაც თავი გამოიჩინეს საბჭოების კოოპერაციის და სადილეგატო კრებების მუშაობაში, და აგრეთვე გამოყენებულ უნდა იქნენ ობაში, და აგრეთვე გამოყენებულ უნდა იქნენ მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის და პროფორგანიზაციების აქტივი.

3. პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ დაწინაურებულ უპარტიო მუშების და მუშა ქალების, გლეხების და გლეხ-ქალების რიცხვის გადიდებას.

4. ადგილების შევსების დროს დასაშვებად ჩაითვალოს, სადაც საჭიროა ერთგვარი სტაჟი და სპეციალური მომზადება, სამუშაოზე გაგზავნა არა მარტო დაწინაურებულ დაზგის მუშების; გუთნის გლეხების და ქვედა საფეხურის პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოების მუშაკების, არამედ იმ მუშების და გლეხების (თავის სოციალური მდგომარეობით) გაგზავნაც, რომელთაც წინათ მიუღიათ გამოცდილება საზოგადოებრივ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობაში, ან გაუთავებიათ სპეციალური კურსები და სასწავლებლები.

5) დაწინაურება, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, უნდა ხდებოდეს მხოლოდ კონკრეტიულ, წინდაწინვე განსაზღვრულ სამუშაოზე, რისთვისაც საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა ორი თვის ვადაში შეადგინონ სახელმწიფო და სა[illegible] აპარატის დაწესებულებებში არსებობენ [illegible]ების ნუსხა, რომლებზედაც პირველ [illegible], საჭიროა მოხდეს წამოყენება.

იმ თანამდებობათა აღნუსხვა, რომელნიც არ შედიან სათანადო პარტიულ კომიტეტების ნომენკლატურულ აღრიცხვაში, უნდა გადაეცეს სათანადო პროფორგანიზაციებს, რომელნიც რეზერვში მყოფ დაწინაურებულთ აგზავნიან ამ თანამდებობებზე მათი განთავისუფლებისთანავე. სამუშაოზე გაგზავნა წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო პარტკომთან.

იმ თანამდებობებზე კი, რომლებიც შედიან ნომენკლატურულ აღრიცხვაში, დაწინაურებულთა შერჩევას და გაგზავნას აწარმოებენ სათანადო პარტკომები, სათანადო პროფორგანიზაციებთან წინასწარ შეთანხმებით.

შენიშვნა: გარდა მივლინების მოწმობისა, რომელსაც პროფორგანიზაცია აძლევს დაწინაურებულ—პარტიულს, უკანასკნელი სათანადო პარტკომისაგან ღებულობს აგრეთვე საგზაო ხარჯებს.

დაწინაურებულთათვის ადგილების შემონახვას პარტიული კომიტეტები აწარმოებენ პროფორგანიზაციასთან და დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად, რომელსაც უმთავრესად ეკისრება პასუხისმგებლობა თანამდებობათა სისწორით გამოყენებისათვის.

განსაზღვრულ დროის შემდეგ, როცა შემონახული ადგილები უკვე დაკავებულია დაწინაურებულთა მიერ, პარტიული ორგანიზაციები კვლავ ახდენენ დაწესებულებათა შემადგენლობის გადათვალიერებას დაწინაურებულთა ახალი რიცხვის განსაზღვრის მიზნით.

6. სხვადასხვა დაწესებულებებში გაგზავნილ დაწინაურებულთა პერსონალური აღრიცხვა ჩატარებულ უნდა იქნეს პროფესიონალური ხაზით და აგრეთვე საბჭოების და კოოპერაციის ხაზით. პარტიული ორგანიზაციები აწარმოებენ იმ დაწინაურებულთა პერსონალურ აღრიცხვას, რომელნიც მუშაობენ სათანადო პარტიულ კომიტეტების ნომენკლატურაში შემავალ თანამდებობებზე; აღრიცხვა სწარმოებს პირადი საქმის, მიხედვით, რომელიც ეკუთვნის პასუხისმგებელ მუშაკთა ნომენკლატურულ აღრიცხვას, და აგრეთვე ბარათის მიხედვით. (იხ. დამატება). სპეციალურ ანკეტების წარმოება გაუქმებულია. პერსონალურ აღრიცხვის გარდა პარტიული კომიტეტები განაგრძობენ დაწინაურებულთა სტატისტიკურ აღრიცხვას იმ ფორმის მიხედვით, რომელიც ა.-კ. საოლქო კომიტეტმა დაგზავნა № 7697-ით 1927 წლის 17 აპრილის თარიღით.

აღნიშნულ სტატისტიკურ ცნობებს პროფესიონალური ორგანიზაციები სათანადო პარტიულ კომიტეტებში არდგენენ ექვს თვეში ერთხელ.

7) დაწინაურებულთა ყოველგვარი გადაყვანა სხვა სამუშაოებზე ხდება ადმინისტრაციის შეთანხმებით პროფორგანიზაციებთან; იმ დაწინაურებულთა გადაყვანის შესახებ კი, რომელთაც უკავიათ პარტიულ კომიტეტების ნომენკლატურაში შემავალი თანამდებობანი, დაწესებულების ადმინისტრაცია და აგრეთვე პროფორგანიზაცია სანქციას ღებულობს სათანადო პარტიულ კომიტეტისაგან.

8) ა.-კ. პროფკავშირთა საბჭომ უნდა დაამუშაოს და შეუთანხმოს ა.-კ. საოლქო კომიტეტს ინსტრუქცია დაწინაურებულთა აღრიცხვის წესისა და ფორმების შესახებ, რომლის მიხედვით უნდა სწარმოებდეს აღრიცხვა და დაწინაურება კოოპერაციის და საბჭოების ხაზით.

ს. კ. პ. ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ორახელაშვილი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

თოვლი პსკოვში

პსკოვი, 13 მაისი. ამინდი საგრძნობლად შეიცვალა. მოსთოვა და ძლიერი სიცივეები დაიჭირა. (ადს).

აფეთქება ვიბორგის ქვესადგურში

ლენინგრადი, 13 მაისი. „ვოლხოვსტროის“ ვიბორგის ქვესადგურზე აფეთქდა მანქანა. აფეთქების დროს დაიმტვრა პირველი სართულის ფანჯრები და მოგლიჯა კარები, ელექტრონის დენის მიწოდება „ვოლხოვსტროიდან“ ორი საათით შესწყდა. აფეთქება არაფერ გავლენას არ იქონიებს ლენინგრადისათვის ვოლხოვსტროის ენერგიის მიწოდებაზე. (ადს).

ნათესების მდგომარეობა

მოსკოვი, 13 მაისი. საბჭოთა კავშირის ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს ცნობებით, ნათესების საერთო მდგომარეობა კავშირის ევროპიულ ნაწილში კარგია. შემოდგომის ნათესების მდგომარეობა—საშუალოზე უკეთესია. (ადს).

სიცივე შავი ზღვის ნაპირებზე

ოდესა, 13 მაისი. შავი ზღვის ნაპირებზე საგრძნობლად აცივდა. 1 მაისს ღამით ტემპერატურა 3 გრადუსამდე დაეცა. (ადს).

დიდი მაცივარი

მოსკოვი, 13 მაისი. ნოვოროსიისკში ინტენსიური მუშაობა სწარმოებს დიდი მაცივარის ასაგებად ნავთსადგურში; მაცივარის ტევადობა 200.000 ფუთამდე იქნება. მაცივართან მოეწყობა ყინულის დამამზადებელი ქარხანა. ყველა მანქანები ამერიკიდან არის გამოწერილი. (ადს).

ავია-ლატარიის მოგებები

მოსკოვი, 13 მაისი. ავიაქიმის ლატარიის მოგება გადაფრენაზე—მოსკოვ—ჰამბურგი—პარიზ—რომი—ვენა — ღრეზდენი — ბერლინი—მოსკოვი—შეხვდა უმუშევარს, მელითონეთა კავშირის წევრს, რომელმაც არ მოისურვა თავისი ვინაობის გამომჟღავნება. მოგება გადაფრენაზე—მოსკოვ — ოდესა — ყირიმი — მოსკოვი შეხვდა მკერვალთა კავშირის ცეკის სტატისტიკურ განყოფილების გამგეს ამხ. უიეს. (ადს).

ლუნაჩარსკის გამგზავრება საზღვარგარედ

მოსკოვი, 13 მაისი. ამხ. ლუნაჩარსკი თვენახევრით გაემგზავრა საზღვარ-გარედ. (ადს).

ამხ. კალინინი წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზ-ბის შესახებ

მოსკოვი, 13 მაისი. ამხ. კალინინმა ურთიერთ დახმარების სასოფლო კომიტეტებს და სხვა სასოფლო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიმართა მოწოდებით, რომ წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოებებს აღმოუჩინონ საორგანიზაციო და ნივთიერი დახმარება. (ადს).

ყრილობის დადგენილებათა შესრულება

მოსკოვი, 13 მაისი. რუს. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ სახალხო მეურნ. უმაღლეს საბჭოს, ფინსახკომის, ვაჭრობის სახ. კომისარიატს და განათლების სახ. კომისარიატს დაავალა შეიმუშაონ რუსეთის საბჭოთა მე-13 ყრილობის დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებანი და განსახილველად წარუდგინონ სახ. კომისართა საბჭოს. (ადს).

უძლიერესი მძლავრი რადიო სადგური

მოსკოვი, 13 მაისი. მალე დამთავრდება მთელ კავშირში ერთ-ერთი უდიდესი რადიომოამბე სადგურის აგება. სადგურის მოწყობილება ამერიკაშია დამზადებული. (ადს).

თოვლი უკრაინაში

კიევი, 13 მაისი. უკრაინის ჩრდილოეთ ნაწილში მოვიდა თოვლი. 13 მაისს ღამით ამავე ნაწილში ყინავდა.

თემურ ლენგის სასახლის აღმოჩენა

სამარკანი, 13 მაისი. აეროდრომის ასაგებად წარმოებულ მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილ იქნა თემურ ლენგის ერთ-ერთი სასახლის ნანგრევები. შენობა ეკუთვნის მე-14 საუკუნეს. დაცულია კედლების ნაშთები მხატვრობით და ორნამენტებით.

ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარებისათვის

მოსკოვი, 13 მაისი. აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ილდრიმმა** ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს მოსკოველ კორესპონდენტთან საუბარში ამიერ-კავკ. მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ცენტრალურ ორგანოებში გატარების შესახებ შემდეგი განაცხადა:

„ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმას ამჟამად იხილავენ საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დირექტორიებში, რის შემდეგაც გადავა საგეგმო კომისიაში. საკავშირო მრეწველობის ცალკე დარგების საგეგმო კომისიაში გატარების წესით უკვე განხილულ იქნა მთელი რიგი საკითხებისა, რომელნიც ეხებიან ამიერ-კავკასიას. ასე, მაგ., ამიერ-კავკასიაში ბამბის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით, დამტკიცებულია ბამბის საქსოვი ქარხნების აგება, რომლებშიაც თითისტართა რაოდენობა იქნება 232.000-მდე. მხოლოდ აზერბეიჯანში ბამბის მრეწველობის განსავითარებლად 5 წლის განმავლობაში გადადებულია 67 მილ. მანეთი.

გატარდა აგრეთვე კავშირის ხე-ტყის მრეწველობის განვითარების გეგმა. აზერბეიჯანში, უმთავრესად ლენქორანის, ზაქათალის მაზრებში და ყარაბაღის ოლქში მრეწველობის განვითარებისათვის გადადებულია 2 მილ. მანეთი.

საკითხი მაცივარების მოწყობის შესახებ ამიერ-კავკასიაში [illegible] გადადებულია, ვინაიდან [illegible] გეგმა (აზერბაიჯანის [illegible]) [illegible] წარმოდგენილი. საქართველოს და სომხეთს მიეცა წინადადება, რომ აზერბეიჯანის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით შეადგინონ მაცივარების მოწყობის ხუთწლიანი გეგმა.

შემდეგ ამხ. ილდრიმი შეეხო ელექტროფიკაციას და აღნიშნა, რომ საკითხი რიონის სადგურის აგების შესახებ უკვე გადაწყვეტილია. კალაგერანის სადგური ჯერ ისევ განხილვის პერიოდშია. აზერბეიჯანის ჰიდროცენტრალის აგება შეტანილია ხუთწლიან გეგმაში, მაგრამ მუშაობის დაწყების წელი არაა აღნიშნული. მთავარი ელექტროსამმართველო თანახმაა, რომ აზერბეიჯანის ჰიდროცენტრალი შეტანილ იქნას 1927—28 წლის აღმშენებლობის გეგმაში, თუ წარმოდგენილი იქნება სადგურის აგება 30—40 ათას ცხენის ძალით.

ამგვარად ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ დიდი ცენტრალის აგებაზე (აზერბეიჯანის ჰიდროცენტრალის ვარიანტი, რომელიც არ დაამტკიცა მთავარმა ელექტროსამმართველომ) და ავაგოთ სადგური, რომელიც ელექტროენერგიას მიაწოდებს აზერბეიჯანის მრეწველობას, „აზნეფტ“-ის გამონაკლისით“ (ადს).

„ავიაქიმის“ დაკარგულ პილოტების პოვნა

მოსკოვი, 13 მაისი. მიღებულია ცნობა; რომ რვა მაისს მონადირეებმა იპოვეს „ავიოქიმის“ პილოტები, სემიონოვი და ზიკოვი; რომლებიც მოსკოვიდან გაფრინდენ 30 აპრილს. მფრინავები უპოვიათ კომის ოლქში ნახევრად ტანგახდილი, დაჭრილი-დასახიჩრებული; ფეხებ და ხელებ გაყინული ნახევრად ცოცხალი მკვდარი. მოწყალის დებს პილოტები მოუსულიერებიათ და წაუყვანიათ ტროიცკო პეჩარის ალმასკომში, სადაც გამოუწვევიათ ექიმი სამკურნალოდ. ტროიცკო პეჩრიდან მიღებული ცნობებით ირკვევა რომ ჩრდილოეთ ურალზე გადაფრენის დროს ჰაერო-სტატი დასჯახებია მთის ჯანს და ერთი მხრიდან გაურღვევია ქსელი. ჰაეროსტატი ხეებზე შედების შემდეგ პილოტები გადმოვარდნილან კალათიდან. ყოველგვარ საკვებ პროდუქტს მოკლებული პილოტები შვიდი დღე ღამე უვლიათ თოვლსა და წყალში უკაცრიელ მიდამოებში. ამჟამად პილოტებმა მოიკეთეს და ითხოვენ დახმარებას.

ჟურნალისტები მბეჭდავთა კავშირში

მოსკოვი, 13 მაისი. განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. შენობაში შესდგა განათლების მუშაკთა კავშირის, პოლიგრაფიული წარმოების მუშაკთა კავშირის და ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა თათბირი. თათბირმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გატარდეს ცხოვრებაში საკავშირო ცენტ. პროფსაბჭოს ის დადგენილება, რომლის მიხედვითაც ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექცია უნდა შეუერთდეს მბეჭდავთა კავშირს. თათბირმა დაადგინა, რომ სექციის შეერთება 15 ივნისისათვის დამთავრდება. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალური საბჭო მბეჭდავთა კავშირის ცეკასთან იწყებს მუშაობას 15 ივნისიდან. ბეჭდვითი სიტყვის სექციის ბიუროებს და ადგილკომებს რჩებათ თავისი რწმუნებანი და განაგრძობენ თავიანთ ჩვეულებრივ მუშაობას. ადგილკომების ბიუროების ვადამდე გადარჩევა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის მბეჭდავთა კავშირთან შეერთების პერიოდში არ უნდა იქნას დაშვებული. (ადს)..

მრეწველობის ნორმები

მოსკოვი, 12 მაისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოიმუშავა ახალი მშენებლობის პროექტების დამტკიცების ახალი წესი. ყოველგვარი მშენებლობა, რომელსაც იწყებენ საკავშირო, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ მნიშვნელობის მქონე წარმოებები, განსახილველად უნდა წარედგინოს საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საგეგმო ორგანოებს იმ შემთხვევაში, თუ თვითეულ ცალკე სამუშაოს ღირებულება აღემატება მთავრობის მიერ დაწესებულ უკიდურეს ნორმას. „აზნეფტ“-ისათვის უკიდურეს ნორმად ითვლება მშენებლობა, რომელიც 1 მილ. მანეთს არ აღემატება. ამიერ - კავკასიის ქვანახშირის მაღაროებისათვის უმაღლესი ნორმა არის 200.000 მანეთი (ადს).

ქარიშხალი

ამიერ-კავკასიაში

ქარიშხალი ჯულფაში

ჯულფა, 13 მაისი. 12 მაისს საღამოთი ქარიშხალმა დაანგრია სახურავები. ზარალს არკვევენ (ადს).

ქარიშხალი ერევანში

ერევანი, 13 მაისი. 12 მაისს, საღამოს 5 და 6 საათს შორის ერევანზე გადაიარა ძლიერმა ქარმა. ბაღებში ხეები ძირიანად არის ამოგლეჯილი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ჩვენი აგიტატორები სოფლად

აგიტაცია - პროპაგანდის საქმეს განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა ეღობება წინ სოფლად. ამის მთავარი მიზეზია სოფლის საერთო კულტურული ჩამორჩენილობა და საგიტაციო ძალების ნაკლებობა. პოლიტგანათლების მხრივ კი გლეხკაცობაში გაცილებით მეტი სამუშაო აქვს პარტიას, ვიდრე ქალაქის მშრომელ მოსახლეობაში.

ამიტომაა, რომ ხშირად ადგილობრივი პარტ ორგანიზაციები იძულებული ხდებიან აგიტაცია - პროპაგანდის საქმეში გამოიყენონ ისეთი ძალები, რომლებსაც ამისათვის საკმაოთ ცოდნა და გამოცდილება არა აქვთ. ამით აიხსნება ის გაუგებრობანი, რომელთაც ადგილი აქვს ხშირათ აგიტაციი - პროპაგანდის პრაქტიკაში სოფლად.

საერთაშორისო საკითხების და პარტიის შინაურ მიმდინარე პოლიტიკის გაშუქების დარგში სოფლის ზოგიერთი აგიტატორები იმდენად მიუტევებელ შეცდომებს უშვებენ, რომ მათ საგიტაციო მუშაობას უფრო მეტი გაურკვევლობა შეაქვს საქმეში.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ამისათვის პირველყოვლისა საჭიროა, რომ საპასუხისმგებლო მოხსენებები, არ ეკისრებოდეს ისეთ ამხანაგებს, რომლებიც ვერ ერკვევიან პარტიის მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში, რადგან წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მოხსენება უფრო ზიანს მოგვიტანებეს, ვიდრე სარგებელს. პოპულიარული მოხსენებები, რომელნიც ასე საჭიროა სოფლად, სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი მოხსენების გაკეთება ყველას შეუძლია.

გარდა მომხსენებლების შერჩევისა, საჭიროა ჩვენმა სამაზრო და საქალაქო კომიტეტებმა მეტი ხელმძღვანელობა გაუწიონ ადგილებს საგიტაციო ძალების მომზადების მხრივ. ხშირათ პოლიტგანმანათლებელი ლიტერატურა მაზრების და ქალაქების კომიტეტებში რჩება. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები ამ ლიტერატურის სოფლის მუშაკებისათვის მისაწოდებლათ.

გარდა ამისა მთელი რიგი მუშაკები, როგორც ვიცით, გაურბიან სოფელს. ჩვენს პარტსკოლებში და კომუნისტურ უნივერსიტეტში განათლება მიღებული ძალები უმთავრესად მაზრის იქით აღარ მიდიან. იშვიათად თუ შეხვდებით ასეთ ძალებს დაბებში და რაიონულ ორგანიზაციებში. საჭიროა, მაშასადამე, მიღებულ იქნას ზომები მომზადებული ძალების რაციონალურად დანაწილებისათვის. მაზრის ცენტრში მუშაობა ყოველთვის არ ნიშნავს სოფლად მუშაობას.

ამასთან ერთად რაიმე დაკვრითი ხასიათის კამპანიის დროს პარტორგანიზაციებმა მობილიზაცია უნდა უყონ მათ განკარგულებაში მყოფ ყველა მომზადებულ ძალებს და უფრო ფართედ უნდა ჩააბან ისინი კამპანიის ჩატარებაში, ვიდრე ეს დღემდე ხდება.

სხვანაირათ საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის წარმატებით წარმოება შეუძლებელია. კურსი მეტი მომხსენებლების გამოყოფისაკენ, იმის მიუხედავათ რა ცოდნის მქონეა მომხსენებელი, სრულიად მიუღებელი და გაუმართლებელია პარტიულ და საბჭოთა პროპაგანდის პრაქტიკაში.

რ. ტ—ძე.

პოლიტსკოლების გამოცდის წესი

თბილისში პარტგანათლების ქსელის მუშაობა ამ მოკლე ხანში მოთავდება. თითქმის ყველა სახის და საფეხურის სკოლებში მეცადინეობა დამთავრებულია. ჩასატარებელია მხოლოდ საბოლოვო საუბრები. იმისათვის, რომ გამოირკვეს პროლიტსკოლების მუშაობა, მისი შედეგები — ამ სამოსწავლო წლის განმავლობაში. მსმენელთა გამოშვების დროს ეწყობა სპეციალური შემმოწმებელი კომისიები. აღნიშნული კომისიები გამოარკვევენ მსმენელების ცოდნას, რის შემდეგაც ნათელი შეიქნება, თუ რა ფორმებში, რა გზით განვითარდება მომავალში—პარტგანათლების მუშაობა ქალაქად.

ასეთი კომისიები ეწყობიან თვითეულ პოლიტსკოლასთან. კომისიის შემადგენლობაში შევლენ: თვით სკოლის ხელმძღვანელი, აგიტპროპორგანიზატორი იმ კომუჯრედის, რომელთანაც ჩამოყალიბებულია სკოლა და რაიონული კომიტეტის წარმომადგენელი. პოლიტსკოლის მსმენელთა ცოდნის შემოწმებას — კომისია აწარმოებს საგამოცდო მეცადინეობის საშუალებით.

თბილისის კომიტეტის პროპაგანდის ქვეგანყოფილებიდან ხელმძღვანელებს ეძლევათ საბოლოო საუბრები, რომელიც ჯამს უკეთებს მთლიანად სკოლის მუშაობას.

თვითეული საფეხურის სკოლას მიცემული აქვს დასამუშავებლად ცალკე თემები: 1-ლი საფეხურის პოლიტსკოლას ეძლევა საუბარი თემაზე: „პარტია და ოპოზიცია“ — მე-2 საფეხურის — „ც. კ. თებერვლის პლენუმის შედეგები“.

საღამოს საბჭოთა პარტსკოლებს კი—2 თემა. 1) „რომელ მტრებთან ბრძოლაში გაიზარდა, განმტკიცდა და გამოიჭედა ბოლშევიზმი. 2) პარტიის მორიგი ამოცანები“.

ამ საუბრების ჩატარების დროს ყველა პოლიტსკოლებში ესწრებიან კომისიები — რომელთა ხელშიც არის სკოლის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი დახასიათება მსმენელების. საუბრების გარშემო მსმენელები იღებენ აქტიურ მონაწილეობას. კომისია უმატებს ხელმძღვანელის დახასიათებას თავის აზრს თვითეულ მსმენელზე. ამის შემდეგ პოლიტსკოლა იწვევს მსმენელთა საერთო კრებას — კომისიის დასწრებით, სადაც ხდება ცოდნის კოლექტიური აღრიცხვა.

კრებაზე იკითხება მსმენელთა დახასიათება მიცემული ხელმძღვანელის მიერ. აღნიშნულ დახასიათების გარშემო თვითეულ მსმენელის შესახებ გაიმართება მსჯელობა საბოლოოდ მუშაობის დამთავრების შემდეგ კომისია ადგენს ანგარიშს რაიკომის წინაშე. ამ მუშაობის უმთავრესი მიზანია გამოარკვიოს, რამდენათ წარმატებით შეითვისა თვითეულმა მსმენელმა გავლილ კურსის პროგრამა, და რა პრაქტიკულ სამუშაოზე შეიძლება მისი გამოყენება; როგორი შედეგები აქვს სკოლას მთლიანად და მისი მუშაობის პირობები. ყველა ეს მოგვცემს საშუალებას — მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისშივე — მუშაობა წესიერ ნიადაგზე დასდგეს.

ნ. ფუ—ძე.

მესამე რაიკომი მეტყავეთა კავშირის შესახებ

13 მაისს შესდგა თბილ. ორგ. მესამე რაიკომის პლენუმი. პლენუმზე განხილული იქნა საკითხი მეტყავეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის მუშაობის შესახებ. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა ამხ. **მამულიამ**. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ტერ-ვართანოვმა, არჩვაძემ, მოსესოვმა, ბაღდასაროვმა, კარაკოზოვმა, ასრიანმა; შაუმოვმა;სანამიანმა; ენუქიძემ, გოზალოვმა, პეტროსიანმა; ხაჩიკიანმა. პლენუმმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევათა მეტყავეთა კავშირის ცენტრ. გამგეობის მუშაობაში. პლენუმმა წინადადება მისცა ცენტრ. გამგეობას, რომ მომავალში გაძლიერებული მუშაობა იქნას წარმოებული უმუშევრობის ლიკვიდაციისათვის. ახალი კოლექტივების შექმნისათვის და კოლექტივების ნედლეულით უზრუნველყოფისათვის. ამ.-კავკ. სახელმწ. სათბობის წინაშე აღიძრას საკითხი, რომ ტყავეულის საქონელი რეგულიარულად იქნას მიწოდებული.

კოლექტივებში მომუშავეთა მუშაობის პირობების მოსაწესრიგებლათ დაიდოს კოლექტივებთან კოლექტიური ხელშეკრულებანი. საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ცენტრალური გამგეობის მხრივ ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესებისათვის კავშირის ცენტრ. გამგეობამ მომავალშიაც უნდა გამოიყენოს ადგილკომების მუშაობის მდგომარეობის გამოკვლევის სისტემა, პლენუმი აღნიშნავს, რომ მუშათა დაწინაურება ატარებს შემთხვევით ხასიათს; კავშირის ცენტრ. გამგეობას ეძლევა წინადადება შეისწავლოს დაწინაურების საკითხი.

პლენუმი აღნიშნავს, რომ კოლექტიური ხელშეკრულობის დადება წინედ გვიანდებოდა და ამიტომ წინადადებას აძლევს კავშირის ცენტრ. გამგეობას და ტყავტრისტის ადმინისტრაციას, რომ მომავალში კოლექტიური ხელშეკრულებანი თავის დროზე უნდა დაიდოს. კავშირის ცენტრ. გამგეობამ სამეურნეო ორგანოებთან ერთად უნდა შეაგროვოს სწორი მასალები ფეხსაცმელების ქარხანაში არსებულ ნორმების შესახებ და ეს საკითხი გადაიტანოს რაიკომში პრეზიდიუმის სხდომაზე. კავშირის ცენტრ. გამგეობის მოხსენების გამო მიღებულ იქნა მთელი რიგი წინადადებათა.

მომავალი სამოსწ. წელი

(ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას პლენუმზე)

გუშინ დილით პროფსაბჭოს წითელ დარბაზში გაიხსნა საქართველოს ახალგ. ლენინური კომკავშირის ცეკას მეხუთე პლენუმი. საქართველოს განათლების სახ. კომისარმა ამხ. **კანდელაკმა** პლენუმზე გააკეთა მოხსენება მომავალი სამოსწავლო წლის შესახებ. მომხსენებელმა დაახასიათა რა სასკოლო ქსელის საერთო მდგომარეობა და განათლების საქმის დაყენება, აღნიშნა:

მომავალ სამოსწავლო წელში გატარებულ იქნება მთელი რიგი ღონისძიებათა, რომლებმაც საფუძვლიანად უნდა შესცვალონ ჩვენი განათლების მთელი სისტემა. ჩვენი სკოლების პრაქტიკული განხრა, რესპუბლიკას მაინც ვერ აძლევს პრაქტიკულად მომზადებულ მოქალაქეებს. სკოლიდან გასულ მოწაფეს არ შეუძლია თავისი ძალის გამოყენება; ვინაიდან მას არ აქვს სათანადო პრაქტიკული ცოდნა. უმაღლეს სასწავლებელშიც კი არ შეუძლია მისი მიღება. პედაგოგების შემადგენლობა ცხრა წლედებში ვერ არის სასურველი. მასწავლებლების დიდი ნაწილი შოვინისტური სულით არის შეპყრობილი და გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანი არალოიალურადაა განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. თუმცა უკვე იწყება გარდატეხა. აუცილებელია სკოლის გაპარტიულება, სკოლების სათავეში პარტიულების დაყენება. ყოველი 30 ეს მოითხოვს ცხრა წლედების ქსელის რეორგანიზაციას და შემცირებას. აუცილებელია ეს სკოლები თანდათანობით ნელ-ნელა გადაკეთდეს ახალგაზრდა გლეხთა სკოლებად.

მიმდინარე წელში გადაკეთებულ იქნება 30 ცხრა წლედი. ქალაქში კი რეორგანიზაცია უნდა მოხდეს ახალი პროფესიონალურ-ტექნიკური სკოლების და კურსების შექმნის ხაზით. დასასრულ ამხ. კანდელაკმა აღნიშნა ახალგაზრდა გლეხთა სკოლების უარყოფითი მხარეები. ამ სკოლებში თითქმის სრულიად არ არიან ღარიბი გლეხები, ვინაიდან სკოლებს არ აქვთ ინტერნატები, სტიპენდიები და სხ. ყოველივე ეს გვიკარნახებს იმას, რომ ახალგაზრდა გლეხთა სკოლებთან აუცილებლად უნდა მოეწყოს საერთო-საცხოვრებელი ბინები, რომელთაც სარაიონო ხასიათი ექნებათ.

დასასრულ ამხ. კანდელაკი ამბობს, რომ სკოლების პედაგოგიური შემადგენლობა უნდა განახლდეს კომკავშირელებით, პარტიულებით და ნამდვილ საბჭოთა მოქალაქეებით.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ლუარსაბოვმა, ჭოქელმა, თოფურიამ, თდაბაშიანმა და გოგრიამ.

ამხ. კანდელაკის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა ერთხმად მოიწონა განათლების სახალხო კომისარიატის ხაზი 1927—28 სამოსწავლო წელში. პლენუმმა დაამტკიცა სახ. კომკავშირის დელეგატების სია ამიერ-კავკასიის კომკავშირის კონფერენციაზე. პლენუმმა დაადგინა გამოიცეს კონფერენციის მასალები.

აზერბ. ა.ლ.კ. კავშირის კონფერენციის დახურვა

ბაქო, 13 მაისი. აზერბეიჯანის ა. ლ. კ. კ. კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ამხ. მირზოიანმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„კონფერენცია სცნობს, რომ ბაქოს ორგანიზაციის უფრობა ნაკლების კომკავშირზე მთელი აზერბეიჯანის ახალგ. ლენინური კომკავშირის საქმეა და ავალებს ცეკას დაამუშაოს აზერბეიჯანის ახალგ.ლენ. კომკავშირის ჩინური კომკავშირთან დამოკიდებულების საკითხი. ცეკას დაევალა შეიმუშაოს ღონისძიებანი სრულის სპორტის განვითარებისა და წახალისებისათვის და ახალგაზრდებს შორის სამხედრო პროპაგანდის გაძლიერებისათვის. კონფერენცია აღუთქვამს პარტიას, მუშურ - გლეხური ახალგაზრდობა ყოველთვის მზადაა საბჭოთა კავშირის დასაცავად. ლენინური კომკავშირის უმთავრესი ამოცანა თანამედროვე პირობებში მდგომარეობს იმაში, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის ახალგაზრდათა თაობის ფართო ფენები პარტიის ხელმძღვანელობით იქნან ჩაბმული სოციალისტური აღმშენებლობის შეგნებული მონაწილეობისათვის.

მუშა და გლეხი ახალგაზრდობა პირველ რიგში უნდა იდგეს წარმოების რაციონალიზაციისა, ფასების დაკლებისა, პროდუქციის გაუმჯობესებისა, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში და აგრეთვე სასოფლო მეურნეობის კოოპერაციაში შეკავშირებისა და კოლექტივიზაციის გატარების საქმეში (ადს).

საბჭოთა საქართველო

წერილები

გლეხებიც დაგვეხმარება

ჩვენი გლეხკორები ხშირად იწერებიან ზოგიერთ სოფელში გავრცელებული ქურდობის შესახებ. დღეს ერთ გლეხს მოპარეს მარჩენალი ხარ - კამეჩი, თუ სხვა შინაური ცხოველები და ფრინველები, ხვალ მეორეს და ასე. ხანდახან ქურდები ისე ვათამამდებიან, რომ კოოპერატივის დუქანსაც კი გაქურდავენ.

ესრასაკვირველია გლეხს დიდ ზიანს აყენებს. გლეხისთვის მარჩენალი ხარის, კამეჩის თუ ცხენის დაკარგვა მთელი ოჯახის განადგურებას ნიშნავს. ქურდ - ბაცაცები ჩამორჩენილ სოფლებსა და თემებში უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს და ამიტომ ასეთ სოფლებში დათარეშობენ.

თემსაბჭომ ქურდ - ბაცაცების წინააღმდეგ ხასტიკი ზომები უნდა მიიღოს. მან ამ საქმეში ფართედ უნდა გამოიყენოს გლეხების დახმარება. ხშირი შემთხვევაა, რომ ადმინისტრაცია პირველად დაიწყებს ძებნას, თუ ვერ მიაგნო ქვალს, შემდეგ თავს მიანებებს, რაც ათამამებს ქურდებს. ადმინისტრაციამ ამ საქმეში დასახმარებლად ყოველთვის უნდა მიმართოს გლეხებს და ამ უკანასკნელთა დახმარებით ის ყოველთვის შესძლებს ქურდების აღმოჩენას. ადგილი აქვს კიდევ ისეთ შემთხვევას, რომ ქურდს აღმოაჩენენ, მაგრამ ერთ-ორ დღეს არის დაკავებული, შემდეგ გაუშვებენ და თავისუფლად დადის სოფელში. ეს რასაკვირველია ძლიერ ცუდ გავლენას ახდენს სოფლის მოსახლეობაზე. ხშირად გაიგონებთ გლეხისგან საყვედურს —მოვნახეთ ქურდი, ხელში მივეცით მილიციელს და მეორე დღეს ისევ გაანთავისუფლესო. თემის საბჭომ ამ მდგომარეობასაც უნდა მოუღოს ბოლო. სოფლის ამწიოკებელი არ უნდა დავინდოთ — არ უნდა შევიბრალოთ. მას კანონის ფარგლებში შესაფერი სასჯელი უნდა მიენიჭოს.

—ე.

ჩვენმა თემმაც გამოიღვიძა
(ერწო, თბილისის მაზრა)

მხოლოთ მესამე წელიწადია, რაც ერწოს რაიონში დაიწყო გაცხოველებული მუშაობა. აქამდის ჩამორჩენილობა აიხსნებოდა იმით, რომ ეს სოფელი შედიოდა თიანეთის მაზრაში და აღნიშნულ მაზრას სიღარიბის გამო არ შეეძლო სათანადო მუშაობის წარმოება.

ერწოს რაიონის თბილისის მაზრაზე გადასვლის შემდეგ დაიწყო გაცხოველებული მუშაობა, რის წყალობითაც ერწოში გაკეთდა შემდეგი: 4 სკოლის ნაცვლად სადაც იყო 4—5 მასწავლებელი, დღეს ვაქვს 18 სკოლა 40 მასწავლებლით. გახსნილია საექიმო, აგრონომიული პუნქტები და სხვა დაწესებულებანი. ჩაეყარა საფუძველი კოოპერატივს და დღეს მისი საკუთარი თანხა აღემატება 25.000 მან. წარსულ წელს გლეხობამ აღმასკომის დახმარებით ააშენა შვიდი სკოლის შენობა. წრეულს კი შენდება 6 სკოლა. და კეთდება ბევრი რამ სხვა.

ასეთი გაცხოველებული საქმიანობა მიეწერება მას, რომ გლეხობა აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში, რასაც ესაჭიროება ცენტრის დახმარება:

საკრედიტო ამხანაგობა ვერ აკმაყოფილებს გლეხობის მოთხოვნილებას; საჭიროა მეორე საკრედიტო ამხანაგობის დაარსება ქვემო ერწოს თემში.

ამასთანავე გლეხობამ ნახა დიდი ზარალი ჭირის გამო საქონლის დახოცვით. ქვემო ერწოს თემში გაწყდა მსხვილფეხა საქონელი 760 სულამდე. საქონელი დაზღვეული იყო., რის გამო მოველით დახოცილი დაზღვეული საქონლის ანაზღაურებას.

დიდი იმედით ვართ აღჭურვილნი, რომ ცენტრი მოგვაქცევს სათანადო ყურადღებას და არ დაგვტოვებს გულნაკლულად.

ი. ჭინჭარაული.

აღმშენებლობა ხაშურში

ამ ორი - სამი წლის წინეთ ხაშურსა, სურამსა და სოფ. ქალას შორის დიდი ველები იყო. ახლა რა სურათს ვხედავთ — ხაშური და სოფელი ზემო-ქალა ერთმანეთზე ისე გადაბმიან, რომ უკვე ფაქტიურათ აღარა სჩანს საზღვარი სოფელსა და ქალაქს შორის; სურამის მხრისკენ დარჩა სულ პატარაოდენი მანძილი და იქითკენაც ხაშურის ფარგლები გაიზარდა.

ამ ორი წლის განმავლობაში თვით ხაშურში აშენებულია 53 სახლი, სოფელ ზემო-ქალაში 67 სახლი — სულ კი 120 სახლი, გარდა ამ სახლებისა გაფართოებულია ქუჩები, ვაკეთებულია ქვა-ფენილები და სხვა.

ზემო - ქალაში აქა - იქ კიდევ შენდება ახალი სახლები და თუ ასე გაგრძელდა, სოფელ ზემო-ქალა თუმცა სოფლად ითვლება მაგრამ აიძულებს ქალაქს, რომ ის მიღებული იქნეს ქალაქის ფარგლებში. ამ აღმშენებლობას კიდევ საგრძნობლად ხელს შეუწყობს ქალ. ხაშურის აღმასკომის მიერ განზრახული ასაგებად აგურის ქარხნის აგება.

აგურხანის ასაგებად უკვე მიღებულია ზომები.

გარდა ამისა საჭიროა, რომ თბილისის კომუნალური ბანკის გორის განყოფილებამ აუღოს ალღო ხაშურის აღმშენებლობას და თავის საკრედიტო გეგმაში შესაფერისი ადგილი დაუთმოს.

ზ. ქ.

ქრთამი ჯოჯოხეთში
(სოფ. ონჭევი, რაჭა)

სოფ. ონჭევში მოხდა გზების გაფართოვება, რომლისათვის დაგეგმილი იქნა გზები და აღმართები და დაღმართები უფრო მოხერხებულად იქნა გაყვანილი. გზების ასეთი შეკეთება მოხდა რაჭის აღმასკომის დადგენილებით, ვინაიდან რაჭაში საერთოთ ბევრი აღმართ - დაღმართი და ვიწრო გზებია. ამ სოფლის თემ აღმასკომის თავმჯდომარეთ სარდიონ შერაზაშვილი იყო. როდესაც ტეხნიკი მოვიდა სოფელში და შეუდგა გზების დაგეგმვას, რასაკვირველია ბევრს ჩამოეჭრა ყანები და ვენახები. აქ მცხოვრებ პარმენ ჯაფარიძეს ვენახსაც უნდა ჩამოსჭროდა. მაგრამ პარმენი მდიდარია და ვინ რას გაუბედავდა. მით უმეტეს, რომ ის პურმარილიანია, ერთს, დაათრობს თემაღმასკომის თავმჯდომარე სარდიონს. კიდევ შეპირდება სასიმიდე რომ მიდგია იმას მოგცემ თავისი ადგილითო ამიტომ ვინ რას დააკლებს. მართლაც მას ვენახს არაფერი მოკლებია, მაგრამ საწყალი ნიკია შერაზადიშვილი დალუპეს, მას სამოსახლო ეზო ჩამოუჭრეს პარმენ ჯაფარიძის ვენახის საპატივცემლოდ. როდის მოეღება ბოლო ასეთ უსამართლობას.

მახვილი.

მივიწყებული საქმე
(ქვიანი, გურია)

ამ რამდენიმე ხნის წინათ აქაური გლეხები შეუდგენ თეატრის შენობის აგებას. ამორჩეულ იქნა თეატრის საალმშენებლო კომისია. გამომუშავებულ იქნა თეატრის პროექტი. თეატრის ასაშენებლათ გადადევს ადგილობრივ ყოფილ ეკკლესიისათვის შეძენილი მასალა. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. გაიმართა რამოდენიმე საღამო - წარმოდგენები, რათა გაეძლიერებინათ საალმშენებლო ფონდი. შემოწირულება კერძო პირებზე და გადასახადიც იყო გაწერილი და შემოწირულებაც შემოდიოდა, ამაზე არც ერთი მოქალაქე უარს არ ამბობდა. მაგრამ გავიდა ხანი და საალმშენებლო კომისიის მუშაობას მოდუნება დაეტყო. თეატრის მასალა უპატრონოთ ყრია, რომლის გამოსატანათ მახლობელ ტყიდან ადგილობრივ - გლეხობამ არ დაზოგა თავისი შრომა.

დღეს მუშაობა მიტოვებულია.

დღესაც არ იცის ქვიანის საზოგადოებამ სად ინახება ის თანხა, რომელიც ამ რამდენიმე წლებში გროვდებოდა და სად არის ის ქონება, რომელიც ხალხმა დიდი ვაივაგლახისა და შრომით შეიძინა.

გ. წულაძე.

ჩვენი კოოპერატივი
(დ. აბაშა)

აბაშის უბანში არსებული მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება წარმატებით მუშაობს. აქ კოოპერატიული მუშაობა გაფართოებულია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გლეხობაში კოოპერაციას აქვს მოპოებული ნდობა.

თითქმის უბნის ყველა თემში არის თითო განყოფილება. აქვთ ხერხის ქარხანა, ელ-სადგური, საყასბო, საფართლოები რამოდენიმე განყოფილებებით, სახარაზო, საბაკალეიო რამოდენიმე განყოფილებებით და ღვინის სარდაფიც. კოოპერატივს ყავს „იორგშირის" ჯიშის ღორებიც უბანში გასავრცელებლად და სხვა.

ელსადგურის მუშაობა მოისუსტებს, ის სინათლეს სისტემატიურად ვერ აწვდის ბაზარს და ხერხის ქარხნის მუშაობაც ბრკოლდება.—ელსადგურის მუშაობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბაზარი ელსადგურის ვალს არ იხდის წესიერად და ამით სადგური სუსტდება და საქმე ფუჭდება.—ამ მხრივ ეპოს გამგეობას უნდა დაეხმაროს ადგილობრივი ორგანიზაციები. როგორც ამბობენ ეხლა ვაჭრებს სულ არ უნდათ ბაზრის განათება და ანდა ასეთი უნდათ უბრალო ფარნებით, რაც არ არის მისაღები, ფარნების დრო წავიდა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს არ უნდა დაუშვას. ელსადგურით დავალიანებულ ვაჭრებს აწი ელექტროგანათება არ ესურვება. უნდა ვეცადოთ, რომ ელსადგურმა იარსებოს და სახერხი ქარხანაც გვქონდეს. დღეს ეპოს სავაჭროებს და განსაკუთრებით საფართლო განყოფილებებს დიდი გლეხობა აწვება. ვაჭრები თანდათან გაიპარენ. კოოპერაციაში მოთხოვნილება დიდია და თითქმის ყოველ დღე სავაჭროებში არის გამართული სამ საჟენიანი რიგი, რაც ცოტა უკმაყოფილებას იწვევს. გამგეობას მართებს დ. აბაშაში საფართლო განყოფილებათა გაფართოვება და ამ მხრივ უკმაყოფილების მოსპობა. ეპო კულტურულ დარგშიც მუშაობს. — გამგეობამ უკანასკნელად თავის წევრებს ერთი წლით გაზეთი „ახალი სოფელი" გამოუწერა, რაც ღირს შესანიშნავი ნაბიჯია ამ მხრივ. მაშ ასე: აბაშის ეპო კარგ ნიადაგზე სდგას, ცოტა ნაკლის დაბრკოლებათა გადალახვაში დავეხმაროთ გამგეობას და საქმე სწორი ნაბიჯით წაიწევს წინ.

მეხი.

აგარაკი სურამი

სურამში წინედ, ომიანობის წინა ხანებში, ძალიან ბევრი მოაგარაკენი მოდიოდნენ, რადგანაც მაშინ ერთის მხრით, რომ კარგი ჰაერი იყო, მეორეს მხრით ტყიანი ადგილები, ბაღები, პარკებიც ბლომად მოიპოვებოდენ. მაგრამ დროთა განმავლობაში ყველა ეს ადგილები გაიჩეხა, გაპარტახდა.

ცხადია, მოაგარაკე აქ ნაკლებათ მოვა, სურამის აღმასკომი, თავისი მცირე ბიუჯეტის ფარგლებში, ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს გაპარტახებული ადგილების აღდგენა - გამშვენიერებაზე. მან უკვე შემოღობა პარკის ტყე, ააგო ახალი საზაფხულო თეატრი, თეატრის ეზოში წელს სთესავს ყვავილებს, ამშვენიერებს სურამის მოედნებს, დაიწყო ფიჭვნარი ტყის გაშენება და სხვა. აი სწორედ ამ დროს, როდესაც აღმასკომი ამგვარად სცდილობს საგარაკო ადგილების გამშვენიერებაზე, სურამის რკინისგზის სადგურის ბაღი, რომელიც, შიგ სურამის თავში მდებარეობს, ძალზე გაპარტახებულია, წინად-კი ეს ერთად-ერთ საუკეთესო ყვავილოვან ბაღჩას წარმოადგენდა. ამის შესახებ არა ერთხელ ყოფილა მითითებული პრესაში წერილები, მაგრამ არავის ყურადღება არ მიუქცევია და დღეს ბაღი წარმოადგენს უბრალო ეზოს და პირუტყვ საქონლის სათარეშო ადგილს.

ამ ბაღის გაკეთებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სურამისათვის, ერთის მხრით იმით, რომ მოაგარაკეთა რიცხვი გადიდდება, მეორეს მხრივ — მეტათ ხელს შეუწყობს მუშა - მოსამსახურეთა დასვენებას, რომელთა რიცხვი, უდრის 80 პროც-ს. ესენი-კი მთლად რკინისგზელები არიან, რომლებიც იგზავნებიან რკ. გზ. სანატორიუმში.

სურამის თემის აღმასკომი იმედოვნებს, რომ რკინისგზის სამმართველო არ დასტოვებს უყურადღებოთ ამ წერილს და მიიღებს სასწრაფო ზომებს დასახელებული ადგილის აღდგენისათვის.

მ. ქიტიაშვილი.

მუშათა ცხოვრება

წინად და ეხლა
(კოლოფების ქარხნის არსებობის ექვსი წლის თავის გამო)

დღეს, 14 მაისს სახელმწიფო კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალ"-ს შეუსრულდა არსებობის ექვსი წლის თავი. ამ დღის, ექვსი წლის წინად, საფუძველი ჩაეყარა საქარტონაჟო მრეწველობას საქართველოში.

1921 წლამდე თბილისში დაფანტული იყო 13 კუსტარული კოლოფების სახელოსნოები, რომლებიც ეკუთვნოდა კერძო მეპატრონეებს. —„ხაზეინებს". ამ სახელოსნოებში მუშაობდნენ მეკოლოფე მუშები 12—14 საათს; მუშაობდნენ ბნელ - ნესტიან სარდაფში ლამფებზე; მასთან ერთად „ხაზეინების" გაშმაგებული ექსპლოატაცია სულს უხუთავდა მეკოლოფე—მუშას.

ნიკოლოზის დროს, ხომ შველა არ იყო და არც მენშევიკების რეჟიმმა უშველა მათ.

მაგრამ საქართველოში დამყარდა საბჭოთა მთავრობა. აი, აქედან უკვე ეძლევათ მეკოლოფე მუშებს საშუალება, რათა ის 13 დაფანტული — კერძო სახელოსნოები, ნაციონალიზაციის მეოხებით შეერთებინათ ერთ ადგილას.

და მართლაც, 14 მაისს, 1921 წელს კამოს ქუჩაზე № 28-ში აზმაურდა ქარხანა, რომელსაც დაერქვა: „სახელმწიფო კოლოფების ქარხანა — „ინტერნაციონალი". აქ მოიყარა თავი 200 მეკოლოფე მუშამ.

ქარხანა ამზადებს სხვადასხვა მარკის კოლოფებს ოთხ თამბაქოს ქარხნებისთვის.

ქარხანა დღით - დღე ფართოვდება, შრომის ნაყოფიერება იზრდება, პროდუქციის ხარისხი უმჯობესდება და მუშის სამუშაო ხელფასიც მატულობს. 1924 წლიდან ქარხანა შეუდგა კერძო შეკვეთების მიღებას, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებისათვის და კოოპერატივებისათვის, აგრეთვე კერძო პირებისათვის. მზადდება: საკანდიტრო, სააფთიაქო, საპარფიუმერიო, კოსმეტიური, აბრეშუმის ჭიის თესლის და სხვა სახის კოლოფები.

თანდათანობით კოლოფების ქარხანა პროდუქციის თვისებით და ღირებულებით პირველ ადგილს იჭერს ამიერ - კავკასიის ბაზარზე და კერძოდ საქართველოში, რა არის ამის მიზეზი? რასაკვირველია, ქარხნის მექანიზაცია, წარმოების რაციონალურად მოწყობა, სანიტარულ - ტეხნიკური პირობების დაცვა და სხვა

აქ მოყვანილ მიღწევების/ განსამარტებლად, საჭიროა მოვიყვანო მოკლე სტატისტიკური ცნობები:

მუშის სამუშაო ხელფასი თვეში 1927 წლამდე ქარხნის დაარსებიდან გაიზარდა **151,8 პროცენტით ე. ი. 21 მანეთიდან ხელფასმა აიწია 52 მ. 77 კაპ-მდე.**

პროდუქციის დამზადება საშუალოდ თვეში, ერთ მუშაზე 1921 წელ. შედარებით გაიზარდა წელს **288 პროცენტით.** ე. ი. წინად ერთი მუშა საშუალოდ თვეში ამზადებდა 2.400 ცალ პაპიროსის კოლოფს, ეხლა-კი, 1927 წელს ერთი მუშა საშუალოდ ამზადებს 9.313 ცალ პაპ. კოლოფს; ამასთან შედარებით პროდუქციის ხარისხიც საგრძნობლად გაიზარდა.

ქარხანაში არსებობს აგრეთვე მუშებისათვის ამბულატორია და ძუძუ - მწოვარ ბავშვთა ბაგა. დედები უდარდელად მუშაობენ წარმოებაში. ამჟამად ქარხანაში ირიცხება 286 მუშა.

აი, მოკლედ ყველა ის, რაც ითქმება კოლოფების ქარხანაზე 1927 წელს, 14 მაისს.

ვანო მთვრალაშვილი.

კიდევ სადგურში ნელა შესვლის შესახებ

მეტად საჭიროა და აუცილებელი მატარებლის სადგურზე ნელა შეყვანა. ეს არა ერთხელ თქმულა, საუბრებიც ხშირად გამართულა, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთისთვის ასეთი დარიგება უნაყოფოდ რჩება. ზოგი მემანქნე მაინც არ იშლის თავის ზნეს და ჩვეულებას.

აი რა შედეგი მოჰყვა ამას: ამ რამოდენიმე დღის წინ, აჯიკაბულში შედიოდა საგეზო მატარებელი ცარიელი რონოდებით. ისარზე ორი თქლმავალი გადასცდა ლიანდაგს. მატარებელი რომ დაწესებული სიჩქარით შესულიყო სადგურში, მაშინ ლიანდაგს გადასცდებოდა მხოლოდ რამოდენიმე თვალი, რაც დიდ კატასტროფას არ გამოიწვევდა.

სინამდვილეში რა მოხდა? სადგურში ჩქარა შესვლის გამო, აცდა ორთქლმავალი ლიანდაგს და გადაბრუნდა. გაჩნდა ცეცხლი. დაიწვა მემანქანე. დაიწვა ორთქლმავალი და რამოდენიმე რონოდა, მძიმედ დაშავდა მემანქანის თანაშემწე და უფროსი მეშუხრუჭე.

რკინის გზამ ნახა დიდი ზარალი. უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ადამიანიც. დასახიჩრდა რამოდენიმე რკინისგზელი. ეს იმიტომ, რომ მემანქანემ მატარებელი ჩქარა შეიყვანა სადგურში. არავინ იფიქროს, რომ აჯიკაბულში შესავალი დაღმართი იყოს და მატარებლის გაჩერება ძნელი იყოს.

პირიქით, თბილისის მხრიდან გზა აღმართია. საჭირო იყო ცოტა ადრე ორთქლით მუშაობის აღკვეთა და მატარებელი ისარზე ნელა გაივლიდა. ამ შემთხვევაში, ან სულ არაფერი მოხდებოდა, ან და როგორც უკვე აღვნიშნე მხოლოდ ორთქლმავალი ასცდებოდა ლიანდაგს და სხვა უბედურება აღარ მოხდებოდა.

—მუშკორი დუღაბი.

ექსკურსია ზაჰესში

კვირას, 8მაისს მ.-გ. მილიციის ამხ. ლ. სუხიშვილის სახელობის სკოლის კურსანტები გაემგზავრენ ექსკურსიაზე ზაჰესში.

ექსკურსიაში მონაწილეობას ღებულობდა 220-მდე კაცი.

ექსკურსიას თან ახლდა სამხედრო ორკესტრი და ლურჯ ხალათიანების ჯგუფი, კვირას სრულ 9 საათზე სპეციალურად გამზადებულ რონოდაში სხდებიან ექსკურსანტები. გაისმის მუსიკა, ცეკვა - თამაში.

მატარებელიც დაიძრა, ყველა სიხარულით მიეჩქარება საქართველოს პროლეტარიატის სიამაყის „ზაჰესი"-ს სანახავათ.

10 საათზე უკვე სადგურ მცხეთაში ვართ. ექსკურსიის მთელი შემადგენლობა წყობილებით, სამხედრო მუსიკით მიემგზავრება ზაჰესის პირველ უბანში.

იწყება ხელმძღვანელების თანდასწრებით დათვალიერება პირველ უბნის, რომელმაც გასტანა 2 საათამდე.

საათის 1-ლზე შესდგა ზაჰესის მილიციის ქულტ-კუთხის გახსნა, რომელიც მოწყობილია კულტ-კომისიის მიერ; წარმოთქმულ იქნა მისასალმებელი სიტყვები ორგანიზაციების წარმომადგენლის მიერ.

სრულ 2 საათზე გაიმართა სადილი ადგილობრივ თეატრის დარბაზში, სადილის დროს ზაჰესის მნიშვნელობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა სკოლის უფროსმა ამხ. კობიძემ, რომელმაც აღნიშნა თუ რას წარმოადგენდა ახლო წარსულში ის მდებარეობა, რომელიც დღეს საბჭოთა საქართველოს სიამაყეს წარმოადგენს. სადილის შემდეგ წარმოდგენა გამართეს ლურჯ ხალათიანებმა.

წარმოდგენას დაესწრო 800 მეტი კაცი. შემდეგ გაიმართა ცეკვა, თამაში; რის შემდეგ ექსკურსია გაემგზავრა მეორე უბანში, სადაც მოხდა დათვალიერება ზაჰესის უფრო საინტერესო ნაწილების.

ექსკურსია მეტად ნასიამოვნები დაბრუნდა თბილისში საღამოს 10 საათზე.

სასურველია ასეთი ექსკურსიები გაიმართოს სხვაგანაც.

მილიციელი.

„ნიშანსვეტი"

სად. თბილისის მოძრაობის დარგის კედლის გაზეთ „ნიშანსვეტი"-ს სარედაქციო კოლეგიამ გამოუშვა ხსენებულ გაზეთის მე-18 ნომერი. უნდა ითქვას, რომ, რაც დრო ვადის ეს გაზეთი უმჯობესდება შინაარსით. გაზეთის ამ ნომერში მოთავსებულია წერილები წარმოების საკითხებზე; მშრომელთა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, შრომის ნაყოფიერება და სხვ. როგორც თვით გაზეთის შინაარსიდან სჩანს, რედკოლეგია ხელმძღვანელობას უწევს მუშკორებს და ურკვევს თუ რა საკითხებზე უნდა სწერონ. გაზეთის ნაწილი მიძღვნილია პირველი მაისის დღესასწაულისათვის, რაც აუცილებლად საჭიროა. გაზ. ამ ნომერში მოთავსებულია 4 შინაარსიანი კარიკატურა, რომელიც წარმოების საკითხებს ეხება და ამუქებს მუშების ყოფა-ცხოვრებას. ამას გარდა, გაზეთს აქვს ნაკლიც: გაზეთიდან არ სჩანს, მიაღწია თუ არა მიზანს შენიშვნებმა, რადგან არ არის მოთავსებული გამოხმაურებები. გაზეთი არ არის დაყოფილი განყოფილებებად, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება. ქრონიკაც სუსტია.

მიუხედავათ ამ ნაკლისა, გაზეთის ეს ნომერი მაინც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

ო. ჯ.

ამხ. სოლ. დოლიძის იუბილესათვის

ამხ. სოლ. დოლიძის იუბილეს გამო გუშინ ჩვენმა რედაქციამ ქუთაისის მუშკორთა ორგანიზაციისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

— ამხანაგ სოლომონ დოლიძის რკინისგზაზე ორმოცი წლის მოღვაწეობის შესრულების გამო ქუთაისის რკინისგზელ მუშკორთა ორგანიზაცია უსურვებს მას კვლავ ხანგრძლივ ჯანმრთელობას და ენერგიას შემდეგ მუშაობაში.

კლუბში არ დადიან

მეტყევეთა კლუბი ორთაჭალა - ხარფუხის სარაიონო კლუბად ითვლება. მუშაობა აქ შესაფერის დონეზე იყო, მაგრამ მუშა - მოსამსახურეები მაინც სუსტად ეტანებიან მას. ამ საკითხის გამოსარკვევად 9 მაისს მეტყევეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობაში შესდგა კლუბის გამგეობის, ფაბრქარხკომების, ადგილკომების და კულტკომისიების გაერთიანებული თათბირი. კრება ფრიად საქმიანი იყო. გამომუშავებულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები.

კლუბის გამგეობამ უნდა მიიღოს ზომები მათ ცხოვრებაში გასატარებლად. საჭიროა პირველ ყოვლისა, კლუბში არსებულ წრეების შეკრება, რადგან ისინი იშლებიან.

ნაპერწკალი.

ექსკურსია „ზაჰესში"

8 მაისს ზაჰესს მუშათა ექსკურსია ესტუმრა. ექსკურსანტები იყვნენ როგორც თბილისიდან, ისე პროვინციიდან.

დილის 9 საათი იყო, როცა მატარებელი ზაჰესზე გაჩერდა. ყველა მოუთმენლად მოელოდა ზაჰესის ნახვას.

მატარებლის გაჩერებისთანავე ზღვა ხალხი მოეფინა ზაჰესის მიდამოებს. ისინი ყურადღებით ათვალიერებდენ სადგურის ყველა ნაწილებს. ყველა აღფრთოვანებული და კმაყოფილი დარჩა ზაჰესის აღმშენებლობით.

შუა დღეზე გადავიდა და დათვალიერება კიდევ არ იყო დამთავრებული. დათვალიერების შემდეგ მოეწყო წარმოდგენა. საღამოს 7 საათზე ექსკურსია უკან დაბრუნდა.

ზაჰესის დათვალიერებამ ექსკურსანტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ა. კუხალეიშვილი.

მომჭირნეობა არაფერ შუაშია

„ზაკპოგრუზის" გამგეობამ საქართველოს ხაზზე გააუქმა ყველა უბნები. თბილისის უბნის გაუქმება კი შეუძლებლად სცნო ტეხნიკურ პირობების გამო. თბილისის უბანს შემოუერთეს კიდევ ნავთლუღის უბანიც. ამ გაერთიანებულ უბნების ხელმძღვანელ აპარატში მუშაობს ოთხი კაცი. მუშა - მოსამსახურეთა რიცხვი კი უბანში 550-მდე აღწევს.

ეხლა ამბობენ, რომ თბილისის უბნის გაუქმებასაც აპირებენო.

ასეთ ცვლილებებს შემოტანას გამგეობა ხსნის მომჭირნეობის თვალსაზრისით. ჩვენის აზრით, უბნის გაუქმება არ არის მიზანშეწონილი, რადგან ზარალის მეტს არაფერს მოიტანს.

გარდა ამისა, ეს გარემოება მუშებში უკმაყოფილებას იწვევს.

ადგილობრივი მუშა.

საყურადღებო წვრილმანები

— მიიღეთ ზომები. ამ.-კავკასიის რკინის გზაზე დადის კაზანცევის მუხრუჭებით აღჭურვილი მატარებლები. მატარებლები სავსეა უბილეთო მგზავრებით და უპატრონო ბავშვებით. ისინი ზოგჯერ მექანიკურ დამუხრუჭებით აჩერებენ მატარებელს და სწყვეტენ კიდეც, რაც რკინის გზას ზარალს აყენებს.

„ხლედოპიტი".

— უნდა აილაგმონ. სადგ. საგარეჯოში, სოფლის ვაჭრებს ჩამოაქვთ ღვინო, ილეშებიან და აურ-ზაურს ახდენენ. ხშირია შემთხვევები, როდესაც იდინებიან და მოსვენებას არ აძლევენ მგზავრებს.

სადგურის უფროსმა ეს ხალხი უნდა ალაგმოს.

დ. ვეძელი.

— თავხედი სტუდენტი. სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი გრიშა მეუნარგია მოსვენებას არ აძლევს მუშა მდგმურებს, ლანძღავს და აგინებს მათ. 3 მაისს სახლში შეუვარდა მდგმურ ლ. თელიას, რომელსაც უშვერი სიტყვებით გინება დაუწყო და დაემუქრა კიდეც.

ურიჭინა.

— მუშკოოპი, „რას იტყვი"? კლ. ცეტკინის და რეუტოვის ქ. კუთხეში პურით ვაჭრობს ვინმე სჩანიანი, რომელიც აცხობს უვარგის პურს. „მუშკოოპის" გამგეობა კარგს იზამს თუ ამ რაიონში თავის ფურნეს გახსნიდეს.

შაბ-ში.

ა.-კ. საკრედიტო ბიუროს გამოკვლევა

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა გამოიკვლია ა.-კ. საკრედიტო ბიუროს მუშაობა, რომლის ძირითად ამოცანას შეადგენს, უპირველეს ყოვლისა, ცნობების გაცემა სავაჭრო ორგანოების კლიენტების კრედიტუნარიანობის შესახებ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აღნიშნა ცნობების რიცხვის ზრდა და ღირსების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მიუხედავად ამისა, გამოკვლევის დროს მიღწევებთან ერთად აღნიშნული იქნა ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეფექტებიც, რომლებიც ასუსტებენ კრედიტ-ბიუროს მუშაობას.

ამის გამო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საჭიროდ სცნო რა ბიუროს შემდგომი არსებობა, რაც ხელს შეუწყობს სავაჭრო ბრუნვის გაჯანსაღებას, ის აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა კრედიტ-ბიუროს მუშაობის სისტემის შეცვლა იმ მხრივ, რომ სამეურნეო ორგანოების თანახმად, საკრედიტო ბიურომ მუდმივი მეთვალყურეობა უნდა აწარმოოს მათ კლიენტებზე და აცნობოს ამ ორგანოებს ცნობები კლიენტების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

ამასთანავე მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აუცილებლად სცნო მიღებული იქნეს ზომები ძველი საქმების სალიკვიდაციოთ, მოეწყოს კონტროლი ქაღალდების შესრულებაზე, მიღებულ იქნეს ზომები საქმეების დაგვიანების წინააღმდეგ, რეგულიარულად მიეწოდოს კლიენტებს ინფორმაცია საქმის მსვლელობის შესახებ და სხვა.

აუცილებლადაა ცნობილი აგრეთვე შენარჩუნებული იქნეს დროებით კრედიტ-ბიუროს აპარატში რკინის გზის პრეტენზიების განყოფილება იმის გამო, რომ მოსალოდნელია ბიუროს მუშაობის გაძლიერება რკინის გზის დოკუმენტების შემოწმების დარგში. და ამ განყოფილების შემოსავლიანობის გადიდება. იმ შემთხვევაში, თუ განყოფილების მუშაობა საზარალო იქნება, იგი გაუქმებული უნდა იქნეს.

გამოკვლევა შეეხო აგრეთვე ანგარიშ-წარმოების საკითხებსაც; აღნიშნული იქნა, რომ ანგარიშები გადასახადების და რკინის გზის პრეტენზიების განყოფილებების მუშაობის შესახებ მეტად დაწვრილებითაა შედგენილი იმ დროს, როცა ამ განყოფილებების ბრუნვა შედარებით მცირეა, ეს კი იწვევს დროის უნაყოფოდ დაკარგვას. ამიტომ აუცილებლად იქნა ცნობილი თვიური ანგარიშების ფორმის გადასინჯვა მათი გამარტივების თვალსაზრისით.

პოლიტგანის მუშაკთა კონფერენცია

კონფერენციის პირველი დღეები მოუნდა მოხსენებების მოსმენას ადგილებიდან. მოხსენებებიდან გამოირკვა პოლიტგანის მუშაობის შემდეგი მიღწევები: თვითეული ქოხ-სამკითხველო სისტემატიურად აწყობდა მოხსენება-საუბრებს თვეში არა ნაკლებ სამისა სხვადასხვა პრაქტიკულ თემებზე; გაზეთის და წიგნების გავრცელების მხრივ მუშაობა შესამჩნევად გაღრმავებულა უკანასკნელი წლის განმავლობაში.

სოფლის სამკითხველოდან ყოველ თვიურად ვადიოდა გლეხებზე 700-800 წიგნი. გაზეთის მკითხველ-გლეხთა რიცხვი სოფლის ქოხ-სამკითხველოებში ყოველთვიურად 2.000 აღწევს. თემის ცენტრალური ქოხ-სამკითხველოს მდგომარეობა ორჯერ უკეთესია. საწრეო მუშაობას აწარმოებდნენ როგორც სოფლის, ისე თემის ცენტრალური ქოხ-სამკითხველოები. არსებობდა უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო, სანიტარულ-ჰიგიენური, ლიტერატურული, დრამატიული, ფიზკულტურის და მომღერალთა წრეები. სასოფლო-სამეურნეო და სანიტარულ-ჰიგიენურ წრეების მუშაობას ხელს უშლიდა მეთოდიური სახელმძღვანელოების და პროგრამების უქონლობა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ თემებში მუშაობდა 5-7-მდე სასოფლო-სამეურნეო წრე, სადაც მსმენელთა საერთო რიცხვი 150-მდე აღწევდა.

დანარჩენ წრეებიდან აღსანიშნავია დრამატიული წრების მუშაობა.

უმთავრეს თემებში ცენტრალურ ქოხ-სამკითხველოებთან ჩამოყალიბებულია თემის პოლიტგანის საბჭოები, სადაც ყველა კულტურული ძალებია გაერთიანებული.

12 მაისის დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. პ. აფხაიძის მოხსენება წრეების მუშაობის შესახებ. მომხსენებელი შეეხო წრეების პროგრამულ და გეგმიანი მუშაობაზე დამყარების აუცილებლობას, გააცნო კონფერენციას პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობის მიერ გამოცემული პროგრამები და განმარტა, თუ როგორ უნდა იქნეს ისინი ცხოვრებაში გატარებული.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **კ. ბერძენიშვილის** მოხსენება დრამატიული წრეების მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, როგორ უნდა მოეწყოს სოფლად დრამ-წრეები, როგორი ხელმძღვანელები უნდა აირჩიოს წრემ და ორგანიზაციულად როგორ უნდა ჩამოაყალიბოს თავის მუშაობა. აღნიშნული იქნა, რომ მიღებულია ზომები ქართულ ენაზე სოფლისათვის გამოსადეგი პიესების და მეთოდიური სახელმძღვანელოების გამოსაცემად.

საღამოს სხდომაზე მუშაობდენ კომისიები. შემდეგ დამსწრეებმა დაათვალიერეს ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა და ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბი.

12 მაისის დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა მოხსენება გლეხ-ქალთა შორის მუშაობის შესახებ. მოხსენების შემდეგ კომისიის მიერ გამომუშავებული იქნა ღონისძიებანი, რომლებიც უნდა ჩატარდეს გლეხ-ქალთა შორის მუშაობის გასაღრმავებლად.

დილის სხდომაზევე კონფერენციამ მოისმინა მოხსენება კედლის გაზეთების მუშაობის შესახებ. კონფერენციაზე მოწყობილია მაზრის კედლის გაზეთების გამოფენა. გამოფენილია სულ 38 გაზეთი. ეს გამოფენა შეისწავლა სპეციალურმა კომისიამ. კედლის გაზეთების მუშაობა შესამჩნევლად გამოცოცხლებულა უკანასკნელი წლის განმავლობაში.

პედაგოგიურ ინსტიტუტში

პედაგოგიურ პრაქტიკუმის სააღრიცხვო კონფერენცია

მესამე დღე

კონფერენციის მესამე დღის სხდომაზე ვრძელდებოდა ახალგაზრდობის სკოლებში პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად მივლინებულ სტუდენტების მოხსენებების მოსმენა.

სტ. ალ. პირტახია (მოხაშის სოფლის ახალგ. სკოლა). ფოცხოს თემის (სენაკის მაზრა) სკოლაში არის მხოლოდ ერთი ჯგუფი. იგი შესდგება სულ 27 მოწაფისაგან. სკოლის განკარგულებშია მამული 8 ქცევამდე, სადაც აწარმოებენ მებოსტნეობას, მეთამბაქოეობას და მემინდვრეობას. თვითეულ მოწაფეს თავის ოჯახში გამოყოფილი აქვს ნაკვეთი ცდების საწარმოებლად.

სკოლას აქვს სათბური ბოსტნეულის ნერგებისათვის. სკოლის ინიციატივით გამოდის ორი კედლის გაზეთი. სკოლა მუშაობს აგრეთვე შინაურ ფრინველების ჯიშის გაუმჯობესებაზე.

სტ. ა. მახარაძე (თბ. მაზ. დიღმის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა). სკოლაში არის ორი ჯგუფი; აქვს ბაღი 4 დეს., რომელიც გაყოფილია საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთებათ, რომელზედაც აწარმოებენ მებოსტნეობას, მემინდვრეობას, მეხილეობას და მევენახეობას და ახდენენ ყოველდღიურ დაკვირვებას. ბავშვებს ოჯახებშიც აქვთ გამოყოფილი ნაკვეთები. სკოლაში სწარმოებს სექციური და აგრეთვე პროექტ-მეთოდით მუშაობა. სკოლას აქვს ლაბორატორია, რომელიც მდიდარია სხვადასხვა ქიმიური და ფიზიკური ხელსაწყოებით. მოწაფეები გლეხობაში ეწევიან აგროპროპაგანდას ლექციების კითხვით, ახდენენ ბიოლოგიურ ცდებს და აწარმოებენ აგრიკულტურულ მუშაობას.

სტ. ი. კოპალიანი, სოფ. აკეთი (ოზურ. მაზრა). გლ. ახალგაზ. სკოლას 9 თვის ისტორია აქვს. სკოლას აქვს საცდელი-საჩვენებელი მიწის ნაკვეთები, სადაც მოწაფეები ეწევიან მებოსტნეობას, მემინდვრეობას და მეხილეობას.

მოწაფეებს სახლშიდაც აქვთ გამოყოფილი ნაკვეთები იმ მიზნით, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა გადაიტანონ თავის მეურნეობაში. სკოლის მოწაფეები ეწევიან საზ. სასარგებლო მუშაობას სექციების ხელმძღვანელობით, როგორიცაა მაგ.: გლეხობისთვის გაზეთის კითხვა, სახლში მშობლებთან და მეზობლებთან აგიტაცია-პროპაგანდა ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ და სხვა. სოფლებში დაარსებულია აგრო-წრეები, სადაც მოწაფეები კითხულობენ მოხსენებებს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო თემებზე.

გლეხობა სკოლის მადლიერია. სკოლის მუშაობას ნაწილობრივ აფერხებს ცუდი მატერიალური მდგომარეობა.

ახალი აბრეშუმის ფაბრიკა ოზურგეთში

პირველ ივლისიდან ოზურგეთში დაიწყება მუშაობა ახალი აბრეშუმის ძაფის სახვევი ფაბრიკის ასაგებად. ახალ ფაბრიკაში დადგმული იქნება 72 თასი. მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაიწყო. საამშენებლო მასალები მომარაგებულია. ამჟამად წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებზე მუშაობს 100 კაცი. იმ ადგილამდე, სადაც ახალი ფაბრიკის შენობა უნდა აშენდეს, გაყვანილია ვიწრო ლიანდაგიანი გზა საამშენებლო მასალის მოსაზიდათ. გამომუშავებული ხარჯთ-აღრიცხვით ფაბრიკის აგება ჯდება ნახევარი მილიონი მანეთი. ზამთრის სეზონში აბრეშუმის თესლის შენახვად ფაბრიკასთან შენდება სპეციალური საწყობი, სადაც მოთავსებული იქნება გურიაში მოყვანილი აბრეშუმის თესლი.

გასულ წელს დამთავრებული ფაბრიკა განაგრძობს შარშანდელი პარკის დამუშავებას. ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის გაიხსნა სასადილო და საჩაე. სასადილო ყოველდღიურად ამზადებს 300 სადილს, მუშები ორ კერძიან სადილში იხდიან 5 შაურს. ა.-წ. პირველ ივლისიდან ფაბრიკა ერთი თვით შეაჩერებს მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში ფაბრიკაში დაიდგმება მეტძალოვანი ძრავი და გადაყვანილი იქნება ორ-რიგ მუშაობაზე.

„საქართველოს ღვინო"-ს მუშაობა

ორი თვეც არ გასულა, რაც „საქართველოს ღვინო"-ს ახალი გამგეობა შეუდგა მუშაობას და ასეთი მცირე ხნის განმავლობაშიც არის ზოგიერთი მიღწევები კოოპერატიული საქმიანობის გაფართოებისა და გაჯანსაღების დარგში. თბილისის ბაზარზე მანამდე „საქართველოს ღვინო"-ს სახელით გამოდიოდა მონოპოლიური უფლებებით აღჭურვილი კერძო ვაჭარი და მისმა „მოღვაწეობამ" დიდი ზიანი მიაყენა მევენახე - მეღვინეთა კოოპერაციას. ამჟამად „საქართველოს ღვინო" თბილისის ბაზარს უშუალოდ საკუთარი აპარატით აწოდებს ღვინოს და გასაღებამაც შესამჩნევად იმატა. მუშკოოპი, „ზაკტპო" და სხვა კოოპერატიული ორგანიზაციები უშუალოდ „საქართველოს ღვინო"-დან ღებულობენ ღვინოს და აწოდებენ მომხმარებელს. ეს შინაკოოპერატიული ურთიერთობა და მიწოდება მომავალში აუცილებლად გაფართოვდება და სასარგებლო იქნება როგორც სამომხმარებლო, ისე საწარმოო კოოპერაციისათვის. ღვინის ფასები დაკლებულია 5 პროცენტით, მიღებულია ზომები ღვინის ხარისხის გასაუმჯობესებლად, გამოშვებული იქნება ახალი ღვინო ბოთლებში სამი ნომრით: № 2, 4 და 6. ამ მიზნით უკვე შეძენილია საკმაო დიდი რაოდენობით საუკეთესო ხარისხის ღვინო.

საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ბანკის მიერ „საქართველოს ღვინო"-ზე გადაცემულ იქნება გასასაღებლად საკრედიტო ამხანაგობების მიერ დამზადებული 60.000 ვედრო ღვინო. ამას გარდა, „საქართველოს ღვინო" იძენს ღვინოებს თავის ამხანაგობებიდან როგორც კოოპერატიული გასაღების წესის საფუძველზე, ისე მტკიცე ფასებშიც. სამწუხაროდ, ძირითადი ამხანაგობები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, ზოგიერთი მათგანის ლიკვიდაციაც მოხდა. ამხანაგობებს ღვინო დამზადებული ჰქონდათ მაღალ ფასებში და ძნელია მათი გასაღება ისე, რომ ამხანაგობებმა და „საქართველოს ღვინო"-მ ზარალი არ ნახონ. საქმეს აძნელებს აგრეთვე სესხის უქონლობა: ბანკები საქონლის დაგირავებით [illegible] სესხს. და ბანკის ხელმძღვანელები ამას ხსნიან ღვინის გასაღების სიძნელით. კრედიტის მიწოდების გარეშე კი ჩვენი მეღვინეობის განვითარება და მისი ნაწარმოების გასაღების გაფართოება შეუძლებელია. ამას უნდა მიაქციონ შესაფერი ყურადღება უმაღლესმა ორგანოებმა და მისცენ „საქართველოს ღვინო"-ს მთელი ამიერ-კავკასიის და აგრეთვე რუსეთის ბაზარზე გამოსვლის საშუალება.

ამჟამად საქართველოს გარეშე „საქართველოს ღვინო"-ს განყოფილება მხოლოდ ბაქოში აქვს, ახლო მომავალში ის ხსნის განყოფილებას აგრეთვე პიატიგორსკში. ამასთან ერთად, გამგეობა ცდილობს ზაფხულის მოახლოებისას ღვინის გასაღების მოწყობას ჩვენს კურორტებზე—აბასთუმანში, ბორჯომში, კოჯორში და სხვ.

გარდა ბითუმი ვაჭრობისა, გამგეობის მიერ საერთოდ ნავარაუდევია ღვინის გასაღება თვიურად საქართველოში (თბილისით) 3.000 ვედრო, ბაქოში—3.000, ჩრდილოეთ-კავკასიაში — 3.000, კახეთის იქითა მხარეში—3.000 ვედრო. სულ შვიდი თვის განმავლობაში 1 ოქტომბრამდე ნავარაუდევია საცალოთ 84.000 ვედრო ღვინის გასაღება.

ღვინო დამზადებული უნდა იქნას ივნისის შუა რიცხვებამდე, რადგანაც შემდეგ ქვევრებში ღვინის შენახვა ძნელია. განზრახულია ამასთანავე არა ნაკლებ 765.000 გრადუსი სპირტის დამზადება და 300.000 გრ. კონიაკის.

გამგეობის მიერ გამომუშავებული გეგმის შესრულება აუცილებელია ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის კოოპერაციის მომავალის უზრუნველყოფისათვის და ამ მცირე გეგმის შესრულებაში მას სათანადო ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ. „საქართველოს ღვინო" სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პირველი სპეციალური ცენტრია და მის გეგმიან მუშაობაზე დიდათაა დამოკიდებული ჩვენს მეურნეობაში და კოოპერაციაში სპეციალიზაციის მიზანშეწონილი გატარება. ამიტომ „საქართველოს ღვინო"-ს მუშაობას დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ.

ველითელი.

რიონის ჰიდრო-სადგური

რიონის ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, ს. მ. უ. ს. მიერ განზრახულია მიენდოს სახელმწიფო ექსპერიმენტალურ ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტს.

სადგურის ასაგები პროექტი იმგვარად უნდა იქნეს დამუშავებული, რომ სადგურმა შესძლოს პირველ ხანებში 20.000 კილოუატის გაცემა.

საგეგმო კომისიაში

საგარანტიო სესხის შესახებ

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო აღიძრას ცენტრალურ ორგანოების წინაშე შუამდგომლობა, რათა საქართველოს მრეწველობა განთავისუფლებულ იქნეს სარეზერვო თანხების მოთავსებიდან 8 პროცენტიანი საგარანტიო სესხში.

საბინაო აღმშენებლობა

რადგან ჩვენში ამჟამად ძალიან დიდი საბინაო კრიზისია, საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო, რომ სოც. დაზღვევიდან საბინაო აღმშენებლობისათვის შემოსული თანხის 90 პროც. დარჩეს ადგილობრივ და 10 პროც. კი გადაიგზავნოს ცენტრში.

სამხედრო მოსამსახურეთა საბინაო ტარიფი

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე, რათა შეტანილ იქნეს თბილისისათვის დამტკიცებულ ბინის ქირის დებულებაში შესწორება იმ აზრით, რომ სამხედრო მოსამსახურენი იხდიდენ ბინის ქირას ძირითადი ჯამაგირის მიხედვით.

ინფუზორიტის მადნები

გუშინ სამთო მრეწველობის ტრესტში შესდგა თათბირი ახალციხის მაზრაში მდებარე საინფუზორიო მიწის მადნების დამუშავების გამოსარკვევათ.გარდა სამთო მრეწველობის ტრესტის ხელმძღვანელებისა, თათბირს დაესწრო აგრეთვე ახალციხის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **შაბანოვი.** დღემდე ინფუზორიტის დამუშავებას აწარმოებდა ახალციხის სამაზრო აღმასკომი, რომელიც ამზადებდა მადანს სხვადასხვა ორგანიზაციების შეკვეთით.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. შაბანოვი, რომელმაც დაახასიათა საინფუზორიო რაიონის მდგომარეობა და აღნიშნა, თუ როგორ, ან რა სისტემით აწარმოებენ ამჟამად მუშაობას მადნის ამოსაღებათ. თათბირის მიზანი იყო აღნიშნული რაიონის მდგომარეობის გამორკვევა და ინფუზორიტის დამუშავების პერსპექტივების გამოკვლევა.

თათბირმა, აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ დაადგინა, რომ ახალციხის მაზრაში მდებარე საინფუზორიო მიწის რაიონი გადაეცეს საექსპლოატაციოთ სამთო მრეწველობის ტრესტს. ტრესტის განკარგულებაში მადნები გადადიან 15 მაისიდან. ტრესტს განზრახული აქვს გაგზავნოს იქ თავისი სპეციალისტები.

თამბაქოს მრეწველობა

სახკომსაბჭოს დავალებით, საქართველოს საგეგმო კომისიამ განიხილა საკითხი დაინტერესებულ უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით, საქართველოს თამბაქოს მრეწველობის ეხლანდელ მდგომარეობისა და მისი ასაღორძინებლად საჭირო ზომების მიღების შესახებ.

თათბირზე წარმოდგენილ ცნობებიდან გამოირკვა, რომ 1926—27 სას.-სამეურნეო წლისათვის თამბაქოს პლანტაციების არე საქართველოში განისაზღვრულია 12.400 დეს. რაოდენობით: აქედან აფხაზეთში 10.000 დეს., ლაგოდეხის რაიონში 1.350 დეს., სამეგრელოში 500 დეს., გურიაში 350 დეს. და აჭარისტანში 200 დეს.

საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო გადადებულ ქნეს მოკლე და გრძელვადიანი სესხის გარდა განსაზღვრული თანხა, საიდანაც უნდა მიეცეს გლეხებს სესხად თამბაქოს რეალიზაციამდე ფუთზე 6 მან. და კოოპერაციის ფერმენტაციისათვის ფუთზე 3 მან.; ამ ვარაუდით მარტო ლაგოდეხის რაიონისთვის მიმდინარე წელს საჭიროა 846.000 მან. თამბაქოს ბაზრის მოსაპოებლად საჭიროდ იქნა ცნობილი თამბაქოს და მის ნაწარმოებზე არსებული სააქციზო გადასახადის ნორმების შემცირება, უმაღლეს ხარისხის თამბაქოზე სააქციზო გადასახადი უნდა განისაზღვროს 7 მან. 50 კაპ., უმაღლეს ხარისხის პაპიროსი „ა"-ს 1.000 ცალი არა უმეტეს 7 მან. 50 კაპ., შემოღებული უნდა იქნეს უმაღლეს ხარისხის პაპიროსი „ბ"-ს წარმოება, რასაც დაედება 6 მან. 20 კაპ. გადასახადი (1.000 ცალზე).

საქ. ნავთსადგურებში

ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოს დადგენილებით, წელს გაგრძელდება მუშაობა საქართველოს ნავთსადგურების გასაფართოებლად. ამ მიზნით წელს, როგორც შარშან იწარმოებს მუშაობა ფოთის, ბათომის და სოხუმის ნავთსადგურებში. კერძოთ ბათომის ნავთსადგურის გასაფართოებლად გადადებულია 550 ათასი მანეთი სამზადისი საამშენებლო მუშაობისათვის უკვე დაიწყო. ამ ჟამად ნავთსადგურების სამმართველო ბათომში აწყობს სპეციალურ პარკს ტინობის და ქვის მასივების დასამზადებლად. ამ მიზნით კახაბერის რაიონში დაწყებულია კლდის ქვების მტვრევა საამშენებლო ქვის დასამზადებლად. ნავთის გემსაყუდში იდგმება ორი ბაკი, რომელიც იქნება 4000 კუბიკური მეტრის შემცველი. ბაკებს ექნებათ სპეციალური გადასასხმელი მილები.

ყველა საამშენებლო სამუშაოები დამთავრდება მიმდინარე წლის დამლევისათვის.

კონიაკის ფალსიფიკაცია

1925 წელს თბილისში გაიხსნა კონიაკის საწყობები, რომლებიც ეკუთვნოდენ კერძო პირებს. ასეთი საწყობები იყო: ფირმა „კოლოკოლ" დავით დავიდოვის (საბაჟოს ქ., № 3), მოქ. ილია ლაზარევის (გოგოლის ქ., № 53), ფირმა „კავკასიის ამხანაგობა" ბაგრატ არუთინოვის (მალაკნის ქ., № 2), ტერ-შაგრიარსკის (ელისაბედის ქ., № 39), მელქისედეკ არუცევის (ელისაბედის ქ., № 34), და აშოტ მელქუმიანის (საბჭოს ქ., № 71),

ზემოთჩამოთვლილი პირები ყიდულობდენ კონიაკის სპირტს და სპირტიდან ამზადებდენ ცუდი ხარისხის კონიაკს. იღებდენ 65 გრადუსიან სპირტს, გაურევდენ წყალს და დაჰყავდათ ის 40 გრადუსამდე, რადგან ასეთი სიმაგრის კონიაკი კარგი ღირსების კონიაკათ ითვლება. დამზადებული კონიაკისათვის, რომ ფართე ბაზარი მოეპოებიათ და კონიაკს კარგი ფერი მისცემოდა, ურევდენ სხვადასხვა ესენციებს, ჩაის, ვანილს და დამწვარ შაქარს. ყოველ კვირაში თვითეული ფირმის მეპატრონე ამზადებდა 20—25 ვედრო ყალბ კონიაკს.

კონიაკს ყიდდენ დაკლებულ ფასებში და ამნაირი გზით ბევრი კლიენტები გაიჩინეს. თავიანთი აგენტების საშუალებით კონიაკი უმთავრესად გაჰქონდათ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებში და ასაღებდენ აგრეთვე ადგილობრივ ბაზარზედაც.

კონიაკის დამზადებას აწარმოებდენ ყოველგვარი ჰიგიენური წესების დაცვის გარეშე. ზოგიერთ ფირმის მეპატრონეს მთელი ლაბორატორია ჰქონდა მოწყობილი სხვადასხვა ესენციების დასამზადებლად.

გამოირკვა, რომ ზემოთჩამოთვლილ პირების მიერ დამზადებული კონიაკი ცუდი ღირსებისაა. კონიაკის ნიმუშები საანალიზოთ გაიგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ჯანსახკომის ქიმიურ ლაბორატორიაში.

ქიმიური ანალიზით გამოირკვა, რომ წარმოდგენილ კონიაკების ნიმუშებს არ აქვს დამწიფებით მოპოებული სურნელობა და შემზადებულია სხვადასხვა ესენციებისაგან, რაიც ყოვლად დაუშვებელია.

ხანგრძლივი ხმარება ასეთი კონიაკისა დიდათ მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის.

კონიაკის ფალსიფიკატორები: **დავიდოვი, ლაზარევი, არუთინოვი, შაგრიარსკი, არუცევი და მელქუმიანცი** ამჟამად პასუხისგებაში არიან მიცემული და ახლო მომავალში წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

კოოპერატორთა დელეგაცია

ცეკავშირში შესდგა საზღვარ-გარეთის კოოპერატიულ დელეგაციების მიმღებ ცენტრალურ კომისიის სხდომა.

სხდომას დაესწრნენ: ამხ. **ვ. ბოლქვაძე** (მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარე და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე); **მ. ჩილინგაროვი** (ცეკავშირის საორგანიზაციო განყ. გამგე), **ბოკოვი** („მეომარი"-ს გამგეობის თავმჯდომარე), **მინასაროვი** („ზაკტპო"-ს გამგეობის წევრი) და **ი. ჭელიძე** (საქართველოს პროფსაბჭოდან).

კომისიამ ამოირჩია სპეციალური სამეული ამხ.: **ბოლქვაძის ბოკოვის და ჭელიძის** შემადგენლობით, რომელსაც მიენდო დელეგაციის მიღება და ჩამოსვლასთან დაკავშირებულ ყველა საკითხების განხილვა.

სას.-სამეურნეო კრედიტი

საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკმა ჯავახეთის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს გაუხსნა კრედიტი ულარიბესი გლეხობის მეურნეობისა და ღარიბ გლეხთაგან კოლექტივებისათვის სესხის მისაცემად.

საკრედიტო ამხანაგობები უკვე შეუდგენ კრედიტის განაწილებას ზემოხსენებულ მეურნეებს შორის. ჯერ-ჯერობით დარიგებულია სესხად 5.900 მანეთი. ამ თანხიდან 6 მერძევეთა ამხანაგობას და ერთს კომუნას მიეცა—2.400 მანეთი. დანარჩენი 3.500 მანეთი დაურიგდა 42 ულარიბესი გლეხის მეურნეობას. საშუალოდ თვითეულ მეურნეობას მიეცა სესხად 90 მანეთი. ამავე წესით სოფ. სათხნის საკრედიტო ამხანაგობამ გაანაწილა გლეხებს შორის 1.000 მანეთი, ხოლო სოფ. ბარელის საკრედიტო ამხანაგობამ—1.500 მანეთი.

ლითოგრაფიული ქვა

სამთო მრეწველობის ტრესტმა საკავშირო ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტში წარადგინა მასალები საქართველოს ლითოგრაფიული ქვის დამუშავების შესახებ. აღნიშნულ მასალებში შემოწმებული იყო ჩვენებური ქვის მაღალი ღირსება და მისი ამოღების სიადვილე.

კომიტეტმა მოხდინა ქართული ლითოგრაფიული ქვის გამოცდა და მიღებული პროდუქციის შემოწმება. გამოცდის შემდეგ დადასტურდა, რომ ჩვენებურ ქვას შეუძლია შესცვალოს ევროპიდან შემოზიდული ლითოგრაფიული ქვები. ამის გამო პოლიგრაფ. მრეწ. კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წინაშე — შეამციროს თავის ქვემდებარე მრეწველობისათვის საჭირო ლითოგრაფიული ქვის შემოზიდვა საზღვარგარეთიდან 50 პროცენტით.

სამთო მრეწველობის ტრესტის სპეციალისტების აზრით, საქართველოს ლითოგრაფიულ ქვას, ექსპლოატაციის დაწყების პირველ წელშივე შეუძლია დააკმაყოფილოს საკავშირო ბაზრის მოთხოვნილება, ხოლო ერთი წლის შემდეგ შესაძლებელი გახდება გატანა უცხოეთის ბაზრებზე.

მოსკოვიდან მიღებულ ცნობებით, საქართველოს ლითოგრაფიულ ქვის გამოცდამ მოსკოვის სტამბებში კარგი შედეგები გამოიღო.

ადგილობრივი მეურნეობა

საქართველოს საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაავალა საბიუჯეტო-საფინანსო სექციას ადგილობრივ მეურნეობის გამოკვლევა და მისი ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენა.

ვინაიდან აღნიშნული გეგმის სათანადოთ შედგენა შეუძლებელია, თუ ამ საქმეში უახლოესი მონაწილეობა არ მიიღეს თვით მაზრებმა, საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა საბიუჯეტო-საფინანსო სექციას საჩქაროდ დაუგზავნოს მაზრებს საჭირო ინსტრუქცია და ამავე დროს შეუდგეს ადგილობრივ არსებული მასალების დაგროვება-დამუშავებას.

სასოფლო-სამ. მანქანების შეკეთება

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა მიწსახკომის მიერ შემუშავებული გეგმა სას.-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტის ორგანიზაციისა. ხსენებული გეგმით გათვალისწინებულია მოეწყოს პირველ რიგში სიღნაღის, გორის და თელავის სახელოსნოები, სულ 3, რისთვისაც საჭირო იქნება 58.311 მან.; მეორე რიგში უნდა მოეწყოს თბილისის, ახალციხე-ახალქალაქის, მეორე სიღნაღის და შორაპან-ქუთაისის (სულ 4 სახელოსნო), რომელთათვის საჭირო იქნება 77.748 მან.; მესამე რიგში მოეწყობა ზუგდიდის სენაკის, მეორე გორის, დუშეთ-თიანეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის (სულ 5 სახელოსნო); რომელთა მოწყობა დაჯდება 97.185 მანეთი.

ცენტრალური სახელოსნო, სადაც შესაძლებელი იქნება რთული მანქანა-იარაღების სრული რემონტი მოკლე ხანში მოეწყობა თბილისში.

ადგილობრ. მრეწველობა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დადგენილების თანახმად, მიმდინარე საამშენებლო სეზონში დაიწყება ადგილობრივ მრეწველობის განვითარების მიზნით შემდეგ წარმოებათა აგება და მოწყობა.

ახალსენაკისა და დუშეთის მაზრებში დაიწყება ერბო-ყველის საკეთებელი ქარხნების შენება, ქუთაისში კირის ქარხნის აგება. ამ უკანასკნელის პროექტი. და ხარჯთაღრიცხვის შედგენა უკვე დამთავრებულია.

თბილისის აღმასკომი თბილისში აგებს ახალ ლუდის სახდელ ქარხანას. ქარხანა შენდება იმ ანგარიშით, რომ საჭიროების დროს (ლუდის მოთხოვნილების ზრდასთან შეფარდებით) შესაძლებელი გახდეს ქარხნის ნაყოფიერების გადიდება 300 ათას ვედრომდე წელიწადში. პირველ წლებში კი ქარხანა დაამუშავებს 150 ათას ვედრო ლუდს.

საგაზაფხულო სამუშაოები

წელს სამხრეთ ოსეთში ნაგვიანევი გაზაფხულია. სამხრეთ ოსეთის დაბლობ ადგილებში თოვლი გადნა მხოლოდ აპრილის მეორე ნახევარში, ხოლო მაღლობ ადგილებში ალაგ-ალაგ გაუმდნარი იყო მაისის დამლევისათვის. წვიმიანი ამინდი გრძელდება უკანასკნელ დრომდე მიუხედავად ამისა გლეხობა კაი ხანია გამოვიდა საგაზაფხულო სამუშაოებზე.

ბოსტნებში, ვენახებში და ხილის ბაღებში პირველი რიგის მუშაობა უკვე დამთავრებულია.

დიდი აქტიობა გამოიჩინა წელს სამხრეთ ოსეთის მიწადმოქმედების კომისარიატმა, რომელმაც ყველა რაიონებში დაგზავნა აგრონომ ინსტრუქტორები აგრონომიული დახმარების გასაწევად და ლექცია-საუბრების ჩასატარებლად. ინსტრუქტორები სამუშაოზე გამოსულ გლეხს აძლევდენ საჭირო რჩევა-დარიგებას თესვითი კამპანიის ჩატარების შესახებ. წელს მთელი სათესი მასალა სრულიად გაწმენდილ გასუფთავებულ იქნა. თესვის საწმენდმა მანქანებმა გაასუფთავეს რამოდენიმე ათეული ათასი ფუთი თესლი. გააცხოველეს მუშაობა აგრეთვე სასოფ.-სამ. იარაღების დამქირავებლებმა პუნქტებმა, რომელსაც არ ყოფნის იარაღები გლეხთა გაძლიერებული საჭიროების დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება არის გუთნებზე.

ტუბერკულოზის სამდღიური

თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის სექციის დადგენილებით 27, 28 და 29 მაისისათვის დანიშნულია ტუბერკულოზის სამდღიურის ჩატარება.

აღმასკომთან მუშაობს სამდღიურის ჩამტარებელი ცენტრ. კომისია, რომელშიდაც შედიან თბ. აღმასკომის თავმჯდომარე, ჯანმრთელობის განყოფილების გამგე, პარტიული, პროფესიული, პოლიტგანათლების სანატორ. - პროფილაქტიურ დაწესებულებათა წარმომადგენელი.

ადგილებზე მუშაობენ სარაიონო კომისიები, რომელშიდაც შედიან რაიკომების წარმომადგენელი (თავმჯდომარედ), სანიტარული ექიმი და ცენტრ. კომისიის წარმომადგენელი. ცენტრალურ კომისიას აქვს სამი სექცია — საპროპაგანდო - საგიტაციო, საორგანიზაციო და საფინანსო - სამეურნეო.

ცენტრ. კომისიას სამდღიურის ჩასატარებლად დამზადებული აქვს — 500 ათასი ცალი ყვავილი, ფურცლები ლოზუნგებით—500 ათასი ცალი (ყველა ენებზე) ბროშურები „ჭლექი საქართველოში" 3 ათასი ცალი და წინასწარი გამაფრთხილებელი ზომები ჭლექის წინააღმდეგ" — 10 ათასი ცალი.

სოციალურ კულტურული მშენებლობა

ა.-კ. სახკომსაბჭომ თხოვნით მიმართა ა.-კ. ცაკს დაუყოვნებლივ მოაწყოს რესპუბლიკების სახკომსაბჭოების და ჯანმრთელობის სახკომისარიატების წარმომადგენელთა თათბირი ამიერ-კავკასიის სახალხო ჯანმრთელობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის შედგენის საკითხების განსახილველად.

საჭიროდ არის აგრეთვე ცნობილი, რომ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა და შრომის კომისარიატებმა რაც შეიძლება ხელი შეუწყონ ამ.-კ. საგეგმო კომისიას სახალხო განათლების ყოველი დარგის საპერსპექტივო გეგმის დამუშავებაში. ამ გეგმაში უნდა შევიდეს კვალიფიციური და ტეხნიკური ძალის აღდგენისა და შექმნის საკითხი და აგრეთვე უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხები.

გამოცდები მუშფაკში

მიმდინარე თვის დამლევს მუშფაკების უკანასკნელ კურსებზე დაიწყება გამოცდები. მუშფაკელების ცოდნა-მომზადება შემოწმებული იქნება შემდეგ საგნებში — სამშობლო ენა და ლიტერატურა, კლასთა ბრძოლის ისტორია, სრ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ისტორია, მათემატიკა და ფიზიკა. გამოცდამ უნდა გამოარკვიოს, მომზადებული არიან, თუ არა მუშფაკელები უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად.

შესამოწმებელ გამოცდებზე დაშვებული არ იქნებიან ის მუშფაკელები, რომელნიც საკურსო საბჭოს დასკვნით, წარმატებას ვერ იჩენდენ ორზე მეტ საგანში.

მუშფაკელების გამოსაცდელად დგება კომისია, რომელშიდაც შევლენ მუშფაკის დეკანი ან სამოსწავლო ნაწილის გამგე, აღმასბიუროს წარმომადგენელი, სასწავლო საგნის კომისიის თავმჯდომარე და საგნის ლექტორი.

საბინაო მშენებლობა

მუშათა საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა განიხილა საკითხი სოცდაზღვევის ორგანოებიდან საბინაო მშენებლობისთვის გადადებულ თანხების განაწილების შესახებ. დამხმარე კომიტეტმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა, რომ ის თანხები, რომლებიც სოციალურ დაზღვევის ორგანოებიდან შემოდის საბინაო მშენებლობის სასარგებლოდ, განაწილებულ იქნას შემდეგნაირად: მთელი თანხის მეოთხედი (25 პროცენტი) დატოვებული იქნას საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის რესპუბლიკანურ ფონდში; ნახევარი (50 პრ.) გადაირიცხოს ადგილობრივ აღმასკომების სასარგებლოდ საბინაო მიზნებისათვის და დანარჩენი მეოთხედი გადაიგზავნოს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომუნალურ ბანკს, რომელიც ამ თანხებს გაანაწილებს საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის.

ალაზნის არხი

ალაზნის არხის გათხრაზე ამჟამად მუშაობს 400-მდე მუშა. მუშაობა სწარმოებს სოფელ ბაკურციხესთან, სადაც მომავალში განზრახულია კახეთის ჰიდრო ელექტრო-სადგურის აგება.

ამჟამად გაძლიერებული ტემპით სწარმოებს საჭირო მასალების დაგროვება ხელოვნურ ნაშენებისათვის, რომელთა საძირკვლის ჩაყრა ჯერ-ჯერობით შეფერხებულია იმის გამო, რომ საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს არა აქვს საბოლოო პროექტი.

სამუშაოების ადგილას მუშებისათვის მოწყობილია კარვები. მუშებს შორის სწარმოებს კულტურული მუშაობა. კანტორასთან სოფელ ვეძისციხეში მოწყობილია ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საიდანაც სამუშაოების ადგილას იგზავნება გაზეთები და ჟურნალები.

ავიო-ლატარია

პირველი საკავშირო საავიაციო ლატარიის გათამაშება დასრულდა. იმ ბილეთების ნომრები, რომლის პატრონებსაც ხვდათ დიდი მოგებები, უკვე იყო გამოცხადებული, ხოლო დანარჩენი წვრილი მოგებები, რიცხვით 8065 გამოცხადებულ იქნება ცალკე.

იმ მოქალაქეებმა, რომელთაც ხვდათ დიდი მოგება, თავიანთი ბილეთები და პირადობის დამადასტურებელი საბუთები უნდა წარადგინონ საქართველოს ქიმიური თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოებაში, დღიდან მოგებათა გამოცხადებისა ერთი თვის განმავლობაში. წარდგენილ ცნობებში აღნიშნულ უნდა იქნეს, თუ რა სახით უნდა მიიღოს მოგება მომგები ბილეთების პატრონს—ფულით, თუ მგზავრობით.

მომგების მგზავრობა, როგორც საბჭოთა კავშირის საზღვრებში, აგრეთვე საზღვარ-გარეთაც ხდება სალოტარიო კომიტეტის ხარჯზე, რომელიც მომგებს მისცემს სათანადო ნებართვებს (ვიზა და სხ.).

იმ პირებმა, რომელთაც მოიგეს ქალაქებზე ფრენა, განცხადება უნდა შეიტანონ ქალაქის ქიმიური თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოებაში.

ბაზარი

მუშკოოპის სავაჭროებში ჩითი № 3 ღირს 38 კაპ. მეტრი, № 5 — 45 კაპ., შავი მალესკინი 65 კაპ., მადაპალამი 78 სანტიმეტრის განისა 49 კაპ., შავი მაუდი 5 მ. 40 კაპ., კოჭის ძაფი „ჯაშვი" 12 კაპ., მამაკაცის ფეხსაცმელები რუსული ხრომის 10 მ. 59 კაპ., ნარმა 62 სანტიმეტრის განისა 41 კაპ. მეტრი, კალოშები მამაკაცის 3 მან. 65 კაპ., ლილა 9 კაპ. ცალი, თუჯის პურჭელი 78 კაპ. კილოგრამი, ჭიქები თეთრი ზოლით 11 კაპ. ცალი, სარეცხი საპონი „მარმალილო" 47 კაპ. კილო, „ტოლე" 20 კაპ. ნაჭერი, ხელის საბანი საპონი 22 კაპ. ნაჭერი, შაქარი ფხვნილი 62 კაპ. კილო, შაქარი რაფინადი 72 კაპ. კილო. ჩაი (ჩაის სამმართველოსი) პირველი ხარისხის 6 მ. 10 კაპ. კილო, ჩაი „ლუბიტელსკი" 8 მ. 60 კაპ. კილო, ჩაი (ცეკავშირის) პირველი ხარისხის 5 მ. 70 კაპ. კილო, მარილი (ფხვნილი) 5 კაპ. კილო, მარილი ქიმიურად დაწმენდილი 5 კაპ. შეკვრა, ასანთი 14 კაპ. 10 ცალი, ნავთი 7 კაპ. ლიტრა, ბრინჯი „აკ" 54 კაპ. კილო, ბრინჯი „რ" 36 კაპ. კილო. კერძო ბაზარზე ჰყიდიან ბაღის მარწყვს კილო ღირს 60 კაპ.

კვირას, 15 მაისს, საღამოს ექვს საათზე
განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3)

გაიმართება დისპუტი

გაზეთის პროდუქციის შესახებ

მომხსენებელი ამხ. პ. დადვაძე

დისპუტზე მიწვეულნი არიან პრესის მუშაკები, მუშა-გლეხ-პარტკორები, კედლის გაზეთების რედკოლეგიების წევრები და ყველა დაინტერესებული პირები. შესვლა უფასოა.

ქრონიკა

ამხ. ფ. მახარაძის დაბრუნება

გუშინ საღამოს, უკრაინის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ჩამოვლის შემდეგ, თბილისში დაბრუნდა ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ფილიპე მახარაძე.**

პროფ. კუკოლ-კრაევსკის ჩამოსვლა

გუშინ საღამოს, თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ს. მ. უ. ს. მთავარ ელექტრო-სამმართველოს უფროსი **პროფ. კუკოლ-კრაევსკი.**

დღეს პროფ. კუკოლ-კრაევსკი ვაემგზავრება ზაჰესის დასათვალიერებლათ და მის ნაგებობათა შესამოწმებლათ.

ექსკურსიები

კვირას 15 მაისს, ცალკე პროფკავშირები აწყობენ თავისი წევრების ექსკურსიას ქალაქგარეთ და ზაჰესში.

პროფსაბჭოს წარმომადგენლები

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამტარებელ კომისიაში საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. **დიმიტრი კომახიძე.**

კოოპერატიულ ბანკთან არსებულ სააღრიცხვო - სასესხო კომიტეტში ს. პ. კ. ს. წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. **ნ. ათოევი.**

იურისტების თათბირი

სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს მიერ მოწვეულ იურისტების თათბირზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭო თავის წარმომადგენლად გზავნის იურიდიული განყოფილების გამგეს ამხ. **ნარიმანოვს.**

საექიმო დახმარება

გამოყოფილია კომისია სოცდაზღვევის სამმართველოს და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებისაგან, რომელმაც უნდა გადასინჯოს საექიმო დახმარების რესპუბლიკანური ფონდი.

საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენლად ამ კომისიაში დანიშნულია ამხ. **ფირალიშვილი.**

მტკვრის დონე

გუშინ მტკვრის დონე უდრიდა 2 მეტრს და 25 სანტიმეტრს.

ახალი სახლი

საბინაო კოოპერატიული ამხ.-ბა „მშრომელი“ თბილისში—კოროლენკოს ქუჩაზე აგებს ახალ დიდ სახლს; სახლის აგება დაახლოებით დაჯდება 200.000 მანეთი. საქართველოს საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ცენტრალურ კომუნალურ ბანკის წინაშე, რომ ხსენებული სახლის ასაშენებლად ამხ-ბა „მშრომელს“ მიეცეს სესხად 120.000 მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხა—80.651 მანეთი შეკრებილ იქნას ამხ-ბის წევრთა შორის. სახლის გეგმის პროექტი განსახილველად წარედგინა საქ. საგეგმო კომისიას.

წყალსადენი

თბილისის წყალსადენის სამმართველოს ცნობით, მიმდინარე წელში თბილისში წყალსადენის გასაფართოებლად დაიხარჯება 113.000 მანეთი. ამჟამად თბილისში წყალსადენის ქსელის გარეშე დარჩენილია 70 ქუჩა, რომლებზედაც წყალსადენის გასაყვანად სულ საჭიროა 167.000 მანეთი. ამჟამად თბ. აღმასკომთან მუშაობს სპეციალური კომისია, რომელიც არჩეულია კომუნალურ სექციის მიერ. კომისიას დავალებული აქვს შეისწავლოს წყალსადენით დარჩენილ ქუჩების მდგომარეობა და შეადგინოს იმ ქუჩების სია, რომლისთვისაც აუცილებელია წყალსადენის გაყვანა მიმდინარე წელში.

საექსკურსიო თათბირი

დღეს საღამოს ამიერ - კავკასიის პროფსაბჭოში შესდგება რესპუბლიკანურ პროფსაბჭოების კულტგანყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი საექსკურსიო საკითხების განსახილველად.

თბილისის აღმასკომში

◆ **წყალსადენი სოფლად.** თბ. აღმასკომმა სოფ. ნაპალოხარში წყალსადენის გასაყვანად გადასდო 1660 მანეთი.

◆ **მუშათა თეატრები და კლუბები.** განთავისუფლებულნი არიან ქალაქის სასარგებლოდ არსებულ საფიშო გადასახადისაგან.

„საქართველოს ეკონომისტი“

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი“ № მე-4-ე (8).

ჟურნალის სარჩევი: **ზ. ელიავა**—საქ. სახ. მეურნ. რეკონსტრუქციის გენერალური გეგმისთვის.

ინჟ. **ქ. გაბუნია**—ფერადი ლითონების წარმოება საქართველოში.

ინჟ. **ზ. ვოლოხი**—ნედლ სათბობ მასალის ეკონომიურად გამოყენების საკითხისათვის.

ე. ბერიტაშვილი—სად უნდა აიგოს ხილის საკონსერვო ქარხნები?

ა. კალაძე—შინამრეწველობა მეაბრეშუმეობის დარგში.

დ. თოფურიძე—კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებანი.

ნ. ქოიავა—საქართველოს სახელმწიფო ფინანსები 1925—26 წ.

აგრ. **გ. გამხარაშვილი**—სას.-სამ. კულტურის სახელმწიფო დაზღვევა.

აგრ. **ე. კარბელაშვილი**—მებოსტნეობა საქართველოში და მისი საჭიროებანი.

ე. არდიშვილი—მარგანეცის გადაზიდვის გაიაფება.

ლ. მჟარეულიშვილი—ადგილობრივი მრეწველობის შესახებ.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე განყ. უცხოეთი, ინფორმაცია და ბიბლიოგრაფია.

შემთხვევები

◆ **მკვლელობა.** 11 მაისს ღამის 12 საათზე სოფ. ტაბახმელაში სახელმწიფო ტყეში ამავე ტყის მცველმა მოჰკლა მწყემსი ალექსი ფარსადანაშვილი. კვლევა-ძიება სწარმოებს.

◆ **„სამშენი“-ს** კანცელარიაში (თავისუფლებისმოედანი № 3), ამავე დაწესებულების აგენტს ვლადიმერ აბრამზონს მოპარეს 151 მანეთი.

◆ **შეპყრობა.** 12 მაისს ბატარეის ქ., № 18, ქურდობისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი ალექსანდრე ბიკოვი.

◆ **ბზის მოედანზე** 12 მაისს მოქ. სოფიო ლიკაშვილს ამოაცალეს საფულე ფულით და სხვა საბუთებით.

◆ **ხითაროვისეულ ქარვასლაში** შეიპყრეს ეფრემ სააკიანცი, რომელმაც ივანე ქუმბატოვს ამოაცალა 20 მანეთი.

◆ **რიყეზე ყაფანთან** გიორგი კახურაშვილისათვის მაზარისა და სხვა ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს სარქის ხაჩატურიანი და მიკირტიჩ პეტროსიანი.

◆ **„გრუზგოსტორგი“-ის** მაღაზიიდან ყალბი ჩეკების საშუალებით საქონლის გამოტანისათვის შეიპყრეს ალექსანდრე დომენტისძე კანდელაკი.

◆ **ქურდობა.** 12 მაისს კამოს ქ., № 60, გაქურდეს ვასილ ურბანის ბინა, საიდანაც წაიღეს 107 მანეთის ნივთები.

ელექტრო-სადგურის დაზიანება ქუთაისში

გუშინ ს. მ. უ. საბჭოში მიიღეს დეპეშა ქუთაისიდან, რომელშიაც იტყობინებიან შემდეგს: 12 მაისს ქუთაისის პირველ საბჭოთა ელექტრო სადგურზე გადაიმსხვრა 200 ცხ. ძალიანი ძრავის ღერძი. ძრავი გაჩერდა და ქალაქს ვეღარ აწოდებენ სინათლეს.

ამის გამო, ს. მ. უ. ს. მიერ ქუთაისში გაგზავნილია გამოცდილი სპეციალისტები, რომლებმაც უნდა გამოიკვლიონ ელექტრო - სადგურზე მომხდარი შემთხვევის მიზეზები და მიიღონ ზომები ქალაქისათვის სინათლის მისაწოდებლათ.

აღნიშნულ სადგურზე ს. მ. უ. ს. ცნობებით მზათ არის ასამუშავებლათ ახალი დიზელი, რომლის ძლიერებაც უდრის 150 ცხ. ძალას. დიზელი უკვე დადგმულია და საჭირო არის მხოლოდ მისი შემოწმება.

გადამდები სნეულებანი

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობებით, აპრილში თბილისში აღრიცხული იყო მწვავე გადამდებ სნეულების 3644 შემთხვევა, მარტში—4835. ამას გარდა აპრილში აღრიცხული იქნა მალიარიით დაავადების 844 შემთხვევა, მარტში—980; გრიპით აპრილში—1053, მარტში—1493; ჰლექით აპრილში—522, მარტში—601; ვენერიულ სნეულებებით აპრილში—424, მარტში—594.

რკინისგზებზე

ახალი სატელეფონო სადგური თბილისში

თბილისში არსებული რკინის გზის სატელეფონო სადგური თავისი მოწყობილობით უკვე მოძველებულია და ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს.

ამისათვის ახლო მომავალში ა.-კ. რკ. გზ. გამგეობა იწყებს თბილისში ახალ სატელეფონო ცენტრალურ სადგურის მოწყობას.

ამ სადგურმა პირველ ხანებში უნდა შესძლოს სამსახურის გაწევა 450 აბონენტისათვის, მომავალში კი 900-დე აბონენტისათვის.

სადგურისათვის საჭირო ყველა მოწყობილობები, გარდა კომუტატორებისა, უკვე მიღებულია. კომუტატორები კი დაკვეთილია და მიღებული იქნება ზაფხულში.

განჯის კვანძის ელექტროფიკაცია

განჯაში დამთავრდა ელსადგურის ახალი შენობის აგება. ამჟამად სწარმოებს მუშაობა დიზელების დასადგმელად. სულ სადგურში დაიდგმება სამი დიზელი; ორი მათგანი იქნება ას-ასი ძალის და ერთიც 500 ძალის.

სადგური დაიწყებს მუშაობას პირველი დიზელის დადგმის შემდეგ. საბოლოოდ კი მთელი განჯის კვანძის ელექტროფიკაცია მოხდება ა. წ. სექტემბერში.

200 ახალი ბინა რკინისგზელებისათვის

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ ხელშეკრულება დასდო ბაქოს საბჭოსთან ბაქოში (არმენიკენდში) რკინისგზელებისათვის მთელ რიგ სახლების შენების შესახებ.

სახლები ჯერ კიდევ აშენების პროცესში იმყოფებიან, მათში იქნება 200-დე ბინა. საერთო ღირებულება სახლებისა უდრის 1.100.000—1.300.000 მანეთს.

წარმომადგენლობის ლიკვიდაცია

გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას სამი დღის განმავლობაში მოახდინოს თავისი წარმომადგენლობის ლიკვიდაცია მოსკოვში.

საქმეების ლიკვიდაციის მოსახდენათ კომისარიატმა ნება მისცა გზას დატოვოს ორი პირისაგან შემდგარი შტატი.

როგორ დაიღუპა მემანქანე კორნიენკო

ჩვენს გაზეთში უკვე აღნიშნული გვქონდა 8 მაისს სადგ. აჯიკაბულში მატარებლის დამტვრევისა და მემანქანე ამხ. კორნიენკოს დაღუპვის ამბავი.

დაწვრილებითი ცნობები ამ კატასტროფისა, როგორც ეხლა გამოირკვა ასეთია: როდესაც ორთქლმავალი ასცდა ლიანდაგს, მემანქანის თანაშემწე გადმოხტა იქიდან. მემანქანე კორნიენკო დარჩა რეგულიატორთან და უკანასკნელ წუთებამდე იღებდა ზომებს მატარებლის გასაჩერებლად.

ორთქლმავლის გადაბრუნების დროს კორნიენკო ფეხებით მოექცა მის ქვეშ. ამ დროს ორთქლმავალს გაუჩნდა [illegible]. მიუხედავად საშინელი ტკივილებისა, მემანქანე კორნიენკო იძლეოდა საშიშროების მომასწავებელ ნიშნებს ორთქლმავლის საყვირიდან.

დახმარება ძალიან გვიან მივიდა. კორნიენკო უკვე დამწვარი აღმოჩნდა.

გზის ადმინისტრაციის ცნობით, კორნიენკო განჯის საჟუდის ერთ საუკეთესო მემანქანედ ითვლებოდა.

სასამართლო

მხიარული სიმონოვი

ღამის პირველი საათი იქნებოდა, როცა მოქ. **არკადი სიმონოვი** ღვინისაგან ძალზე გალეშილი პლეხანოვის პროსპექტზე მიდიოდა.

ბოლოს მან ღვინით გალანძღული გონება მეტად „ღრმა“ ფიქრებს მისცა.

— რა ქვია ცხოვრებას—ეკითხებოდა სიმონოვი თავის თავს,—ცხოვრება—ეს არის სიმბოლო დათრობის.

— რა არის ადამიანი! „[illegible]—ადამიანი?“

— მე ვამბობ, რომ კაცი არ არის ადამიანი“.

ასეთ ფიქრებში იყო სიმონოვი, როცა მან დაინახა ქუჩაზე მიმავალი მოქ. **აბულაძე.**

— გამოდით, მეჭიდავეთ, თუ ხართ ვაჟკაცი—ეუბნებოდა სიმონოვი უცნობს:

აბულაძე გაკვირვებული იყო სიმონოვის მოქმედებით.

ბოლოს „ქუჩის რაინდმა“ აბულაძე დაკბინა პირის სახეზე და სილაც გააწნა.

ამის შემდეგ სიმონოვი ჩაჯდა ეტლში და ღამის სამ საათამდე სეირნობდა. სიმონოვის დათქმულ ადგილას მეეტლემ გააჩერა ეტლი. მაგრამ მოქეიფე უკვე გადამხტარიყო და საფასურის მაგიერ ქუდი დაეტოვებია.

შემდეგ სიმონოვი ცუდ ხასიათზე დადგა და „მძიმე ფიქრების“ გასაფანტავად ღიღინით გაუდგა გზას.

მილიციელმა წინადადება მისცა მას სიმღერისათვის თავი დაენებებია და სახლში წასულიყო“, „შეურაცყოფილმა“ სიმონოვმა გალანძღა მილიციელი. სიმონოვი დააპატიმრეს.

მეორე დღეს „რაინდს“ საპატიმრო საკანში გაეღვიძა; საიდან გაჩნდა მილიციაში, თვითონაც არ ახსოვდა, მხოლოდ, როცა მორიგე მილიციელმა მას ოქმი წაუკითხა, მაშინ მოაგონდა ყველაფერი.

გუშინ სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში ამხ. **ი. გაბუნიას** თავმჯდომარეობით გაირჩა სიმონოვის საქმე.

სასამართლომ ბრალდებული სიმონოვი დამნაშავედ სცნო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და მიუსაჯა მას სამი თვით გამსახლში დაპატიმრება.

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი

მეცხრე დღე

გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა მოწმე **აფანასიევის** („ემსის“ ყოფ. გამგე) დაკითხვა. მოწმე უამბობს სასამართლოს ავანსების გაცემის სისტემას.

მან განუმარტა სასამართლოს, რომ ბრალდებული მელიავასათვის მას არ მიუმართავს მასესხე 1.200 მანეთი გატანილ ავანსების დასაფარავათ. მელიავას მიერ ყოველივე ეს განზრახ შეთხზული ჭორები არისო.

დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები, რომელთა ჩვენებას არავითარი ახალი გარემოება არ შეაქვს საქმეში.

საზოგადო-საჩვენებელი გასამართლება

(ვატმან ვართანოვის და ჯალალოვის საქმე)

23 მაისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო ამხ. **მიხა ჩოდრიშვილის** სახელობის კლუბში გაარჩევს ვატმან **არკადი ჯალალოვის** საქმეს.

ჯალალოვი 1-ლ აპრილს მართავდა ტრამვაის რონოდას. (მარშრუტი 2). რუსთაველის გამზირზე რონოდა დაეჯახა მოქ. **მაყაშვილს** და გასრისა.

გამოძიებით გამოირკვა, რომ მომხდარი უბედურობის მიზეზი ჯალალოვის სამსახურისადმი დაუდევრობა ყოფილა.

ოლქის სასამართლო 24 მაისს, ამავე კლუბში გაარჩევს ვატმან **სერგო ვართანოვის** საქმეს.

21 თებერვალს, ტრამვაის რონოდა (მარშრუტი პირველი), ჟორესის და პლეხანოვის ქუჩის კუთხეში დაეჯახა 9 წლის **ელენე ჯავოშვილს** და გასრისა.

გამოძიებით გამოირკვა, რომ უბედური შემთხვევის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო ვაგონის დამუხრუჭებით, მაგრამ ვატმანმა რონოდა არ დაამუხრუჭა.

მხეცური მკვლელობა

ამ რამოდენიმე ხნის წინად სოფ. არჯევანში (წალკა) მოჰკლეს მოქ. ისმაილ ქიარიმ-ოღლი.

ერთ დღეს ადგილობრივ მილიციაში გამოცხადდა მოქ. **მურვად-ახმედ-ყიზი** და განაცხადა, რომ მკვლელობა ჩაიდინა მისმა ქმარმა **ისაფირამ** და **ძმამ ფირა-მამედ-ოღლიმ** და აგრეთვე ორმა უცნობმა პირმა.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ისამ და მამედოღლიმ ჯერ საშინლად აწამეს ქიარიმ-ოღლი და შემდეგ კი ხანჯლით მოჰკლეს.

ისა-ფირა-ოღლიმ გვამი გახვია ფარაჯაში და წაიღო სახლში და შემდეგ მოკლულის ხორცი შეაჭამა ძაღლებს.

ეს საქმე წალკაში უნდა გარჩეულიყო ამ დღეებში, მაგრამ გადაიდო.

ბიბლიოგრაფია

„БОЛЬШЕВИК“—№ 6, 7—8. საკ. კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტიკურ-ეკონომიური ორკვირეული ჟურნალი

ჟურნალის სარეცენზიო ნომრები მკითხველის ყურადღებას იპყრობს მეტად მნიშვნელოვან საკითხთა გაშუქებით, როგორიცაა თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიის დახასიათება, მეურნეობის რეკონსტრუქციის სხვადასხვა პრობლემები და პასუხი ოპოზიციონურ ეკონომისტთა მორიგ გამოლაშქრებაზე.

თავისი აქტუალობის მიხედვით მკითხველის ყურადღება უნდა შეჩერდეს უმთავრესად მეურნეობის საკითხებზე, რადგან, როგორც ლაპარაკობს ამხ. კაკტინი „ინდუსტრიალიზაციის ხაზი აღებულია საფუძვლიანად, სერიოზულად და ხანგრძლივი დროისათვის“.

მიუხედავათ ამისა დღეს პრინციპიალური საკითხები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა პირველ რიგში არ ისმება და მთელი ყურადღება უნდა მიეპყრას არსებით პრაქტიკულ საკითხებს, რომელნიც დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციის გენერალური გეგმის პირველი პერიოდის ამოცანების შესრულებასთან“.

ამ მიზანს ისახავს ამხ. კაკტინის წერილი „ახალი სამრეწველო მშენებლობის საკითხები“, როზენტალის „ჩვენი მრეწველობის ძირითადი კაპიტალის საკითხი“, ხალატოვის „ტრანსპორტი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში“ და სხვა.

ამის შემდეგ ჟურნალის სარეცენზიო ნომრების ცენტრში სდგას ოპოზიციონურ ეკონომისტთა მიერ პარტიის მიერ უკვე გადაჭრილ საკითხთა კვლავ სადისკუსიოთ დასმა—ამხ. პრეობრაჟენსკისა და სმილგას წერილი თითქმის ერთი და იმავე საკითხებს ეხება და საკითხისადმი მიდგომის ერთნაირ ხერხს და შეთანხმებულად გამომუშავებულ არგუმენტებს ემყარებიან.

ამხ. პრეობრაჟენსკის და სმილგას „ეკონომიურ შენიშვნათა“ აზრი იმაში მდგომარეობს, რათა დაამტკიცონ, რომ ვითომც; პარტიის ეკონომიური ღონისძიებანი „დამარცხდა“ და რომ ვითომცა (ცხოვრების „სინამდვილემ“ „გაამართლა“ ოპოზიციის ეკონომიური პროგრამა და „ყოველივე ისეა, როგორც ეს ოპოზიციამ იწინასწარმეტყველა“.

რას ამტკიცებენ ამ წერილებში ოპოზიციის ეკონომისტები, ავტორები „ზეინდუსტრიალიზმისა“ და მაღალი ფასების მომხრენი?—მათი გამოსვლის სტრატეგია იმაში გამოიხატება, რათა „დაამტკიცონ“, რომ ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის საჭირბოროტო პრობლემა—საქონლის სიმშილი, არა თუ გადაწყვეტის გზაზეა, საქონლის ნაკლებობა არა თუ შერბილდა, არამედ კიდევ მეტად გაიზარდა, გამწვავდა და „ქვეყანა უახლოვდება 1923 წლის საფრთხეს“, რომ პარტია „ერთი ხელით ამცირებს ფასებს, მეორეთი კი ადიდებს“, „საქონლის სიმშილის თავიდან აცილება უარყოფითი მეთოდით სწარმოებდა, ფასების დაკლების ხმაურის ქვეშ, ტარდებოდა ფასების აწევის პოლიტიკა“ (სმილგა). „ჩვენ გვაქვს არა საქონლის სიმშილის შერბილება, არამედ მისი მოქცევა სამეურნეო ორგანიზმის შიგ, ჩვენ გვაქვს კრიზისის ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა და სხვა“. (პრეობრაჟენსკი).

ოპოზიციონურ გამოლაშქრებას უპასუხებს ამხ. **კრუმინი** თავის მეტად საფუძვლიან და ვრცელ წერილში (40 გვერდზე მეტი), რომელიც ემყარება რა განვლილ სამეურნეო პერიოდის შედეგებს, მეურნეობის ნამდვილ სიტუაციას, პარტიის მიერ გატარებულ პოლიტიკის რეალურ ღონისძიებებს ოპოზიციონურ მოსაზრებათა საწინააღმდეგო ფაქტებით სცნობს: „კაპიტალური ხარჯები მრეწველობაში (ელექტრომშენებლობით) განსაზღვრულია ჯამით 1 მილიარდ 100 მილიონით, რომელიც სჭარბობს ოპოზიციონურ „ზეინდუსტრიალისტების“ წინადადებებს, სამუშაო ხელფასი იზრდება, პურის ბაზარი მიმდინარე წელს დაქვემდებარებულია სახელმწიფო ზეგავლენისადმი უფრო მეტად, ვინემ გასულ წელს. პურის ექსპორტი ბევრად უფრო ხელსაყრელად მიმდინარეობს, ვინემ გასულ წელს, ხოლო ამის შედეგათ საბჭოთა სახელმწიფომ დააგროვა თვით სავალიუტო მარაგის ნაწილი, რომელიც მთელ მდგომარეობას უფრო მეტად მტკიცედ ხდის.

საქონლის სიმშილიც, ნაცვლად წინასწარმეტყველებისა არა თუ გამწვავდა, არამედ შერბილდა. პარტიამ მიაღწია ამ შედეგებს, აწარმოებდა რა ამასთანავე მძიმე ბრძოლას ოპოზიციონურ ბლოკთან, რომელიც მოითხოვდა ფასების დაკლების მაგიერ, მის აწევას, იცავდა საგადასახადო დაბეგვრის გადიდებას და ქაფმორეული მოითხოვდა გლეხობისაგან მეტის აღებას სამეურნეო ცხოვრების წონასწორობის „დამყარების“ მიზნით“. ჟურნალ „ბოლშევიკის“ მკითხველი ყველაზე მეტს ამ საგულისხმო დისკუსიაზე უნდა შეჩერდეს, რათა დარწმუნდეს ოპოზიციის აზრთა მერყეობაში და ძველი პოზიციის სხვა ხერხებით გამაგრების და შელამაზების მეტად უხეირო ცდაში.

სხვა მნიშვნელობის საკითხთაგან აღსანიშნავია ამხ. ა. ს. წერილები ორივე ნომერში, რომელიც ახასიათებს თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიას. გერმანიის სოც.-დემ. ცალკე ბელადების, ლიტერატურულ ნაწარმოებთა პარტიის ჰეიდელბერგის დადგენილებათა და სხვა დოკუმენტების მოხმობით ამხ. ა. ს. ამტკიცებს, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია გარკვეულად იხევს თავის ძველ პოზიციებიდან და მის მიერ რამოდენიმე ათეული წლის წინად დაგმობილ ბერნშტეინიზმის, ყველაზე მდაბალ ოპორტუნიზმის პოზიციაზე დგება, მარქსის კრიტიკა ამ უკანასკნელ წლებში სავსებით აშკარა და მოურიდებელია, სოციალ-დემოკრატია გარკვევით გამოდის კაპიტალიზმის აპოლოგეტათ. „რევიზიონისტური ოპორტუნიზმი თავდაპირველად გამოიხატა კაპიტალიზმის პერსპექტივების და ტენდენციების მარქსისებურ შეფასების უარყოფაში და სოციალისტური რევოლიუციის მარქსისებურ თეორიის შეცვლაში სოციალ-რეფორმის თეორიით“. თანამედროვე სოციალ-დემოკრატიამ უარყო კაპიტალისტური განვითარების კანონების შეუთავსებლობა სოფლის მეურნეობის დარგში, აგრეთვე მარქსის გაღატაკების თეორია, კაპიტალიზმის გახრწნა, მოითხოვს რა სახელმწიფო კაპიტალიზმს და კაპიტალიზმის ე. წ. დემოკრატიზაციას.

სხვა შენიშვნებისაგან ყურადსაღებია გაზეთებში უკვე გამოქვეყნებული ამხ. სტალინის პასუხი ამხ. დიმიტრიევს და ამხ. იან-სკის შეკითხვებზე. საერთოდ სარეცენზიო ნომრები მიმდინარე წლის ყველა ნომრებისაგან განირჩევიან მასალის სიმდიდრით.

ა. გ—ა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **ნორჩ - პიონერთა თბილისის ბიურო** იტყობინება, რომ სამშაბათს, 17 მაისს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა კავშირის შენობაში შესდგება პედაგოგთა წრის მორიგი მეცადინეობა ბავშვთა კომმოძრაობის შესასწავლად.

— **ს. კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნოს** დავალებით, ცეკას აგიტპროპი წინადადებას აძლევს ამხ. ცაგარეიშვილს (სახკინმრეწვ.), კვაჭაძეს (ცეკავშირი), ს. ჩიხლაძეს, შ. გეგენავას (ც. პ. სკოლა), ოკუჯავას (სამხ. სკოლა), ადამაძეს (ქარ. დივიზ.), ოდილავაძეს, ბერძენიშვილს (თბილისის პ.-გან.) და დუდუჩავას გამოცხადდენ ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპში 15 მაისს, დღის 12 საათზე.

— **თბილისის სახელმწიფო უნივერ. აგრონომიული ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო** იტყობინება, რომ დღეს, 14 მაისს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის ბიუროს კრება; დასწრება სავალდებულოა ბიუროს წევრთა და კანდიდატთათვის. აგრეთვე სავალდებულოა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები:

მძინარიშვილი დიმიტრი, ჯორბენაძე პროკოფი, აბრამიშვილი გიორგი. მტოკვი გიორგი, ლაშხია ნექტარი, დავითაშვილი გიორგი.

—**სახ. უნვ. პედაგოგიურ ფაკ. კომუჯრედთა ბიურო** იტყობინება, რომ დღეს, 14 მაისს, საღამოს 7 საათზე **დანიშნულია ამავე ფაკ. კომუჯრედის კომკავშირის და პროფკომის აქტივის კრება.** დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად შემდეგი ამხანაგებისათვის:

ფაღავა სერაფიონი, სულაქველიძე კოწია, ცხაკაია დომენტი, მიქაძე ია, გეგეშიძე ლავრენტი, ტრაპაიძე პალადი, ბახტაძე ალექსანდრე, სულუხია გიორ., ყალიჩავა სევერიანე, პეტრიაშვილი მელენტი, მაზანაშვილი ნინო, ბობოხიძე კალისტრატე, ნუცუბიძე დავითი, დღვილავა არჩილი.

— დღეს, 14 მაისს, დღის 12 საათზე მოწვეულია სახელ. უნივერ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა. დასწრება სავალდებულოა წევრთა და კანდიდატთათვის.

— **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა-ქალთა და გლეხ ქალთა განყოფილება** იტყობინება, რომ დღეს, 14 მაისს, საღამოს 6 საათზე მე-5 შრომის სკოლის შენობაში (უკოვის ქ.9). შესდგება სადელეგატო კრებებთან არსებული—კოოპერატიული და იურიდიული (რუსულ და ქართულ) სექციების რიგს გარეშე მეცადინეობა.

ამ ჯგუფებში მომაცადინე ყველა დელეგატქალებისა და ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, 14 მაისს, საღამოს 5 საათზე რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში შესდგება **მუშ. და დაწეს. უჯრედების საორგანიზაციო კომისიის თათბირი.**

კვირას, 16 მაისს, საღამოს 5 საათზე შესდგება ქალაქის რაიონის საორგანიზაციო თათბირი.

— **საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტრ. კომისია** წინადადებას აძლევს ამხ. **ბესარიონ ვასილის ძე კობერიძეს,** რომ დღეს, 14 მაისს, დილის 8 საათზე გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული, ოთახი 12).

— **შაბათს, 14 მაისს, საღამოს 6 სათზე;** საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში მოწვეულია **ნებაყოფლობითი საზოგადოებების ფრაქციების თათბირი.**

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ რემედასის თბილისის კომიტეტის, სოფლის და ქალაქის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოს, ქიმიურ თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოებების, რადიოს მოყვარულთა საზოგ-ბის და ბავშვების მეგობართა საზოგადოების გამგეობის ფრაქციების წევრები.

შვილი ნიკოლოზ ღვინიაშვილი ცოლით მარგალიტათი და შვილებით, შვილი თებრონე ინაშვილისა ქმრით და შვილებით, შვილი მანანა ნარიძისა ქმრით და შვილებით აუწყებენ ნათესავებს, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის დედა, მეორის დედამთილი, მესამის და მეოთხის დედა

ნინო ბიძინას ასული ღვინიაშვილისა

დაკრძალვა მოხდება კვირას, 15 მაისს, დილის 10 საათზე კუკიის სასაფლაოზე. 2741

მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ბაბუსი ივანეს ასული, შვილები: გიორგი, მინადორა, რაფიელ და თამარა, რძლები ანუშკა და ქსენია, სიძე არჩილ ალმასხანის-ძე რამიშვილი და შვილისშვილები: კარლო, ტატულია, მიხა, ვერიჩქა, შალვა, ტარიელ, აკაკი, კატუშა, ნიჟა, ალექსი და თამარა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 11 მაისს. გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ფილიპე გიორგის-ძე ცინცაძე

რომლის დასაფლავება მოხდება კვირას, 15 მაისს, დაბა ჩოხატაურში, ზემო ფარცხმის სასაფლაოზე. 2749

თავზარდაცემული ექიმი სტეფანე მიხეილის-ძე გარდავაძე, უდროოდ დაობლებული შვილები: მიშა (გულიკო), აკაკი, რევაზი და ლენა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს პირველი დაუვიწყარი მეუღლის და მეორენი მარად ჟამს სახსოვრის, გულის სიღრმიდან ამოუშლელის დედის

ეკატერინე (კატუშა) სანოძე-გარდავაძის

უდროოთ დაღუპვას. გამოსვენება მოხდება უნივერსიტეტის გინეკოლოგიურ კლინიკიდან (ოლღას ქ. ყოფ. საბებიო ინსტიტუტი) 15 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე. დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე. 2751

ხელოვნება

მომღერალთა გუნდების შეჯიბრი

საბჭოთა საქართველოში ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად თავი იჩინა აგრეთვე სიმღერამაც. უკანასკნელ დროს მეტად გაიზარდა მომღერალთა გუნდების რიცხვი. გუნდები არ სხედან უსაქმოდ. ისინი ვითარდებიან, ამუშავებენ ახალ-ახალ რეპერტუარს, ჰკრეფენ და მუსიკალურ ფორმებში აყალიბებენ ხალხურ სიმღერას და სხვა.

მაგრამ ფართე მასამ აქამდე არ იცის თუ რა მიღწევები აქვს ამა თუ იმ მომღერალთა გუნდს, რას უფრო აქცევენ თანამედროვე მომღერლები ყურადღებას?—იმისათვის, რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, **15 მაისს ქუთაისში იწყება პირველად ჩვენს მუსიკალურ ისტორიაში, ქართულ სახალხო მომღერალთა გუნდების შეჯიბრი.**

შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან საქართველოს ყველა მომღერალთა გუნდები; დანიშნულია ჯილდოები, რომლებიც კონკურსის ჟიურის მიერ მიენიჭებათ ოთხ საუკეთესო გუნდს.

ჟიურის წევრებად არიან კომპოზიტორები—**დ. არაყიშვილი, მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალიაშვილი, ი. კარგარეთელი და ნ. ჩიგოგიძე.**

ვიმეორებთ, ამ შეჯიბრს დიდი კულტურულ საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მას ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ ხელოვნების სათავეში მდგომი ორგანოები.

ს. ბეგიაშვილი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მეიერხოლდის თეატრის** მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „მანდატი“.

◆ **სომეხ მსახიობის ფირუმიანის** საღამო გაიმართება დღეს რუსთაველის თეატრში.

◆ **კონკურსი.** ხელოვნების განყოფილებამ გადასწყვიტა გამოაცხადოს კონკურსი პიესებზე.

— **დისპუტი.** 23 მაისს მეიერჰოლდი სახელმწიფო ოპერის თეატრში მოაწყობს დისპუტს თანამედროვე თეატრის შესახებ.

— **მოძრავი თეატრი პროვინციისათვის.** ხელოვნების განყოფილება უკვე შეუდგა მომავალ სეზონისთვის პროვინციისათვის მოძრავ თეატრის დასის შეკრებას. დასში იქნება ას კაცზე მეტი.

— **რუსთაველის თეატრში.** დღეს მსახიობ ფირუმიანის საღამოა. იდგმება „აშუღ ყარიბი“.

— **სახკინმრეწვის ახალი სურათი.** მომავალ კვირიდან თბილისის კინოებში ნაჩვენები იქნება „მაქსიმ მაქსიმიჩი“ (სცენარი ლერმონტოვის მოთხრობის მიხედვით). დადგმა ბარსკის.

— **სამხატვრო აკადემია.** მაისის 22-ს გაიმართება საზეიმო სხდომა საქ. სამხატვრო აკადემიის 5 წ. არსებობის აღსანიშნავად.

მეცნიერება და ტეხნიკა

რძე, წონა და სიმაღლე

ამერიკელ ექიმის **ხ. მანნის** უკანასკნელი ცდები ფართე ნიადაგზე იყო დაყენებული: ეს ცდები გრძელდებოდა 4 წელიწადს და ერთდროულად ახდენდენ 500 ბავშვზე. ცდების შედეგები თავისი თვალსაჩინობით შესანიშნავია: თუმცა მნიშვნელობა რძის, როგორც მეტად სასარგებლო საკვები ნივთიერების, დიდი ხანია ცნობილი იყო, მაგრამ, თუ რამდენათ აუცილებელია რძე ბავშვის ორგანიზმისათვის, ეს გამოირკვა, ექიმ მანნის უკანასკნელი ცდების წყალობით.

ექ. ხ. მანნის გამოკვლევების ობიექტს წარმოადგენდენ დახურულ სასკოლო დაწესებულებების (ინტერნატების) მოწაფეები. ყველა მოწაფეები ცხოვრობდენ ერთგვარ პირობებში— პატარა სახლებში, ქალაქს გარეთ, თითქმის მუდმივათ შკოლაში იმყოფებოდენ და ამრიგად მათი წესიერი კვება არ ირღვეოდა. კვება ყველა ბავშვებისათვის ერთნაირი იყო. კვების საერთო ნორმას გარდა, დამატების სახით, ბავშვთა ცალკე ჯგუფებს ეძლეოდა: ზოგს—კარაქი, ზოგს—ცილოვან ნივთიერებით მდიდარი პროდუქტები, ზოგს—შაქრის დამატებითი პორცია, ზოგს კიდევ რძე ან მცენარეულობათა ცხიმები.

ყველაზე უფრო მოიმატეს, როგორც წონაში, ისე სიმაღლით, ბავშვებმა, რომლებიც იღებდენ რძესა და კარაქს (ეს პროდუქტები ყველაზე მდიდარი არიან ზრდის ვიტამინებით. ისინი ყოველწლიურათ წონაში მატულობდენ შვიდ გირვანქას და სიმაღლით—2½ დიუმს, დანარჩენი ჯგუფების ბავშვები კი საშუალოდ მატულობდენ ორჯერ ნაკლებს—3½ გირვანქას წონაში 1¾ დიუმს სიმაღლეს, იმ ჯგუფის ბავშვები, რომლებიც რძეს იღებდენ, აღმოჩნდენ აგრეთვე ყველაზე უფრო ჯანსაღი—მათგან არც ერთი არ დაავადებულა ავადმყოფობით, რომლებიც გავრცელებული იყვნენ სხვა ჯგუფების ბავშვებში.

ცდების მეოთხე წლის დამლევისათვის, ინტერნატის შემთხვევითი მნახველებს შეუცდომლად შეეძლოთ იმ ბავშვების გამოცნობა, რომლებიც დამატებით იღებდენ რძეს ან კარაქს.

ახალი ცნობები ვენერას შესახებ

ასტრონომ **ს. ჯონის** და **ოვოლსინის** ცდებმა მოუნ-ვილსონის ობსერვატორიაში (ჩრდ. ამერიკა) იმის გამოსარკვევათ თუ რამდენი დრო ესაჭიროება ვენერას თავისი ღერძის გარშემო მოსაბრუნებლათ და მოიპოება თუ არა მის ატმოსფეროში წყლის ორთქლი და მჟავბადი, ბევრი რამ ახალი შეჰმატეს მეცნიერებას. ამ ცდების დროს შეკრებილმა მასალებმა მნიშვნელოვანად უნდა შესცვალოს მეცნიერების აზრი ამ პლანეტაზე სიცოცხლის განსაკუთრებული ფორმების არსებობის შესაძლებლობის საკითხში.

ცდებით გამოირკვა, რომ ვენერა თავისი ღერძის გარშემო მობრუნებას ანდომებს 375 საათს, ე. ი. დედამიწის 15 დღე-ღამეს. მიუხედავათ იმისა, რომ ცდები დიდის დაკვირვებით იქნა წარმოებული, ვენერას ატმოსფეროში ვერც მჟავბადისა და ვერც წყლის ორთქლის ნიშნები ვერ აღმოაჩინეს. ეს უკანასკნელი გარემოება საეჭვოდ ხდის ვენერაზე დედამიწის მსგავსი სიცოცხლის ფორმების არსებობას.

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.

მსოფლიოში განთქმული სურათი
„მხდალი“ ჯემს კრიუზეს დადგმა

მერი პიკფორდი მხატვ. შედევრში
„სპანის ქალი“
ყველგან აუარებელ ხალხს იზიდავს

მხატვრული შედევრი ამერიკული სურათი
„ჯონი—ვეშაპის მკვლელი“
2 სესია ათი ნაწილი ერთად.

უკანასკნელად თბილისში „ბიული“
ლ. პუშის და ნ. შენგელაიას დადგმა, ოპერატორი—მ. კალატოზიშვილი. მთავარ როლში ნატა ვაჩნაძე.

0—8 ნ. 1099

ანონსი: მალე საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მაქსიმ მაქსიმის-ძე“

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ კვირას 15 მაისს, დღის 12 საათზე სასახლის ქ. № 3 დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება კამოდები, გარდერობები, ხალიჩები, ფარდაგები, სარკეები და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1179

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჩორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქალ. ქუთაისში, შაუმიანის ქუჩაზე სახლი № 14 დანიშნულია 23 მაისს 1927 წ. დილით 10 საათ. **საჯარო ვაჭრობა** ისხაკ და მალქა აჯიაშვილების ქონების: შკაფის, ხოხის, კამოდის, მაგიდების, კედლის ხალის, პიჯაკის და სხვ., შეფასებულის სულ 63 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება პლატონ ეჯიბიას პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1181.

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში

(გაგრძელება № 2).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმოოს საგანი	ძირითადი კაპიტალი	სარეწავო მოწმობის ხარისხი	შენიშვნა
21	20 ნოემბერი 1926 წ.	**ჩარკვიანი,** ბაგრატ ბესარიონის-ძე	ქუთაისი, ზდანოვიჩის ქ., № 73	სასადილო	300 მან.	მე-4-ხე	
22	„ „ „	**ჩხეიძე,** დავით სიმონის-ძე	ქუთაისი, საბჭოთა ქუჩა, № 1	„	800 მან.	„	
23	„ „ „	**ვაჩაძე,** სილოვან ნიკოლოზ.-ძე	ქუთაისი, მე-3 ინტერნაც. ქ., № 87	„	100 მან.	„	
24	23 ნოემბერი 1926 წ.	**ტყეშელაშვილი,** ივანე არსენის-ძე	ქუთაისი, წულუკიძის ქუჩა, № 11	„	500 მან.	„	
25	„ „ „	**ჯმუხაძე,** მიხეილ კაციას-ძე	ქუთაისი, მე-3 ინტერნაც. ქ., № 12	„	100 მან.	„	
26	6 დეკემბერი 1926 წ.	**ჭეიშვილი,** დავით მარკოზის-ძე	ქუთაისი, ლიბკნეხტის ქ., № 28	„	500 მან.	„	
27	13 დეკემბერი 1926 წ.	**დარახველიძე,** ბიქტორ გიორგის-ძე	ქუთაისი, ლერმონტოვის ქ., № 179	„	500 მან.	„	
28	14 დეკემბერი 1926 წ.	**გიორგაძე,** სერაპიონ პორმილეს-ძე	ქუთაისი, ლიბკნეხტის ქ., № 38	„	300 მან.	„	
29	30 დეკემბერი 1926 წ.	**ცერეკიძე,** არტემ ოქროპირის-ძე	ქუთაისი, წერეთლის ქუჩა, № 75	„	200 მან.	„	
30	5 იანვარი 1927 წ.	**ფიჩხაძე,** ირაკლი და სოლ. მათეს-ძენი	ქუთაისი, წერეთლის ქუჩა, № 5	ფქვილით	8.000 მან.	„	
31	26 იანვარი 1927 წ.	კომუნალური განყოფილება	ქუთაისი, წულუკიძის ქუჩა, № 15	სტამბა	106.228 მ.	მე-7-დე	
32	27 მარტი 1927 წ.	**იარალოვი,** ისაკი იოსების-ძე	თბილისი, ბესიკის ქ., № 16	სასადილო	300 მან.	მე-4-ხე	
33	4 მაისი 1927 წ.	**ბერძენიშვილი,** კაპიტონ გლახუნის-ძე	თბილისი, პლეხანოვის გამზ. № 142	„	500 მან.	„	
34	12 მაისი 1927 წ.	**გოძსაძე,** ქარუმ ლუკას-ძე	თბილისი, ჟორესის ქ., № 9	„	400 მან.	„	
35	„ „ „	**შარუმაშვილი,** ვარდო წყალობას-ძე	თბილისი	„	1.350 მ.	„	
36	„ „ „	**ხოსიტაშვილი,** ზაქარია იოსების-ძე	თბილისი	„	740 მან.	„	
37	„ „ „	**კობერიძე,** სიმონ როსტომის-ძე	თბილისი, ჟორესის ქ. № 21	„	800 მან.	„	
38	„ „ „	**კიკოლაშვილი,** პავლე სიმონის-ძე	თბილისი	„	500 მან.	„	
39	„ „ „	**ხარიბეგოვი,** ბაგრატ ივანეს-ძე	თბილისი	„	1.000 მ.	„	
40	„ „ „	**ხატიაშვილი,** გიორგი დიმიტრის-ძე	თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 2	„	1.000 მ.	„	
41	„ „ „	**აპრიკოვი,** მნაცაკან კარაპეტის-ძე	თბილისი, პასტერის ქ., № 10	„	200 მან.	„	

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **მგალობლიშვილი.**

ნ. 1180.

სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ნადირაშვილი.**

სახკინმრეწვის მორიგი სურათი
მაქსიმ მაქსიმიჩი
(„კავკასიის ტყვე“)
ლერმონტოვის მოთხრობის მიხედვით
დადგმა ვ. ბარსკისა
ოპერატორები: ა. პოლიკევიჩი ვ. პოზნანი
თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს
ნ. 1182

თბილ. ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
ამით აცხადებს, რომ კვირას 15 მაისს დილის 10 საათზე სასახლის ქ. № 3 დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის დავალიანების ასანაზღაურებლად მოქ. ჯაყელის როიალი, რბილი ავეჯი 17 ნაჭერი, ხალიჩები, შიფონერკა, ბუფეტი, პირსაბანი, 3 სურათი და სხვა. ნ. 1183

თანახმად სახალხო განათლების კომისარის განკარგულებისა, ამა წლის 20 ივნისს შესდგება უკანასკნელი

სახელმწიფო საგამოცდო სესია კბილის ექიმის ხარისხის მისაღებათ.

გამოცდებზე დაშვებული იქნებიან ის პირნი, ვისაც წარსულში დამთავრებული აქვთ კბილის საექიმო სკოლა. მსურველებმა განცხადება სათანადო საბუთებით უნდა შემოიტანონ კბილის სნეულებათა კლინიკაში (პლეხანოვის გამზირი № 126), არა უგვიანეს 15 ივნისისა. 2693 10—1

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 20 მაისს 1927 წლ. დღის 2 საათ. სახლში № 10 ტერ-გუკასოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პორფილე თოფურიას მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას, შეფასებულს 2140 მან., „სევკავტორგ“-ის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 22 აპრილის 1927 წ. თარიღით, № 1603 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2744

სია გაზ. „კომუნისტი“-ს იმ ხელის მომწერთა, რომელნიც არ იღებენ გაზეთს ექსპედიციაში სწორი მისამართების უქონლობის გამო

1. კურახლაშვილი—5261, სიდონოვის ქუჩა 3.
2. მარჯანაშვილი ვას.—792, ეჩმიაძინის ქუჩა 29.
3. დავრიშევი—774, უბების შესახვი 6.
4. ტატიაური დ.—5924, კახეთის ქუჩა 66.
5. ბილანიშვილი—787 სტავროპოლის ქუჩა 4.
6. სადაგაშვილი ბაგ.—5743, გორის ქუჩა 23 ბინ. 4.
7. მეცხვარაშვილი ზაქ.—705, გადასულია ძველ ბინიდან.
8. არჩუაძე დომენტი—705, საავარაკო ქუჩა 664.
9. მერაბაშვილი ვანო—802, ჩერქეზოვის ქუჩა 14.
10. გელაძე ნიკოლოზ—802, იურევის შეს. ქუჩის ბოლოს.
11. შოთაშვილი—629, მაგისტრალის ქუჩა საკ. სახ.
12. ხანიშვილი—758, ჩერქეზოვის ქუჩა 142.

აღნიშნულ ხელის-მომწერთ სთხოვენ ორი დღის განმავლობაში წარმოადგინონ თავიანთი სწორი მისამართი გაზ. „კომუნისტის“ ექსპედიციაში კამოს ქუჩა 68, ტელ. 5—43. 2—1

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჩორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, ნიკოლაძის ქუჩაზე სახლი № 5 დანიშნულია 25 მაისს 1927 წ. დილის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** დანიელ იაკობიშვილის ქვიტკირის შენობის, რომელიც შესდგება რვა საცხოვრებელი ოთახისაგან, ორი სამზარეულოსაგან, ორი საწყობისაგან და ერთი სარაიისაგან, აგებული მიწაზე ზომით 90 ოთხკუთხი საჟენი შეფასებულის 3.500 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად და ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 1181

ექიმი
კონსტ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო ორგანოების, ვენერიული, სიფილისი, კანის ავადმყოფობანი და ქირურგიული ავადმყოფობანი (სიმსივნე, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, სიფილისი, სუსუნატი). ელექტრონით წამლობა. პლეხანოვის გამზ. 10, ვორონცოვის მახლობლათ. ავადმყოფები მიიღება დილის 7 საათიდან შუადღის 12-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ქალები მიიღება 2-დან 3 საათამდე. 25—1

მედმუშაკთა კოლექტივი
აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის
ექიმთა გამოძახება სახლში
მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:
1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღას ქუჩაზე.
2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.
ექიმის გამოძახება—60 კ.
საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე.
იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით. 25—19

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების. 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. სალ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. 4—82 №

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—8

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 154 ფორმა 4 სამხედრო აღრიცხვისა ევგენი გამყრელიძის სახელზე ჩ. გ.

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 2735 სურენ თეიმურაზოვის სახელზე, ჩ. გ. 2743

დაიკარგა: სასამართლოს ბრძანება აღებული „კახეთის“ მიერ ალექსი ქინქლაძეს სახელზე, № 6087 ჩ. გ. 2742

დაიკარგა მანდატი № 849, გაცემული საბჭოს წევრობის მიერ, ი. ბაქარაძეს სახელზე, ჩ. გ. 2748

დაიკარგა მოწმობა, გაცემული სოც. უზრუნველყოფ. კომისარიატის მიერ, აკაკი დიმიტრისძე ბაშალეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2747

დაიკარგა თამასუქი თანხით 70 მან უვადოთ გაცემული ალექსანდრა მიხეილის ასული ლორთქიფანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1181

დაიკარგა კომ. პარტიის საკანდიდატო მანდატი № 18617 აქვსენტი მელქისედეკისძე ნიკოლეიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1181

დაიკარგა მოწმობა მემანქანეობის კურსების დამთავრების შესახებ 6937 | 309 თამარა დიამონდოპულოს სახელზე, ჩ. გ. 2750

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.